




შენიშული მწერლობა



1926-1930



1990



2008-

3
2009

მანუალი მწიგნობებ

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

3

მაისი

2009

ივნისი

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მინიშვილი
პაატა ნაცვლიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ნინო ყულოშვილი
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:

© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

პოეზია

ზაალ ებანოიძე. ლექსები 5

მხატვრული პროზა

ნინო დარბაისელი. ბატის ფრთის ფერადი ვარდები 9
ოლესია თავაძე. სევდიანი ჩანაწერები 14

ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა

**გიორგი გოგოლაშვილი. მუხრან მაჭავარიანი და
ქართული ენა 35**

ემზარ კვიციანიშვილი. ლიტერატურული ესკიზები 43
რეზო ადამია. ტრაპიზონული დღიურიდან 48

ასალი თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე. სცენები „ფაუსტიდან“ 56
(თარგმანი დავით წერეთლისა)

ლიტერატურული პარალელები

ნათია სიხარულიძე. „შემოდგომის დღე“ 70

უნივერსიტეტი

73 გივი შეყილაძე. წამი უკვდავებიდან

რეცენზია

76 იოსებ ჭუმბურიძე. ცრემლი და წმინდაურა

წარწერიანი ეგზეგეზურები

80 იოსებ ჭუმბურიძე. მაღალთა თავმდაბლობა

ნიშნები

82 „არტანუჯი“ გთავაზობთ


83 „ინტელექტი“ გთავაზობთ

პოეზია

ზაალ ებანოიძე

დაბრუნება

შემოგამტერდა ფანჯრები სოფლის,
თეთრი ფარდები გიქნევენ ხელებს;
და წვეთწვეთობით დამძიმდა ოფლიც
და მერე შუბლზე დაცურდა ლელედ.



●
ჭაღარა კულულების ნალოდან –
ასაკის ამ გრილი სითბოდან:
აქა-იქ გიშერი წვალობდა
და ბოლო შემჩნევას ითხოვდა.

კაცზე, მართოვანის მოყვარულზე

წყალზე ამოხატულ ათინათებს
როცა ხელი ვეღარ შემოწვდება,
გული ახირდება: – „მათი გემართებს“
და შენც თავის დახრით ემონმები.

მზერა როცა მადააშლილია
და შინდს შეიფერებს შეფენებაც,
გამო-გამოარჩევს ქარში ნიავს,
მუხლზე ლეკვივით რომ გეფერება.

ახლა მთა და ბარი იმოსება
(მართლა მეოცნებეს რა მოაწყენს);
ცოტა იმეტირრეს მიმოზებმა –
ლამის ტყემლის ხეებს გამოასწრეს.

ფანტელ-ფანტელების თოვაშია
ფიქრის მიზეზ-მიზეზ აცურება;
მოლზე გაგორება მოვაშია
მარტის აუხსნელმა მაცდურებამ.

შენდაუნებურად ახარისხებ
ფერში ფერის გადაპატიუებას

საქართველოს
პარლამენტის
ქართული
ბიბლიოთეკა



და გულს ამის მერე დააკისრებ
ბებრის ყმანვილივით გაგიჟებას.

ბევრი, ბევრი რამე გითარგმნია –
უფრო გაგიხდია გასაგებში;
ამ დღეს ეს ღრუბელი ვისთან მიაქვს –
გამზეურებული დასაგებში.

კაცზე, მარტოობის მოყვარულზე,
ჩუმად ყოველ დროში ეცინებათ;
დამეს ფეხაკრეფით მოყვა რული,
მაგრამ გონებას არ ეძინება.

წვიმის სათავეზეც იოცნებებ,
მთვარის ნალვერდალით გამთბარი ხარ;
მარტის ღამეები გიმონებენ –
თავთან საკუთართან მართალი ხარ.

ერთმანეთის სათქმელიდან ამოსვლა ანუ

პოლიფონიური ტექსტი კალეიდოსკოპური ნაბიჯებით

„ახდენამდე უფრო ლამაზია“ –
ალბათ ოცნებაზე წამოგცდა:
უფრო ჩაღრმავებას რა აზრი აქვს,
უფრო მისხალ-მისხალ ამოხსნას.

„ვაგლახმე“ – ამოაყოლე სევდას
და ღანვზე კურცხალი დაცურდა;
„სულ ავებედილობა მდევდა“ –
მე თავად დაგასწარ – რაც გსურდა.

„ცხოვრება ბურუსია და ნისლი,
თუ მკრთალი ნაწერი დაფაზე“,
დანარჩენს უსიტყვოდ მიხსნი,
რაც ნიშნავს – ჩემს ალღოს აფასებ.

გრძელდება ეს ქრელი „კაფია“,
ეს გადასათარგმნი ხმები:
„ყელზე რომ შიშთვილი გაზია“ –
არ გინდა – თავადაც ვხვდები.

უფალი, უფალი ვახსენოთ,
თვალწინ რო მორევი ზრუნავს;
„გამორბის!“ – ეს ნიშნავს ასეთ დროს –
ვილაცა ჩვენზედაც ზრუნავს.

ზიარი როლებით დაღლილი
წუთები თანდათან გვზრდიდა;
ვინ ცდილობს ამ ჩვენი ღარღილით
ორივეს წუხილის ზიდვას.

„მესამე“, „მესამე“ გვაერთებს,
სარკვეში გვახედებს – რა ვართ!
მეც კალამბურებით გავერთე
თუ ხელი გამექცა თავად.

და სამი სამყარო: „მე“, „შენ“, „ის“
ჩრდილიდან გამოსვლას ითხოვს;
„თუ გვინდა გავიგოთ ჩვენი-ჩვენი
სიმაღლე – „მესამეს“ ვკითხოთ!



ჟრჟოლაზე ამოზრდილ კრინიდან
ხმა როცა ზეციურ ბანამდე
ააღწევს – პირსახის მიმიკას
შეფარულ ფორიაქს გადასდებს.

და როცა ფორიაქს აჰყვება
მთენთავი სიცხეც და სიცივეც,
ციმციმებს – სხვა მეტი რა გნებავს –
თვალეში კურცხალი ციმციმებს.

კურცხალში ჩამდგარი შუქიდან
რო მოჩანს – ფითრი და ხავსია;
და ხვდები – შეფარულ წუხილთან
მისულხარ და ჟრჟოლა გაცვია.



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდვრის არსენალი

ჯიჯილიყა დამთავრდა და ქათა-
ნაცარაში გადიზარდა დაფერდება;
სადაცაა დაზავდება თავთან
მოლოქა და სადაცაა დაბერდება.

„კორჩიოტა მომჩიოდა“ – ითქვა,
ახლა სიტყვა საპოვნელას ეწირება;
ეს პატარა საპოვნელაც რითმას
თუ გაექცა – ველქონდარას ეწყინება.

ველქონდარას უკადრისა შეცვლის,
ჩალამძივას შავბალახა ემატება;
ალაგ-ალაგ – ენძელების ცეცხლიც –
თვალეებში რო ირეკლება კელაპტრებად.



ნიავე მოუძღვის ორთავეს –
ფოთლების მსუნაგი მტერი;
და ვიდრე გოდებას მორთავენ –
ასწრებ და წინდანინ მლერი.

დამფრთხალი წარმოსახვის ნაყოფი –
მითის და თქმულების წყარო:
უცქერი – სულ ახლა ქარყოფილ
გრიგალს და ბავშვივით ხარობ.





მხატვრული პროზა

ნინო დარბაისელი

ბატის ფრთის ფერადი ვარდები



კიდევაც კარგი ვარ? შენ რამდენისა ხარ? ჰო! მე რომ შევიდისა ვიყავი, უკვე სტუდენტიც იქნებოდი. ვზივარ ერთხელ ჩემთვის, მონყენილი, ხელის გაკვეთილები უკვე მოვამზადე, გარეთ სათამაშოდ ვერ გავდივარ, ზამთარია, შემოდის მამაჩემი და მეუბნება:

– შენთვის კარგი ამბავი მაქვს. ერთმა ლამაზმა დეიდამ დაბადებია დღეზე დაგპატიუა, აბა, გამოიცანი, ვინ!

რა გამოცნობა უნდოდა!

ახლო-მახლოში სულ ერთი ლამაზი დეიდა იყო – ჩვენი ელამი ფოსტალიონის ცოლი – ნონია ტომა. ამბობდნენ, ბიძამ ყვანახეთიდან გამოუგზავნაო. ზაფხულში სულ ვარდისფერი შარვლით დადიოდა, მაღალქუსლიანები ეცვა, დანაწოსებულ ქერა თმაზე ნაირ-ნაირ პლასტმასის პეპლებს იკეთებდა და ლურჯ თვალეზე გრძელი, შავი ნაწმამები ჰქონდა მიწნებულნი, მუჭი წითელი პომადო ისე ესვა, იფიქრებდი, ბნელში უჭამია და სიქარისაგან პირის მონმენდა დავინყვებიაო.

მიმათ „ხრუშოვკა“-კორპუსი ჩვენი სახლის წინ, ერთ გადარბენაზე იდგა. მდგმურები წინა ეზოში, გრძელ სკამზე გროვდებოდნენ. ბიჭები თან გოგოებს ელაპარაკებოდნენ, თან სულ იმისკენ გაურბოდით თვალი, ერთი, როდის გამოვიდოდა თავის პატარა აივანზე, რეცხვისგან უფრო გათეთრებულ მკლავებს როგორ აიქნევდა ჰაერში სარეცხის გასაფერთხად, მერე ძუძუებშიდან როგორ ამოიღებდა სამაგრებს და თოკებზე კოხტად მიამაგრებდა.

რაც ზამთარი დადგა, აივანზე იშვითად ჩანდა, ფანჯრის რაფაზეც დიდი ქილებით სულ ფერად-ფერადი წნილები ჩაამწკრივა. ხანდახან თუ გამოიხედავდა, უკვე ვიცოდი, მე მძებდა, ხელის დაქნევას როგორ დავაცლიდი! კორპუსის ქვეშ მივირბენდი, ქალაქში შეხვეულ ფულს გადამომიგდებდა და მეოთხე სართულზე პურს წუთში ავურბენინებდი.

ჰოდა, დაბადების დღეზეც იმიტომ დამპატიუა. სტუმარს ლამაზად ხომ უნდა ეცვას! საგარეო კაბა კი ცოტა დასრესილია, მაგრამ არა უშავს, ბებიჩემივით სველ ხელს დავისვამ, სანამ იქ მივალთ, თავისით გასწორდება...

მამამ ამასობაში პირი გაიპარსა და თმები ბრიოლინით აილაპლავა, რაც ხელეზე დარჩა, მეც მიმის-მომისვა თავზე, ერთიანად შემათავალიერა და უცებ სახეში სერიოზულად შემომაცქერდა:

– ეს კარგი, მაგრამ საჩუქარზე რა ვქნათ?

უყვართ უფროსებს ასეთი შეკითხვები. გაფიქრებენ, განვალბებენ, შენ თუ არ უპასუხე, არაფერი გამოვა, პასუხი კი უშეწოდებ თავიდანვე კარგად იციან:

– რა და, – ვაზაში რომ ბებიაშენის ყვავილებია. დედაშენის გასახარად ბარემ აქედანაც მოვაშორებთ.

დედა ჯერ ცოცხალ ყვავილებსაც ვერ იტანდა, ალერგიული ვარო, ეს ხელოვნური ყვავილები ხომ მოთმინებას აკარგვინებდა, თავისიან-

ებში ამბობდა, სულ ჩემს დედამთილს მაგონებს, რასაც ვაკეთებ, მგონია, ჩუმად მითვალთვალბსო.

ბებიჩემს კი, თითქოს ჯინაზე, შუა ოთახში, მრგვალ მაგიდაზე ედგა. ოდესღაც ვილაგას რუსეთიდან ჩამოუტანია, მოკლე, შინდისფრად შეღებული ზატის ბუმბულები მავთულით ვარდის კოკრებად იყო შეკრული, გრძელი მწვანე ბუმბულები – ვითომ ღერები და ფოთლები იყო.

ეს დამტვერილი ყვავილები ვაზიდან ამოვიღეთ, ნახად დავებრტყეთ და სანამ მამაჩემი ცელოფანის შავ პარკსაც მოძებნიდა, რომ გარეთ არ დაენახათ, რა გვეჭირა, მე, როგორც საზრიანმა ბავშვმა, საჩუქარი გადავკეთილშობილე, ანუ ოდეკოლონი „შიპრის“ ჩემი საკუთარი, პატარა ბოთლი დაუნანებლად ზედ დავაცალე.

გამოსვლისას მამამ ნოტების ჩანთაც დამაკავებინა. მივდივართ და მიგვიხარია!

გზაში არავინ შეგვხვედრობდა. ერთი პირველსართულიანი კი დავინახე, მაგრამ ფარდის უკან მიმაღული მითვალთვალე ხომ შეხვედრილებში არ ითვლება!

სადარბაზოში საჩუქარი ამოვიღეთ, მივასწორ-მოვასწორეთ. რომ ავედით, მამამ კარის თვალს მიუშვირა, თვითონ გვერდითა კედელს აეკრა და მეც უკან დამმალა, მერე სამჯერ ფრთხილად დააკაკუნა.

– ოი, კაკიე ცვეტი, ა კაკ პახნუტ! – ამ სიტყვებზე ნონია ტომამ ვარდები ჯერ მამაჩემის ხელიანად და მერე მთლად მამაჩემიანად თითქოს შიგნით შეისრუტ-შეისრიალა, კარი ცხვირზე მომაკეტა და დავერჩი ასე.

რალა ვქნა! გარეთ ყინავს, ქარია. სახლის გასაღები მამას უდევს ჯიბეში. დედა გვიან მოდის, ბებია ხომ საერთოდ სოფელში წავიდა, და! მეზობლებთან შესვლაც არ შეიძლება, რალაცებს შემეკითხებიან, მაინც გამომტეხავენ, მერე დედაჩემს მიუტანენ ამბავს, მერე დედა მამას ეჩხუბება, მერე მამა სახლიდან გავარდება, მერე, როგორც „მამაიდალს“, მაგრად მომიხვდება, მერე დედა იტირებს...

საერთოდ, რატომ გამოვეყვი... – ყელი ჩამეკეტა.


კიბეები დასაჯდომად ცივია, კიდევ კარგი, ეს ჩანთა წამოვიღე, საფეხურზე დავდებ და დავჯდები, მაგრამ ესეც ცივია. ფეხებიც გამცივინა, თანაც უკვე მეფსია!

ავდექი, ჯერ მამაჩემივით სამჯერ დავაკაკუნე, მერე ორივე მუშტი წავუშინე. მამამ გამიღო:

–სუ-უ! ნონია ტომა ძალიან ცუდად გახდა, კვდებოდა, ძლივს გადავარჩინე. შემოდი და აი, აქ, სამზარეულოში დაჯექი, მე კიდევ მივხედავ, იქნებ დავაძინო, აჰა, ნამცხვარი და ატმის კამპოტიც ზედ დააყოლე. გაზზე წყალს დავადგამ და შენ კარგად უყარაულე, რომ ადულდებო, დამიძახე. თუ არ დაიძინა, სხვა გზა არ არის, ფეხები ცხელ წყალში უნდა ჩავაყოფინოთ!

შემოსვლისას ოთახის შეღებულ კარში თვალი მოვკარი, ნონია ტომა მართლა იწვა.

მოსალევი მოვილიე, შესაჭმელი შევჭამე, დასალევი დავლიე, წყალიც მზადაა, მივდივარ ოთახის კართან.






- მა-მა-ა, მა-მი-კო-ო, ადუღდა! - მინდა ხმა ისე მივაწვდინო, წონია ტომა, თუ უკვე ჩაძინებულია, არ გავაღვიძო. იქიდან რალაც ბრავა-ბრუგა და კენესა ისმის. ეტყობა, ტკივილებისგან კენესის, ვერა და ვერ იძინებს, მაგრამ აგე! მამაჩემი ისეთია, დიდ სანოლსაც აკვანივით ურწევს.

ფიქრით კი ამას ვფიქრობ, მაგრამ, სინამდვილეში, შიგნით იდუმალი, საშიში, თან სასიამოვნო ფორიაქი მივლის.

წყალი კი დულს და დულს. უკვე მთელი ვეებერთელა ჩაიდანი ამოშრა და ძირმაც ტკაცა-ტკუცი დაიწყო. მოცუცქნული სამზარეულო ორთქლია, ფანჯრებზეც უკვე წვეთები ღვარად ჩამოდის. კარგად დალამდა და ვხედავ, ჩვენთან შუქიც აინთო, მერე ჩაქრა, მერე აინთო. ვილაც უკვე მოვიდა, დედაჩემის მეტი ვინ იქნება. ბებია ხომ სოფელშია, მაგრამ შეიძლება დაბრუნდა. სულ ასე არ ამბობს? - მე სადაც მინდა და როცა მინდა, მაშინ წავალ და მოვალ, ეგლა მაკლია, სხვებს შევეკითხოო.



ახლა უკვე გამეტებით ვუკაკუნებ ექიმ-ავადმყოფს.

- მა-მა-ა, ჩვენთან ვილაც მოვიდა!

- კატორი ჩას? - ავადმყოფი უცებ წამოფრინდა - ოი, ოი, ბოყე მოი, ბისტრა!

მამაჩემმაც უცებ მოიგდო ქურთუკი, მკლავში ჩატანებული კაშნე არც გამოუძვრია, პალტო ისე შემომაცვია, ქუდი თვალებზე ჩამომაფხატა და მოვცოცხეთ.

სადარბაზოს აქეთ რომ გამოვცდით, გალუული ფოსტალიონი იქიდან უკვე კორპუსის კუთხისკენ მოლასლასებდა. მამა ხელის აწევით, შორიდან მიესალმა და ამოისუნთქა:

- აუჰ, გადაერჩით!

ჯერ სადა ხარ! მთავარი წინაა.

ნეტა, ვინ გაგვიღებს კარს?

არც არავინ. უბრალოდ, მოხურულია. შუშაბანდში, დივანზე დედა ზის, უკვე გრძელი ხალათიც აცვია, ტელევიზორს ზერელედ უყურებს და კი არ გველაპარაკება, თითქოს სხვის დაწერილს ხმამაღლა გვიკითხავს:

- არ მაინტერესებს არაფერი. კეთილი ინებეთ და საიდანაც გნებავთ, როგორც გნებავთ, ის ყვაილები აქ გააჩინეთ და თავის ადგილზე დადეთ. სოფლიდან დარეკეს. ამაღამ ქალბატონი ჩამობრძანდება.

ჰო, გაბრახებულზე სულ ასეთი ლაპარაკი იცის. ხანდახან იმასაც დაუმატებს, რომ ამ ოჯახში თვითონ - ერთი შემომტანია, სხვა ყველა - გამტანი, მაგრამ ახლა იქამდე ველარ აღწევს:

- გეყოთ! ამჯერად აქედან მე წავალ და რაც გინდათ, ქენით. ხალხისა შენ არ გერიდება, ბავშვისაც არა გრცხვენია, ყველანი ერთი ჯიშისა ხართ. ყველანი...

ბოლო სიტყვები აღარ მესმის, უკვე გარეთ ვართ და ქარი შიგ ყურებში მიბზრავს.

კიდევ კარგი, შორს მაინც არა ვართ წასასვლელები!

- შენ უნდა ახვიდე. მე არ მახსენო! ეტყვი: იზვინიტე, ია უ ვას ცვეტი ასტავილა. მოუნა იხ ზაბრაც? აბა, გაიმეორე!

რას გავიმეორებდი!

– კარგი! იცი, როგორ უთხარი? – პაჟალუსტა... არა, პაჟალუსტა არ გინდა, პირდაპირ: ია ხაჩუ მაი ცვეტი. თუ კარი ფოსტალიონმა გაგიღო, ეტყვი: წონია ტომა დომა? გაიმეორე!

ეს უფრო ადვილი იყო.

ისევ კიბეზე ასვლა, ისევ კაკუნი... გაიღო, ორივე ერთად დგას. ამაზე ხომ მამას არაფერი უთქვამს, არადა მიყურებენ, მელოდებიან!

დავინყე:

– წონია ტო-მა-მა-პა-პა-პა-პა-ცვე-ტი!

სრული სიჩუმე.

ჯერ ფოსტალიონი იწყებს. მერე რუსულად ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობენ. ისე აუჩქარეს და აუჩქარეს, რას ყვირიან, მე კი არა, თვითონაც აღარ ესმით, ერთი გავარჩიე: «დურაკ ტი». ქმარი გაბრაზებული შეფარდა, წონია ტომას პოშიადა და სახე ერთი ფერის აქვს, თან ვითომ შიცინის, უკვე ცრემლები ჩამოსდის. წამწამები ნახევრად აეშვა, სულ იგლეჯს და შიგნით ისვრის. მერე ნესტოებზე ხელს იჭერს, ჯერ ისევ რალაც გაუგებარს მეუბნება, მერე:

– პადაჟდი უ აკნა, აკნო, აკოშკა! – ჰაერში თითით ოთხეუთხედს ხაზავს და კარს ხურავს.

– ყვავილები? – ცარიელ ხელებში მიყურებს მამა – რა, არ მოგცა?

– არა!

– გაგიბრაზდა?

– არა!

– მარტო იყო?

– არა!

– რამე ზედმეტი ხომ არ უთხარი?

– არა!

– აბა, რა გითხრა?

– აკოშკასთან პადაჟდიო.

– კარგი, დაველოდო!

სხვა რა გზაა! ვიცდით და ვიცდით. თან კორპუსის ძირში აქეთ-იქით დავსეირნობთ.


ცოტა ხანში ფანჯარა იღება, მოჩანს ქერა, დანაჩოსებული თავი, გავრბივართ და უკვე ვხედავთ, ბინებიდან გამომავალ ოქროსფერ შუქში სართულ-სართულ როგორ ნარნარად მოფრინავს ჩვენი თაიგული მამაჩემი აღარც მელოდება, თითქმის აფრენილია, რომ ჰაერშივე გააბას, საცაა, დაიჭერს კიდეც... მაგრამ უეცრად წამოუქროლა ქარმა სასტიკმა და აიტაცა ჩვენი ვარდები და ნაძვის ტოტზე წკიპით დაკიდა.

– ჩქარა, ქვა!.. ერთიც... ვახ, აცდა!... კიდეც... კიდეც მომიტანე... უფრო დიდი!

ირგვლივ ქვების მეტი რა ყრია, რალა ახლა გამოილია!

უფრო შორს მივრბივარ. იქიდან ვხედავ, მეორე სართულიდან ვიღაც იატაკის ჯოხს ყოფს, ხის ტოტს არხევს, არის! თაიგული დაბლა ეშვება, ჯოხიანი მოხუცი ქალი ჩვენკენ ფრთხილად იხედება, მამა სასწრაფოდ ჰაეროვან კოცნას უგზავნის, ყვავილებისთვის იხრება და უცებ მეოთხედან:

– სვოლაჩ!



ამ ხმას ხელნაკრავი წილის დიდი ქილა მოსდევს, თხლამ-დგუფ-
ლან! – და შიგ ფეხებში უფეთქდება.

ვაი, მამა, ვაი, ვარდები!

ნამიც და, მამა უკვე ფეხზე დგას გაჭიმული, ხელში დაშლილი
თაიგული უჭირავს, მთელ ტანსაცმელზე, თმებზე წვრილად დაჭრილი
კომბოსტოები და სტაფილოები ჰკივია და ბედნიერად მილიმის, მერე
ჩემკენ იხრება, სველ, მომჟაო-მომლაშო ლოყაზე ვკოცნი, ვეხუტები...

რა?

შენ ამბობ, რომ ამას, ყველაფერს მამაილა იგონებს, არა?

მერამდენედ მომიყევი და ყოველთვის – სხვადასხვანაირადო.

ღიახაც, ეს ჩემი ამბავია!

რა მნიშვნელობა აქვს, მართლა მოხდა თუ არა, მე ხომ, რამდენჯერ-
აც მოვიგონებ, ახლიდან ვხედავ, მესმის და განვიცდი, გინდ ნალვლი-
ანად ვყვებოდე, გინდ მხიარულად, და სხვა რაღა ადამიანის ნამდვილი
წარსული!





ოლესია თავაძე

სევდიანი ჩანაწერები

(ფრაგმენტები წიგნიდან)

შინაბერა ძალღი

თეთრი ძალღი პასკი კობხაა და „ქალური“, მაგრამ უკვე ასაკს გადაცდენილი შინაბერაა. ხელი კი შეეწყო, საკადრისი ზომა-წონის „ოჯახის ბიჭს“ ურიგებდნენ, მაგრამ ამაოდ. ვნება არცერთს არ ანუხებდა. სამაგიეროდ ორი ახმახი ძალღი ამშვენებს მის ბიოგრაფიას: პირველს კუცმანა ერქვა, აშკარად უფიშო იყო, მაგრამ ისეთი სიმწრით იბრძოდა „სატროვოს“ დასათრევად, რომ სამმეტრიან ლობეზე ძვრებოდა – დაუჯერებელს გაგაკეთებინებს სიყვარული. პასკი კი ყრუ იყო და მუნჯი. მეორეს თოლია ერქვა, კავკასიურ ნაგაზობას აბრალებდნენ, დასაწუნი არაფერი ჰქონდა, მაგრამ „ქალს“ აქეთ ისუნებდა. რას არ შევბოდა საბრალო პასკი, რას ხვანცალებდა! კავკასიელი ყაზილარი ზრდილობიანი კი იყო, მაგრამ ლტოლვის მაგვარი არაფერი ეტყობოდა.

ასე, წუწიობაში, შინაბერად დარჩა თეთრი პასკუალინა. უპასუხო, ცალმხრივი სიყვარული ჩვენშიც რა ხშირია.

ჩოჩორი

ჩვენს შემოღობილ სოფლის ეზოს ყოველდღე ნაცრისფერი, გაბურძენული ჩოჩორი აკითხავდა. გვერდს მოიფხანდა, წიხლებს დააბაკუნებდა და თუ დროზე არ მიეგებებოდი, ყროყინს იწყებდა – „გამიღეთ, მოვედიო!“ გაღმა სოფელში პატრონი კი ჰყავდა, მოაგარაკე, მაგრამ მარტოობაში იწყებდა, ხალხი უყვარდა, სტუმრობა, და როდესაც ჩამონაყარ ვაშლს დაახრამუნებდა და მორთმეულ პურს იკადრებდა, თამაშს იწყებდა, ციბრუტივით დატრილდებოდა, მოუქნელად დარბოდა, უკანა ფეხებით ტლინკებს ყრიდა და თუ წამოგენოდა, მოზომილად მოგაბჯენდა ყურებპარტყუნა თავს – „ხომ დაგენიე, ხომ არ გატყინიო“. თუ განსაკუთრებულად კეთილ გუნებაზე იყო, ზურგზე პატარა ბიჭსაც იჯენდა.

ჩვენ თუ არ დავხვდებოდით, სხვასთან მიდიოდა. ღამეს სად ათევდა, არ ვიცი. შაბათ-კვირას კი გულმოსული პატრონი მოძებნიდა, საბელს გამოაბამდა და სახლში მიჰყავდა.

ამასობაში შემოდგომაც მოვიდა, ქალაქს მივაშურეთ, და მერეღა გავიგეთ – პატარა ჩოჩორი (ეზო-ეზო რომ არ ვექებნეთ), პატრონმა ხეზე გამოაბა. იმ ხეზე ჰამაკიც ყოფილა გაბმული. ჩვენი ჩოჩორი იმ ჰამაკში გახლართულიყო და ჩამომხრჩვალი უნახავთ.

კ ა ტ ა

ეს კი სრულიად გაუგონარი ამბავია: უკიდევანო ტყეში, ახლომახლო მოსახლის ჭაჭანება რომ არ არის, სადაც მარტო მეცხვარეს თუ გადაეყრები, დიდ, აყვავებულ ცაცხვის ხეზე ბანრით ყელგამობმული, ჩამოხრჩობილი კატა ეკიდა.

კ უ რ დ ლ ე ლ ი

თანასოფლელი კაცები შემოდგომის წვიმიანში გულს სმასა და ღრიანცელს აყოლებდნენ. მიუსაფარია ზამთრის მოლოდინი, თუ ბუხარში ნაკვერჩხალი არ ღვივის და ჭიქა ღვინო ხელში არ გიკავია. შემთვრალეს ნამდვილი არ ჰგონებიათ, როდესაც ღია კარებში შიშისგან გულამოგდებული კურდღელი შემოვარდა.

„მასპინძლებს“ ბევრი არ დაუყოვნებიათ, და ყურცქვიტა იქვე, სამწვადეთ გაუტყავებიათ. ნამდვილი მერელა დაიჯერეს, დილით ნამთვრალეზე რა იცინოდნენ: „ეგე, მანდ ვიღაცა მოსდევდაო, „სამპრიშოლას“.

კ უ

კეთილ მეგობრებთან სტუმრობისას სიგარეტის საფერფლე კუს ფილისებურად ამოტრიალებული ბაკანი მოგვანოდეს. მერე ავკიბსნეს, თუ როგორ კეთდება კუსგან საფერფლე.

თქვენ თუ იცით, როგორ კეთდება?

არა?

მაშ, ჯობია, არ იცოდეთ.

ხ ვ ლ ი კ ი

სოფლის სახლში ხვლიკი შემომძვრალა. ვინ იცის, როდის. მაგრამ რომ უნახიათ, ისეთი აურზაური ატეხილა – ვინ ტახტზე ახტა, ვინ კედელს გაეკრო, ნივილ-კივილით ხომ იქაურობა აიკლეს. ერთი, დისახლისი არ დაბნეულა, ზორბა, სქელქუსლა, ფრჩხილებმაგარი დედაკაცი, და ერთიც ჩრია სტუმარი. ჩრია ბარი მოიმარჯვა, კივილით დარეტინებული ხვლიკი ზედ შესვა და ეზოსკენ გააქანა. ხვლიკი კარებთან დაებერტყა, და ის იყო, გაქცევა დააპირა, დისახლისმა მიუსწრო და სქელი ქუსლით მინაზე დაასრისა.

ყველამ შევებით ამოისუნთქა.

შ ვ ე ლ ი

სანამ სოფელი დაფუძნდებოდა, ჩვენს ოდას ვინ არ აკითხავდა: კურდღლები, მელიები, ტურები, ფოცხვერები – მრავლად იყვნენ. შაშვები და კოდალები კი დღესაც შემოგვრჩნენ. ერთადერთი, ეულად





შველი მოდიოდა – შორიახლოს აჩრდილივით, ფრთხალად გაირინდებოდა და ისევ ქრებოდა. ნელი-ნელ ყველა გაიკრიფა და არც შველის გაუჩინარებას ვაგუჟკვირვებოვართ.

მერე მითხრეს, ის შველი ჩემი მეგობრის მამას მოუკლავს. ნეტავი არ იყოს მართალი.

ს ა მ ფ ე ხ ა ძ ა ლ ლ ი

ქალაქში, ჩვენი სახლის ეზოში რა ძაღლს არ ნახავთ, პატრონივით გაპრანჭულს: თავმომწონედ დასეირნობენ ცისფერი პუდლები, მოჩითული დალმატინები, გარგლისფერი სპანიელები, იდიოტი პიტბულები... ძალიან თავმომწონე ძაღლებს „ძიძები“ ასეირნებენ. ამ ნარჩევ საზოგადოებაში ერთადერთი ძაღლია ყოვლად უჯიშო, უიმედოდ შავი, და ისიც სამფეხა. ოთხი ფეხის მაგივრად ოთხი წვინტლიანი პატრონი ჰყავს, ოთხი პატარა და-ძმა. არც ძიძა ჰყავს, თავსაც ვერაფრით მოინონებს, მაგრამ ჩვენს ეზოში ყველაზე ღამაზი წითელი ყელსაბაში უქეთია, ბრჭყვილა კოპლებით.

ჭ უ კ ე ბ ი

ბაზარში, რო იტყვიან, გაგანია სიცხეში, მწვანის, ბოლოკის, ბადრიჯნის, კიტრისა და პამიდვრის რიგში უაზროდ გამოჩრილი გალია იდგა, შიგ მისვენებული იხვების „ნამატი“. ჭუკები ერთმანეთის კისრებზე თავმყირილები იწვენ და თვალებს ნაბადნენ.

– გაიარეთ, გაიარეთ, არ გააღვიძოთ, ემ საათში ვაჭამე და ძლივას დავაძინე!

აქ დასაძინებლად თუ გასაყიდად მოიყვანა, – ვიფიქრე, პატრონს ავზედე. ჭუკებს, მზეზე გარუჯული, შრომაში დაბერებული, ჯმუხი შუახნის კაცი ყიდა

მ ა ხ რ ა

დუნიაზე ყველაფერს თავისი მჭამელი ჰყავს. არც მიწისქვეშეთშია უმაგისობა. კარტოფილს მიწაშიც ჰყავს მჭამელი, მაზალო სახელი ჰქვია – მახრა. ეგეთი, სქელი, მარწუხიანი ხოჭოა.

მოხუცმა ბოსტანში კარტოფილს შემოუბარა და დიდი, მსუქანი მახრა ამოაძვრინა. გვერდზე, თოხის ტარს ფეხზე არამყარად მდგარი შვილიშვილი ებლაუჭებოდა.

მოკალი, – სიცილით თქვა მოხუცმა.

ჩვილმა მხოლოდ ორადორი გოგებაშვილისეული სიტყვა იცოდა.

მოკალი, ფეხი დააბიჯე, ისევ სიცილით აუხსნა მოხუცმა ახლადფეხადგმულს.

ეს პირველი გაყრა იყო – სხვა ჭკუაზე აწყობილმა დიაცმა არც მახრას მოკვლა დაანება, არც ავ-კარგის გარჩევა.

დღეს მისი პირმშო ის კაცია, რომელსაც თავისი შვილი მორიელების სანახავად დაჰყავს.



ბ ა ტ კ ა ნ ი

ქალაქელები სამშობლოს მიწა-წყლის სანახავად პატარა ავტობუსით ვარძიაში მიდიოდნენ. თანამგზავრების ერთფეროვნებას ჩერჩვტი ბატკანი და ბელურისხელა ქალბატონი ასხვავებდა. გზა გრძელი იყო, ხან ამბავს მოყვნენ, ხან წაუძინეს, ხან კი ბატკანს ართობდნენ: სასაცილო ბანტი შეაბეს, „ჩორტიკა“ შეარქვეს და გასეირნებისას ერთმანეთს ეცილებოდნენ, საბელს ვინ დაიჭვრდა.



ვარძიაც მოინახულეს, გვარიანადაც მოშივდათ. საგზალი ამოლაგეს, კოცონი დაანთეს და მსხვერპლშენიერვის დროც დადგა. ის იყო, ბატკანს ბანტი შესხნეს, რომ ბელურისხელა ქალბატონმა იაზრა რაშია საქმე, და არნახული ენერჯითა და ხერხებით ჩაშალა მხიარული ღონისძიება.

ნეტავი გამგებინა, გზაში რას ფიქრობდა, – ბატკანი თამარ მეფის ფრესკის სანახავად მიჰყავდათ?

ს ა შ ო ბ ა ო ლ ო რ ი

უცნაურ ქალბატონს კარგი მეზობლები ჰყავდა და დიდი მოგრძო ტაშტი ჰქონდა, რომელშიც თავის ლიფსიტა შვილს აბანავებდა. ერთხელ მეზობლებს ტაშტი დასჭირდათ და ისეთი ამაგიანები იყვნენ, უარი ვერ უთხრა. იმ დღესვე დაუბრუნეს გარეცხილ-გაკრიალებული.

უცნაურმა ქალბატონმა მერეღა იკითხა, – რისთვის დაგჭირდათო? მეზობლებმა:

საშობაო ღორის დასაკლავადო.

უცნაურმა ქალბატონმა ის ტაშტი იმ მეზობლებს თავზე დაახურა, კარი მოუკეტა და იმ დღიდან ხმა არ გაუცია. არც ბოდიშმა გაჭრა და არც აუნწონავმა ამგამა... ეს იყო და ეს.

ძ ა ლ ლ ი

ერთხელ მოუსვენარმა შორს, რუსეთის ჩრდილოეთში ამომაყოფინა თავი. კალენდრით ზაფხული იყო, იქ კი ჩრდილოეთის ჩრდილოეთში ჩვენებური თებერვლის ამინდი იდგა. ამინდი მიზეზად არ გამოდგებოდა, მაინც უნდა გველო, და ერთ შორითშორ ნასოფლარს მივადექი.

სევდიანია უკაცრიელი რუსეთი ცივ ამინდში. მიტოვებული სახლები, აჭედლი კარ-ფანჯრები, გადანოლილი ღობეები და ჭინჭარი,

საქართველოში
პარლამენტის
ბიუროს
გამგზავნილი



ჭინჭარი... დაღლილი, გამურული აბანოს ზღურბლზე მივჯექი და განურჩევლობის სიმშვიდე დამეფულა. არც გამკვირვებია, როდესაც გამხდარი, გაუბედურებული ძალი კუდის ქნევით მომიახლოვდა, თვალეში ვედრებით ჩამხედა და ხელი ამილოკა. ყველაფერზე ეტყობოდა, დიდი ხანია ადამიანი არ ენახა და მონატრებია.

ჩემი „ბედნიერებას“ ერთი ეგლა აკლდა და დროზე გავეცალე. მერე, უკანა გზაზე, გემზე მჯდარს გამახსენდა, რომ ზურგჩანთაში საგზლად ძეხვის ნაჭერი მედო...

ზ ლ რ ბ ი

უშფოთველი დღე იყო. თბილისში, ვერაზე, საბავშვო ბაღის შენობის წინ, ქუჩაში დიდი შავი მანქანები იდგა. საბავშვო ბაღის წინ, დიდი შავი მანქანების გარდა, დიდი სანაგვე ბუნკერიც იდგა, ირგვლივ მიზანს აცდენილი ნავით სავსე პარკებით. იქვე, სანაგვესთან, ქუჩაში, ასფალტზე, გულაღმა, პატარა ზღარბი ედგო. ოთხივე თათი და პატარა ცხვირი ცისკენ ჰქონდა აღმართული. ზედ დიდი ბუზი დასტრიალებდა.

მ ე ო რ ე ბ ა ტ კ ა ნ ი

მეორე ბატკნის ამბავი გითხრათ. პატარა და-ძმას დედ-მამამ თერთრი ბატკანი მოუყვანა. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, ყველაფერი იმავე პროგრამით განვითარდა: სიხარული, ბანტის შებმა, ცუკვა-თანამი, გასეირნება, რაღა თქმა უნდა – სახელის შერქმევა (ამ შემთხვევაში – ცუნცულიკა) და, ბოლოს, ჩაქაფული ან ხაშლაშა (ამ შემთხვევაში – ჩაქაფული). აბა ქლაქის ბინაში დუმიან ცხვარს ხომ არ გამოზრდიდნენ?! მოკლედ, ჩაქაფულის ჭამისას, დედ-მამა ბავშვებს ზღაპარს უყვება: იცით, ბავშვებო, ჩვენს ცუნცულიკას დედიკო მოენატრა. დიდი გზა ვავიარეთ, ყაზბეგში ჩავიყვანეთ, მეცხვარე მოვანახეთ, ცუნცულიკა დაუტოვეთ, მწყემსს ფული ვაჩუქეთ, კარგად რომ მოუაროს და სამაგიეროდ სხვა ბატკანი გამოგვატანეს საჩაქაფულოდ.

ბავშვებმა ყურადღებით უსმინეს, და მერე, თვითონ ცუნცულიკებმა, ერთხმად განაცხადეს:

– ვაგიჟებულხართ, რამდენი გივლიათ, რამდენი გინვალიათ, აქ არ გყავდათ ეკ ცუნცულიკა, ფულის ხარჯვას დაგეკლათ და მოგეთავე ბინათ საქმეო.

რა საღად მოაზროვნე თაობა გვეზრდება, – ამოიხრეს ბედნიერმა მშობლებმა...

ჯ უ ჯ ა გ ოჭ ი

ჯუჯა გოჭი თუ გინახავთ? მის ტოლებში ყველა უკვე ან გაიზარდა, ან გაიყიდა, ან შეიჭამა. ამ უდღეურს გაზრდა ხომ არ უნერია, ვაყიდვით კი – ფერ-ხორციით მოაწონებ ვისმეს თუ ნერწყვს მოვადენინებს?

ერთი ხეირია – იჯექი და უყურე, სანაშენე ღორებს ფეხებში როგორ ებლანდებ; ღობე არ არის, რო არ შეძრეს, ხერელი – რო არ შეეტოს; არც უღელი შეელის, არც დაბმა, იმხელაზე ჭყვითინებს. გონი და საზრისი თავის სამყოფი აქვს, ბევრი არც რკო და სალაფავი სჭირდება.

არის და იქნებოდა ეგრე, მუდამ გოჭი, მუდამ ახალგაზრდა, მუდამ უბერებელი, მგელსაც რომ ადამიანივით არჩევანი ჰქონოდა...

ძ უ კ ნ ა

ზამთარში შიმშილით სიკვდილს ძუკნა თავისი იშვიათი სიფხიზლის გამო გადაურჩა. ერთ მოსახლეს კი ჰყავდა საეჭვო ჯიშის მწვეარი, მაგრამ ის ხმას არ იღებდა და ძუკნამ ლუკმაც იშოვა და ადგილიც დაიმკვიდრა.

მაგრამ გაზაფხულზე მეტი მოუეიდა, თავისნაირი გაურკვეველი ფერის, მოყვანილობის და წყობის ლეკვები დაყარა.

ერთი ძაღლის ყვეფიზა ხუთი რავა შევინახოო, – სამართლიანად დაიანგარიშა მოსახლემ და ძუკნა თავის ლეკვებიანად ცხრა მთას იქით გადაასახლა.

– აგი ტყეი ვილისით გავარონიე, ჩემი წონა ბენზინი დავწეი, ანი მიყაროს კაკალი, – იმედინად დაასკვნა ძიაკაცმა.

და, რა „გაუხარდებოდა“, როდესაც ძუკნამ ტყეც, ღრეც და ცხრა მთაც ბანდალ-ბანდალით გამოატარა თავისი, ფეხზე არამყარად მდგარი შთამომავლობა და უკლებლივ ყველა უკან დააბრუნა.

ჯერ ზაფხულია. ზამთარი არ დამდგარა...



მ გ ე ლ ი

შორს, ძალიან შორს, მდინარის აყოლებზე დიდი ჩანჩქერია. უფრო წყალვარდნილი – ისეთი სიმაღლიდან და ისეთი ძალით ეცემა წყალი, ისეთი გამეტებით ეხეთქება კლდეს, რომ შხეფებში ვერაფერს დაინახავ. ახლოს მისული შვეცები – წყლის გუბეში, კლდოვანზე დანარცხებული მგელი ეგდო, უკვე იერშეცვლილი და უხიფათო. ფეხი შეეშალა, თუ უფსკრულის თავზე ანგარიში გაუსწორეს? რა გაუხსენეს, ორი ბებერი ძაღლი და მჭელე ბურვაკი?

თუ ის მგელია, მონადირეებმა ბუნაგში ლეკვები რომ ჩაუხოცეს და აღარ ეცხოვრებოდა.

ვინ იცის...

თ ე თ რ ი ნ ა გ ა ზ ი

თოვლზე თეთრი კავკასიური ნაგაზი წევს, თოვლისაგან ფერით ვერ გაარჩევ. მზეს ეფიცება, ძვლებს ითბობს, ქანცამოლეულს, გაყინულს, მზემ სულზე მოუსწრო, მოათბო. ისვენებს ძაღლი, ძალას იკრებს, ძალა სჭირდება ძაღლური ცხოვრების გასაძლებლად, ლუკ-

მა პურის საძებნელად. ჩაფიქრდა, ჩათვლიმა. გვერდზე დაცემული ჩრდილი იგრძობ, შეიმშუშნა. ბრგე, ნახნაგოვანი მუტრუკი, თეძოების თამაშით მოაბიჯებდა. ძალი დანახა, გვერდულად წიხლი მოიქცია, მძიმე სათხილამურო ჩექმა კბილებში გლიჯა, მსუქნად გადააფურთხა, მიიხედ-მოიხედა და ისევ თეძოების თამაშით გზა გააგრძელა. ძალს ნკმუტუნის ძალაც კი არ ჰქონდა, ერთი ამოიბლუყუნა და ნაცემი თავი თოვლში ჩაჰყო.

კაცურმა კაცმა ჩაუარა.

შ ა ვ ი კ ა ტ ა



ახალგაზრდა ბიოლოგი და შავი კატა ერთმანეთს დასანახად ვერ იტანდნენ. ბიოლოგი საქართველოდან მოსკოვში თავის პროფესორთან ჩადიოდა, შავი კატა კი თავის სახლში ფეხმოუცვლელად ხედებოდა. ჩამოსულს ჩანთაში, ფეხსაცმელში, ქუდში მოუსაქმებდა და ვალმოხდილი, უტიფარ ყვითელ თვალებს უშტერებდა.

ამის მოთმენა შეუძლებელი იყო. დისერტაციაზე ხელს ვერ აიღებდი, ჩივილითაც ვერაფერს გახდებოდი – პროფესორს შავი კატა სამუშაო მაგიდაზე თილისმასავით ეწვა.

და, ერთხელაც, უკანა გზაზე მოსკოვიდან, ბიოლოგმა ასპირანტმა კატა გამოიტყუა, თვალები აუხვია, ჩანთაში ჩატენა, მატარებლით როსტოვამდე ამგზავრა და იქ მოისროლა ფანჯრიდან.

შემდეგ ჩასვლაზე განადგებულად შეაბიჯა პროფესორის კაბინეტში... სანერ მაგიდაზე გათხლამული შავი კატა იწვა და უტიფარ ყვითელ თვალებს უშტერებდა.

ასპირანტი ვინრო სპეციალობით ზოოფსიქოლოგი იყო.

უ ბ რ ა ლ ო ძ ა ლ ლ ი

დიდი სახლის წინ, ქვაფენილზე ადგილი დაიმკვიდრეს დანწყვილებულმა ქალმა და ძალმა, ყოველთვის ერთად, ყოველთვის ერთნაირები, უსახურები, თავჩალუნულები, კედელს მიკრობილები ისხდნენ. ჩაძინებულები ვეგონებოდა, კონსერვის კოლოფში ხურდის ჩხრიალზე, ქალი თავს რომ არ გაკრავდეს, ძალი კი თვალს არ გაყოლებდეს... თავმოყრილი ხურდა ჭიქა ღვინოს და პურის ნაჭერს ყოფნიდა, მეტიც არ უნდოდათ.

ეს ბოლო ხანია, ძალი მარტო მოდის, ქვაფენილზე წეება, თავს ჯვარედინად დანყობილ თათებზე დებს და გამველ-გამომველს თვალს აყოლებს...

პ უ დ ე ლ ი

შავი პუდელი ცირკიდან გამოავდეს. მანანალა ძალეებს შეერია და ისე გაუბედურდა, რომ პუდელს აღარ ჰგავდა. ძელეზე გაუჩნჩავი მატყლივით ეყარა ბენჯი. მაგრამ ერთხელ მაგასაც ეშველა – გულჩვილიმა ქალბატონმა შეიფარა. ახლა პუდელს ბენჯამენი ჰქვია, თერთმეტსართულიან სახლში ცხოვრობს და სავარძელში სძინავს. ჭკვი-



ანი და მშვიდია, უცებ, რაღაცის გახსენებაზე, გიჟივით წამოვარდნა რო არ იცოდეს. შურდულივით სავარძელს მოსწყდება, წინა ფეხებზე შედგება, ნელში ვაიზნიება და მთვარულივით დადის მაგიდის ირგვლივ. ასე ივლის ნაქცევამდე, სანამ ტაშს არ დაუკრავენ. მერე, თითქოს ნამძინარევს, გამოელვძიება და დარცხვნილი სავარძელს მიუბრუნდება.

ნეტა ვიცოდე, ცირკიდან ვინ გამოაგლო?

ციყვი

ერთ შავტუხა ბიჭს მამამ შორიდან საჩუქრად, დიდბორბლიანი გალიით, ციყვი ჩამოუყვანა. ციყვი ველური იყო, ერთი წუთით არ ჩერდებოდა, თათებით ისეთი სიჩქარითა და გამწარებით ატრიალებდა ვეება ბორბალს, რომ „საფეხურებს“ ზედ ასკდებოდა და ცხვირი სულ დასისხლიანებული შქონდა.

ვიცოდით, დრო უნდოდა და მოშინაურდებოდა, მაგრამ პატარა ბიჭს შავი, წყლიანი თვალები კიდევ უფრო წყლიანი გაუხდა და ციყვი წინვოვანში გაეუშვით. ჩვენი ფანჯრების წინ დიდი ნაძვებია, ზედ ტოტიდან ტოტზე კუდაპრეხილი ციყვები დაფრინავენ.

ჩვენი ციყვი რომ გაუშვით, გაპუნული იყო, ახლა კი ყველა კუდ-ფუმფულაა.



ძროხა


საინტერესოა, რა ფიქრი დაგეუფლებოდათ, ჯავახეთის იალალებზე რომ მოხვედრილიყავით.

იალალები – ზღვა, ბალახი და ყვავილები – ნელამდე, სილამაზე არ-ნახული და ამ სილამაზეში ჩვენებური ტანმორჩილი ძროხები ნებეირად ძოვენ.

არა, აქაც ჩვენი „ცივილიზებული“ მეგობრები აწონილ-დაწონილ, ქსუის დასარიგებელ რჩევებს იძლევიან.

თურმე, ძროხამ თუ არ იარა, ენერგია ენახება და სასწაულებრივად მალე, ასევე სასწაულებრივად სუქდება. ამიტომ უნდა მოვამწყვდიოთ „გაუნძრეველ“ ბოსელში, თავით კედლისკენ, უფანჯროდ, დღელამურად გაუნათოთ, რომ არ ეძინოს, ოცდაოთხი საათი ცოხნოს „კომბიკორმი“ და ერთ თვეში ერთი ტონა ცოცხალი ხორცი შენია.

შესაძლოა, ასე ჯობდეს, სხვა სამეფლი თუ არ არის...



დათვი

დათვი ბუნებაში ერთხელ ვნახე. მთიდან ბურთივით დამრგვალებული მოგორავდა. ჩვენთვის ზედაც არ შუუხედავს და ტყვიასავით გვერდზე ჩაგვიქროლა. ვერც შიში, ვერც სხვა რამე შეგრძნება ვერ მოვაქსნარი. შეიძლება ამიტომ, ვიჩუქე და სახლში მოვიტანე კავკასიური დათვის ტყავი, დაჭყეტილი შუშის თვალებით და დაკრეჭილი კბილებით. მშობლებთან ვცხოვრობდი და, ალბათ, მეც მქონდა უფლება ჩემს ოთახში დათვის ტყავი დამეფინა, და დედაჩემსაც ჰქონდა უფლება, არ მოეთმინა თავისი შვილისაგან, თავის სახლში ის, რისი მოთმენაც არ შეეძლო. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დღესაც არ ვიცი, ის ტყავი რა იქნა.

შეიძლება ამიტომ, როდესაც დღეს, ჩვენში, ვხედავ ქალაქგარეთ, სასაღილოებთან რკინის გალიაში მომწყვედულ დათვის შექვიფიანებულ ოხუნჯები მოკიდებულ სივარტს როგორ ანვდიან, დედაჩემი მახსენდება და ნაგვიანვე ბოდიშს ვუხხი.

ორი ძროხა

ჩვენს სოფელში ორი ძროხა გაიგუდა – დაიხრჩო: ერთმა კომში ჭამა, სიხარბით ყლაპა და სასულეში გაეჭედა. ხრიალში დალია სული.

მეორემ უკომშობის დროს ცელოფანის პარკები ყლაპა. იგივე მოუვიდა.

კომშები გაწყვიტოთო, ენა არ მოგიტრიალდება, აზრადაც არ მოგივა.

მაგრამ პარკები? ცელოფანის?? ტყეში???

თაგვები და ხვლიკები

ჩემი მოუსვენარი ძაღლები მთელ დღეებს „ნადირობაში“ ატარებენ.

შედეგი? – კარებთან მწკრივად ჩანყობილი, გაბრტყელებული თაგვები, ხვლიკების მოფართხალე კუდები.

თაგვები სახეუა, ხვლიკებმა კი ფანდი იხმარეს. მოფართხალე კუდები შტერ „მონადირეებს“ შეატოვეს, თვითონ კი, ალბათ ახლებს გაიზრდიან.

მე კი ვდგავარ, არ ვიცი, რაზე მეღიმება, რა მწყინს, და ყოველთვის მახსენდება თომას მანის მოთხრობა „პატრონი და ძაღლი“. ნაიკითხეთ, თუ ხელში ჩაგივარდათ.

ძაღლები

ვის როგორ აენყობა, როგორ ბედში მოხვდება. რას არ ეგუებიან ყურშები და მურიები, სად არ ცხოვრობენ! იმპერატორის სასახლის ტახტიდან მოყოლებული: სახლებში, სავარძლებზე, ლოკინებში, ნოხებზე, კალათებში, ბალიშებზე, მუთაქებზე, სადარბაზოებში, ჯისურებში, გალიებში, სხვენებზე, სარდაფებში, გარაფებში, ეზოებში – ვაჭყვით



დაბმულები, სიმზე გამობმულები, საბელით მოქაჩულები, სულაც ქუჩაში ვაგდებულები... და ბოლოს – ძალი ვნახე ხის კასრში, კასრის სარტყელზე რკინის ჯაჭვით მიჯაჭვული. დიოგენე გამახსენდა. ხუმრობის თემა თავისით მოვიდა, მაგრამ არ მეცინებოდა.

წ ე რ ო ე ბ ი

წეროებს იშვიათად ვხედავ. ან თუ ჯავახეთში მოვხვდი წეროების ბუდობის დრის, ან თუ ჩემი ოდის თავზე ისრისებური მწკრივით ვადიფრინეს.

ჯავახეთში, სახლების, საბძლების, ბოძების თავზე ბუდობენ. დიდ, ტოტებისაგან აშენებულ ბუდეებში დგანან, ერთმანეთს ყვარობენ, და, ხალხის რწმენით, იმ სახლში ბედნიერება მოაქვთ, რომლის თავზეც დაიბუდებენ.

ჩემი სოფლის თავზე კი ხიფათში არიან – მოძრავი მიზანი ცუდის აღმძრავია. თუ თოფმა არ გაისროლა, ჩვენგან სამშვიდობოს არიან, სხვაგან კი...

საინტერესოა, მსროლელს სნაიპერის უინი არ ასვენებს, თუ იმ ოჯახს უსწორდება, სადაც ბედნიერება უნდა დაბუდებულიყო?



კ ი დ ე ვ ე რ თ ი ძ ა ლ ლ ი

ჩენი სოფლის ახვარმა დღისით, მზისით, წყაროსთან, სადაც ბავშვები თამაშობდნენ, თოფის გასროლით ძალი მოკლა. რატომ და რისთვის, მაგაზე არ არის ლაპარაკი.

პატარა და-ძმას ენა ჩაუვარდა, ბიჭს კრუნჩხვები დაეწყო, წყალი იქვე იყო, ასხეს, დედამ სახლში წაიყვანა, მოუარა. მეორე დღეს ბიჭის დაბადების დღე იყო. სტუმრები ჰყავდათ. დედამ ძალის მკველიც დაპატიჟა. ფრთხილი, მშვიდობის მოყვარე ქალი იყო.

უარესი არ ქნასო.

უარესი რა უნდა ექნა?

ც ხ ე ნ ი

ულაყი ცხენი ბოსტნის ვიწრო შემოღობილში მოამწყვდიეს. ღობის გადაღმა დიდი, მწვანე ველი იშლებოდა. ვერ ისვენებდა ცხენი, დღე და ღამე ერთი და იმავე მიმართულებით წრეზე დარბოდა. წამით შეჩერდებოდა, ღობეზე აცოცებულ კვახის ლერწებს მოგლეჯდა, და ისევ კორდაზე გამობმულივით, წრეზე დარბოდა და დარბოდა.

მოსწყინდა ცხენს, სიჩქარის ქარი მოენატრა, ერთი ამოიფშვინა და ღობის ფიცრულს გადააფრინდა. ამოჩრილმა ფიცარმა მუტეკლი სიგრძივ გაუფატრა და ნანლავეები ზედ ჩამოაყრევინა.

...ფრთები მხოლოდ მერანს აქვს.



ორი ძაღლი

ორი ძაღლი ვიცი, ორმოში ჩავარდნილი: ერთი ორმო სოფლის ჭა იყო, მეორე კი ქალაქის ორმო, ორმოდ დარჩენილი. ჭაში ჩავარდნილ ძაღლს წყლის დაღვევა არ აცალეს, წამი არ დააყოვნეს, ჭა გადარჩინეს, და ძაღლიც გადარჩა. მეორე კი, თითქოს უფრო მომგებიაში, მშრალში ჩავარდა, მაგრამ ორმო ღრმა იყო და მინა ფხვიერი. ჭკუიდან გადამდგარს, დიდხანს ყმული არ მოუწევდა, ერთ ქალს, სამსახურში მიმავალს, ყოველდღე ორმოსთან საჭმელი რომ არ მიეტანა და არ ჩაეგდო. უზომოდ ენერგიული ქალი იყო, უთუოდ ქვეყანას შეძრავდა და იმ ძაღლს უშველიდა, მაგრამ ეგ როდის და როგორ მოხერხდა, არ ვიცი. ახლა ის ქალიც ცოცხალი აღარ არის, კაცმა რომ ჰკითხოს.

ტაქსა

ქუჩაში სასაცილოზე სასაცილო ტაქსა თავის კუდს დასდევდა, გულმა არ მომიტოვინა, მივეფერე.

– მოგეწონა? წაიყვა, შენი იყოს! – მომადახა პატრონმა. იქვე მჯდარა და ბავშვი ეკავა ხელში.

– როგორ წაიყვიანო? მეხუმრები? შენი არ არის?

– ჩემია და იმიტომ გაძღვე.

– ასე იოლად? რამდენი წელია რო გყავს?

ხუთი წელია, ახლა კი შვილიშვილი შემეძინა და თუ წაიყვან, წაიყვანე, თუ არა და მაინც გავუშვებ.

– კი მაგრამ, ხუთი წელი გყავდა... ეს პირველი ძაღლია, რო გყავს?

– არა, ბევრი მყავდა.

შვილიშვილებიც ბევრი ეყოლებოდა...

ხომ არავის შეგხვედრიათ ტაქსა, თავის კუდს რომ დასდევდეს?

სიამის კატა

ამრეზილი ტიპი ბოლმა პიტბულს საბელით სკვერში ასეირნებდა. იქვე, უზურგო სკამზე სიამის კატა გვერდებს ითობებდა. ბოლმამ, კატის დანახვაზე, გაიწია, პატრონმა ცბიერად საბელი მოადუნა, და...

ხუთმა კაცმა ძლივს ააგლიჯა კატა ძაღლის თავს, ძაღლის თვალი-ანად. პატრონი და ძაღლი ერთხმად კიოდნენ.

რა გაკივლებს, რა უქსევდი, რა გეგონა? – გამოესარჩლა კატას, თურმე იქვე მდგარი კატის პატრონი.

– შენი თუ იყო, ვერ გააჩერე, შენი... – მუშტების ქნევით ახლა ძაღლის პატრონმა გაიწია.

– შენი ძაღლივით არაფერი შეგეშალოს! – უპასუხა სიამის პატრონმა, და მშვიდად ჩაიწყო ხელები შარვლის ჯიბეში.

სულხან-საბას იგავ-არაკივით გამომივიდა. მორალი დღესაც იგ-ივია.



ფოქსტერიერი

პატარა მდინარის პირას კაცი თავის ფანდორა ფოქსტერიერს წრთენიდა. ჯოხს მონახავდა, მდინარეში გადაგვებდა და „ფანდორ! აპორტი! აპორტი!“-ს იძახდა. ფოქსტერიერი მონარჩენი კუდის კანკალით გაუნძრევლად იჯდა და შიზოიდური ოპტიმიზმით პატრონს თვალბეჭით შესცივინებდა. ან უცხოური არ ესმოდა ან ცეტი იყო. იქვე, მდინარის პირზე კაცის ცოლიც იყო წამოწოლილი. „აპორტი, აპორტი“ რო მობეზრდებოდა, წამოხტებოდა, გამდინარე წყალში ნაფოტს დაენეოდა, ამოიტანდა და ფანდორას ცხვირში ჩასწრიდა.

– აუ, ჩვენში ცოლების წრთენა რომ მოდიოდეს, შენი ფასი კაცი არ იქნებოდა! – გაელაზლანდარა მეზობელი. ურჩი ცოლის პატრონი იქნებოდა...

კალიები

პატარა ღორმუცელა, მსუნავი ძაღლი ისე გასუქდა, რომ დიეტაზე დასვეს. არაფერი არ ეშველა მაგის ტანწერნეტობას – ახლა კალიების ჭამაზე გადავიდა. სასიეროდ მინდორში დადის, იქ კი ქვეყნის კალიებია. ერთხელ, არ დავიზარე, დავითვალე – 87 კალია შეჭამა, რაც გამომაპარა, ისიც ხო შეირგო. კალიას რო დაინახავს, ჩაუსაფრდება, დაახტება, ზედ თათს დაადებს, მერე შემზარავი ხრამა-ხრუშით ჭამს.

აღარ ვიცი, რა ვუყო, კალიების ჯავრით ისევ მე ვაჭამო, კალიები ჭამოს, თუ არც ჭამოს და არც ისეირნოს?!

ისე, გამიგია, აფრიკაში ტომია, კალიებს ცოცხლად ჭამენ. ჩემი ძაღლი იმათი ნასწავლი არ იქნება, კახეთიდან არის, იქ დაიბადა.

ღამურა

ოთახს ვგვიდი. აგურის იატაკზე წრუნუნა დავინახე, ჩემი ძაღლის „ნაჯუკაცარი“ მეგონა. ცოცხი და აქანდაზი მოვიმარჯვე და კინალამ ორივე ხელიდან გამივარდა – პატარა, თითისტოლა საცოდაობამ უცებ პირი დააფრინა, ფრთები გაპარჭყა, გაიფხორა და დამისისინა. გული ამიჩქარდა. ცოცხალია! ღამურაა! რამ ჩამოვადო იატაკზე, ღამე თავდაყირა ძილში ძალა ხომ არ გამოცვალა? თუ ჩვენი ბრალია რამე? ცოცხალია! დღისით უსუსური, ღამითაც რისი მაქნისი. ბუნების ახირებას ხომ საზღვარი არა აქვს: წრუნუნასავით ბანჯგვლიანი, მუხლუხოჭის თავის ოდენა თავი, მუხუდოსოდენა დაცქვეტილი ყურები, ბატის ფეხბევივით აპკიანი ფრთები, და ეს ყველაფერი ჩვილი ბავშვის ხელის გულზე დაეტივა!

ფრთხილად შემოვდე აივნის კარადის თავზე. ერთხელაც დამისისინა, „შემამინა“ და ისევ დაიძინა.

ამ პატარა მოკუმულმა სიცოცხლემ მართლა ისე როგორ შეამინა ის პირველი ადამიანი, რომელმაც სამაგიერო გადაუხადა და „ბნელეთის მოციქულებში“ გაამწესა.

ნეტავი, ხვალ დილით აივნის კარადის თავზე არ დამხვდეს.



ს ხ ვ ა ზ ღ ა რ ბ ი

მეორე ზღარბი მშენებარე სახლის ორმოში ჩავარდნილიყო, ერთი ბენო, უსუსური. სიკეთემ ამოიყვანა და მოსაველელად მოგვაბარა. მუშტისოდენას ტანზე ეკლებს შორის ქვეყნის მატლები დასეოდა. დავბანეთ, რძე წვეთებდა ვასვით, ბრინჯისოდენა მატლებს საითაოდ ვაცლიდით, რბილ ბუდეში ჩავანვინეთ, მაგრამ ვერაფერი ვუშველეთ...

მერე პატარა აკვარელის კოლოფი მოურგეთ, ლამაზი ზორტებით შევკარით, და მინდვრის ყვავილები დავაყარეთ.

ა ნ კ ა რ ა

სოფლის განაპირას, დიდ, ძალიან დიდ მინდორზე ბილიკია ვატკეპილი კარგ ამინდში სასეირნოდ. კარგა ხანს, მინდვრის დასაწყისში, ერთსა და იგივე ადგილას, ბილიკს ზანტი ზღაზვნით მოზრდილი ანკარა გვიღობავდა. ჯერ შეჩერდებოდა – ჩაფიქრებული, მერე, ეტყობა, მოვეწონეთ, შეგვეჩვია და ნდობით ჩვენკენ მოიგრაგნებოდა. გვეკონა, გვცნობდა და გველოდა. მერე წვიმიანი დღეები მიყვა, და როცა ისევ სასეირნოდ გავედით მინდვრის დასაწყისში, იმავე ადგილას, ჩვენი ანკარა ქვით თავგაჭექილი დაგვხვდა.

ნეტა, ჩვენს მოლოდინში გზაზე ასე უიღბლოდ ვის გადაეყარა?

ს პ ი ლ ო

მოხუცი ფანჯარასთან იჯდა. ბევრი წელია „მცენარეული“ ცხოვრებით ცხოვრობდა. სადაც დასავამდნენ – იჯდა, დაანვენდნენ – ინვა, აჭმევდნენ – ჭამდა. ვერავის ვერ ცნობდა, ხმას არ იღებდა, სიტყვას არ ამბობდა – ყრუ სკლეროზი ჰქონდა. ფანჯარასთან იჯდა, ფანჯარას უსიცოცხლო მზერით მიჩერებული.

უცებო, ვერც იტყვი, იმდენად მშვიდად და მკაფიოდ წარმოსთქვა: სპილო.

სპილო, – უემოციოდ გაიმეორა.

სპილილო.

ოთახში შემოსულმა შეიღმა ყურებს არ დაუჯერა. შემცბარი, მოხუცთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, ფანჯრისკენ მზერას თვალი გააყოლა.

პლენანოვის პროსპექტზე (ან დავით აღმაშენებლის) უზარმაზარი სპილო დინჯად მოაბიჯებდა. მოკაუჭებულ ხორთუმზე მომთვინიერებელი ეჯდა, უკან მეორე მოჰყვებოდა. ცირკის სპილო ყოფილა, თბილისში გასტროლებზე ჩამოსული. „სამსახურში“ მიდიოდა.

კ ო დ ა ლ ა

ჩემი სოფლის სახლი იჭმევა. დიახ, იჭმევა – ხისაა და ჭია ჭამს. ღრიჭინ-ღრიჭინი გაუდის, თუ მადაზუა. სიცხეში ტკაცუნობს, შრება, იკლებს და ღრიჭოები უჩნდება, ზამთარში ნესტისაგან ყიფინდება და კარს ვერ გააღებ. მოკლედ, ცოცხალია. მე მანყობს, მომწონს შესაჭმელ



სახლში ცხოვრება. შესაჭმელი სახლი ჭიებისა და ჩემს გარდა, კოდა-ლებსაც მოსწონთ.

ყოველდღე, შემოვლა-შემოფრენაზე არიან, კარგი ექიმებივით. სიმ-ნრით ურახუნებენ თავს ბოძებს, ძელებს, კარ-ფანჯარას. მერე ყურს უგდებენ, თუ ფუტუროს ხმაა, ესე იგი - ჭიაა დაბუდებული, და, თუ არ დააფრთხე, არ შეეშებიან, იმ ჭიას ამოათრევენ და მიირთმევენ კიდეც.

ექიმა კოდალა ჩემი სახლის, აბა რა ვთქვა! მკურნალობს, რომ ბო-ლომდე არ შეიჭამოს, ნახერხად არ იქცეს, რომ არ გაქრეს ჩვენში ოდა-სახლები...

პ ი თ ო ნ ი

სტუმარი ვის არ ჰყოლია. ისა თქვით, სტუმარი არავის რო არ ჰყო-ლია ისეთი. პითონი, მახრჩობელა გველი - ამაზე მეტი რა გინდა!

პითონი ჩვენთან სტუმრად ნაცნობმა ჰერპეტოლოგმა მოიყვანა. წარმოიდგინეთ, კარტოფილით სავსე დიდი ტომარა მხარზე გადაკიდე-ბული, ნელში რომ გზნიქავს. ასეთი მძიმე ტომრით მეოთხე სართულზე ამოვიდა, თავმოკრული ტომარა გახსნა, და დიდ, ბუხრიან ოთახში პი-თონი გაიშხლართა.

გველი სამი მეტრის სიგრძისა იყო, სისქითაც კარგა სქელი (ჯერ ჩვილიყო, აგვისხნა პატრონმა) და გრიშა ერქვა.

როგორ დავიზაფრებოდით, ისიც წარმოიდგინეთ. ცოტა რო გონს მოვედით, მასპინძლობა დაუნყეთ - კვერცხი უყვარს, მთელ-მთელს ყლაპავს, მაგრამ გრიშამ ყოვლად უზრდელურად კუდი შეგაკაქცია. პა-ტრონმა აქაც აგვისხნა:

- ერთი კვირის წინ კარგად ჭამა, ახლა არ შია, ინელებსო.


მამინ ურთიერთობა მოვინდომეთ - ხან კუდზე ექაჩეთ, ხან ყელზე შემოვიხვიეთ, მაგრამ გრიშამ აქაც სრული სისხლცივობა გამოიჩინა. თავი დაეანებეთ. ამასობაში გრიშამ ბუხარში შეძრომა მოინდომა, მერე ბუხრის წინ გემრიელად მოფხა, მერე საძილე ოთახში გასრიალდა, დიდ ლოგინზე აძვრა, ბალიშები მისწი-მოსწია და ლეიბის ქვეშ ტკბილად და-იძინა.

დავადგინეთ, რომ პითონები ზოგიერთებივით უზრდელები არიან, სტუმრად არ მოისვლებიან და თანაც ჩვენ არანაირად არ ვაინტერ-ესებთ.

მაგრამ, სათქმელად, ამისთანა სტუმრით ვინ დაიტრაბახებს?!

ე ქ ვ ს ი კ უ

თბილისის შემოგარენის ტბას - კუს ტბას, კუს ტბა ტყუილად არ ჰქვია. ნამდვილად ბევრი კუ არის ტბის ირგვლივ ფერდობზე. ასე რომ, ექვსი კუ ერთად მწკრივში მიწოლილი, დიდი გასაკვირი არ იქნე-ბოდა, ექვსივე გულალმა, ზურგზე რომ არ წოლილიყო. ზოგი ფეხებს ასავსავებდა, ზოგი კისერს აგრძელებდა, ერთი კი გაუნძრევლად, იმედ-დაკარგულად იწვა. რომელიღაცა ბუნების ტრფიალმა მოიცალა, ექვ-სი კუ მონახა, თავი მოუყარა, ამოაყირავა, მაგრამ მოთმინება არ ეყო



ის უფრო ჰაერში ცხოვრობს, ეს კი, ალბათ, უფრო – გაზაფხულის ფოთოლზე. მიმიკრიაა.

– მიმიკრია?

საბოლოოდ გამოვფხიზლდი და მიმიკრიაზე ლაპარაკს შევწყვეთი. დილა დაიწყო.

ნ რ უ ნ უ ნ ა



თავი ვის არ უნახავს, ბანალურზე ბანალური, ადამიანის მოუსპობელი თანმდევი. სოფლად ხო აკლებული ხარ – სახლებში, საბძელში, საკუჭნაოში, სხვენზე, ბატონო, და სახურავში, ძილს რო არ განებებს, ეზოში, მინდორში, სკივრში, კარადაში, უჯრაში, საპურეში, ლოგინში. მოკლედ, სად არა. ქალაქშიც, რკინა-ბეტონში საკმარისად ჩაგმანული თუ არა ხარ, ხრიკს მონახავს და უადგილო ადგილას ცურცვლებით თავს შეგახსენებს. აი, საჯაროდ, შუა ოთახში იატაკზე მაცხოვრებელი თავი კი ერთხელ ვნახე. თავი კი არა, უფრო ნრუნუნა, დაუჯერებლად მატარა, ლოდნოვს ხელა. კუდი რომ არ ჰქონოდა გამოძმული, ვერ იფიქრებდი მაგის თავგობას. შუა იატაკზე გაუნძრევლად იჯდა, თუ კუდზე მოუცაცუნებდი, მაშინ დაიჯერებდი, რო ლოდნოში კი არა, ნრუნუნაა, თანაც ცოცხალი – ხტუნვას იწყებდა, და ისევ შუა ოთახში ჩერდებოდა. თუ კუდზე ქიცინს გაუგრძელებდი, მაცივრის უკან იმალებოდა და იქ იჯდა. ბევრები სამარილეში რძეს უსხამდნენ, სათითურში კი – არაფრანს. ერთხელაც, სამარილეც და სათითურიც დაუცლელი დახვდათ. ნრუნუნა ან ავად იყო, ან დაიკარგა, ან, შეიძლება, უცებ გაიზარდა...

ზ ა ნ ზ ა ლ ა კ ე ბ ი ა ნ ი ძ რ ო ხ ე ბ ი

მოაგარაკეების სოფელში ერთმა ახალგაზრდა კაცმა ძროხები გაიჩინა. დღისით ხელოსნობდა, სახლებს გვიშენებდა, საღამოსკენ კი, ქანცამოლულელი, ძროხებს ეძებდა.

შვიდი ცალი ჰყავდა. შვიდივე ბოდილა. ხან ტყეში იბნეოდნენ, ხან მდინარის პირზე მისვენდებოდნენ. ძროხას ბოსელში ბოწოლა თუ არ ელოდება, დაბრუნება ეზარება, სადაც დაულამდება – იქ ან გაუთენდება, ან არა... კაციც ხშირად ევერ გათენებამდე ეძებდა. ბოლოს იაზრა, ან უფრო, არ დაიზარა და შვიდივეს ზანაზალაკები დაჰკიდა. სამს, ნამდვილი, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, დანარჩენს კი, რაც ხელში მოხვდა – ერთს კონსერვის კოლოფი, მეორეს – რკინის „კრუჟკა“, მესამეს – გახვრეტილი ჩაიდანის შიგ ჩაკიდებული კოვზით, და ბოლოს, – ამოტრიალებული სოფლური, „ენიანი“ პირსაბანი. სანახავად ღირდა და მოსასმენდაც. სოფელს თავმოყრილად რომ ჩაუვლიდნენ, ზანაზალაკების „შიდკაცა“ ზოგჯერ ისე შეხმატბილდებოდა, რომ სახლში დაბრუნების და დაბურების სიხარულით გათბობდა.

ახალგაზრდა კაცს ცისფერთვალემა გოგო უყვარდა, დიდხანს და უიმედოდ. ერთხელაც, დაღლილ გუნებაზე, იფიქრა, მანქანიანს იმედი უფრო მექნებო, და ძროხები გაყიდა. ჩვენს სოფელს, შედამების ზანაზალაკების ხმა დააკლდა. სამაგიეროდ, კიდევ ერთი გაუმართავი მანქანის ღრჭიალი შეემატა. უიმედობა კი ისევ დარჩა...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა

გალაკტიონის ლექსისა არ იყოს:

«ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
 არ გავიარე – რაა მამული?!»

თუ სახლში ჭრიჭინა არ გყოლია, სახლი რაა, რაა საფარი, ბოლომდე ვერ შეიგრძნობ.

ჭრიჭინა, თურმე, ძალიან შეუხედავი მწერი ყოფილა, მაგრამ მზა აქვს! შუა ღამეს თუ დასცხო, ძილი არ გინერია, ისე იჭრიჭინებს, სანამ არ გავაყრუებს. მე შენ გეტყვი, ხმაზე მიაგნებ და მონახავ. არა, უნდა მის ჭკუაზე იარო, და სანამ შენი სახლი არ მობეზრდება, მაგის სოლო კონცერტები ისმინო. სამაგიეროდ, რო ჩუმდება, როგორი მყუდრო ხდება სახლი, როგორი უძირო სიჩუმე ისადგურებს, როგორი არაამქვეყნიური.

ბ უ ზ ე ბ ი

ჩემს მეგობარს, კობტა ქალაქელ ქალს, მწყობრი, ჩამოყალიბებული თეორია აქვს... ბუზებზე ნადირობის. დილას დალაგებით იწყებს, თავის სიღამაზეს თვალს შეავლებს, მიიხედ-მოიხედავს, და თუ ბუზი დაინახა, ნადირობას იწყებს.

– ბუზის საკლავი ტარიანი უნდა იყოს, დახვეული გაზეთი სხვა გუნებაზე გაყენებს. ბუზს რომ დაინახავ, ზურგის მხრიდან უნდა მიუდგე, ბუზსაკლავის მოქნევის ნიაემა რომ არ დააფრთხოს. უნდა მოზომო დარტყმის ძალაც და დარტყმის კუთხეც. თუ სწორზე არა ზის და ნახნავზეა, საკლავის ტარიც უნდა დააირიბო, დარტყმა არც ნაჩქარევი არ უნდა იყოს, არც შენელებული, უნდა იგრძნო – ბუზი რა განწყობაზეა, ჭამს რამეს, თუ ისე, ჩაფიქრებულია. თუ ჭერზე ზის, თავაღმა საკლავის მოქნევა ძაან ძნელია, დიდი გულისყური უნდა, თუ საქმეში მთლიანად ჩართული არა ხარ – ააცდენ. ეს ყველაფერი ხომ ასეა, მაგრამ თუ ბუზთან რალაც შეუცნობადი კონტაქტი არა გაქვს, და აზრი გაგებნა, ათიდან ერთს ვერ მოკლავ. მთავარი ეგ არის, შეუცნობადი ერთიანობა, მსხვერპლ-მონადირის ფატალური დაწყვილება, რომელშიც განგებას მაინცა აქვს ადგილი. თამაშია, დიალოგი, ურთიერთობა. როგორ შეიძლება მოიწყინო, თუგინდ მანამდე, სანამ ბუზები არსებობენ, სანამ ერთი მაინც დაფრინავს!

მელიმებოდა. სერიოზულად ვუსმენდი.

ო ც და ა თ ი შ ვ ე ლ ი

თანამგზავრი არ მეშვებოდა, ამბებს თავზე მაყრიდა. ვერც გაეცლებოდი, ტყეში მიმავალი ბილიკი ერთად გასაკლელი გეჟონდა. როდესაც ოთხმოცი წლის ბებიაშისის ქელეხის აღწერას მიადგა, მეშველა მეგონა, მაგრამ ისე, «რაინდობისაკენ» გადაიხარა და ახლა იმ ოცდაათი შველის ამბავს აწვებოდა, მწუხრის სუფრას რომ შეეწირნენ. აღმა სიარულისაგან გული ისედაც ამოვარდნას მქონდა და ამ კონვეიერული ნადირობის სცენებმა სულ მომთხარა. სახლთან მისულმა შევკვიფე:





– შემეშვი, ვერ ხედავ, სული კბილით მიჭირავს, და ერთი ისიც გამაგვინენ – ეს ბებიაშენი ერთი ორბეთელი დედაბერი იყო, თუ ტახტის დედოფალი, ნახევარი საქართველოს შველ-ირემი ზედ რომ დააკალით!

პასუხს რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, კაცი საგმირო შარავანდედს იქმნიდა. შველი კი, ოცდაათი კი არა, სამიჯ რომ ყოფილიყო, ჩემს მინაწყალს დააკლდა.

მ ე ლ ი ე ბ ი

მესხეთ-ჯავახეთის იალაღები ზამთარში ერთ დიდ, უკიდევანო ველად გადათეთრებული, მზეზე უთვალავ ნაპერწკლებად ბზინავენ. საქართველოში ეს ერთ-ერთი ყველაზე გაშლილი სივრცეა, თვალი რომ არაფერს ებჯინება და ცას ერთვის. აქ სამანქანო ჩაჭრილი გზით თუ ივლი, აქეთ-იქით თოვლი კაცის სიმაღლეზე დევს, ჩაიფლობი. ველზე კი, აქა-იქ, შორიახლოს, პატარა მელიები დასუნსულობენ. ალაგ-ალაგ ჩერდებიან თოვლში ჩქარ-ჩქარა ორმოებს თხრიან, შიგ თავს ყოფენ, და, იმედია, რაღაცას პოულობენ, ალბათ თავგვეს. მანქანით მოსიარულეებს არ უფრთხიან. ეტყობა, ჩვენი ზორბა მძღოლისა არ იყოს, სხვებიც ავტომატის გარეშე მოძრაობენ, თან არც თოვები დააქვთ და არც მშვილდ-ისარი. თოვლიან გზაზე ქეხსაც ვერ ნახავ, რო მოიხელოთ, და, თუ გაკვირდებოდა, მელიას მიუწვდინო და თავში ხეთქო, გულის მოსაოხებლად.

ამიტომაც, მელიების დანახვაზე, მათი დარდით გული შიშით არ მიცემს და ღიმილით ზამთრის უფერულ მზეს ვეფიცხები.

ს ა ბ რ ძ ო ლ ო მ ა მ ლ ე ბ ი

ვნებათა ლელვის დეფიციტი თუ გაქვს და საკუთარი თავი მოგბეზრებია, ტოტალიზატორი მაგის პირველი წამალია. ეგ ჭირდა ალბათ ერთ საქმიან კაცს, სერიოზული სამსახურის მეცნიერ მუშაკს. საბრძოლო მამლები გაიჩინა. საბრძოლო მამლები ჩვეულებრივებს ჰგვანან, მაგრამ ბევრად პატარები და გამხეცებულები არიან. ერთს ერთ ჯიბეში ჩაისვამდა, მეორეს – მეორეში და ასე ცხადდებოდა სამსახურში. მამლებს, თანამშრომლების თვალწინ, ჯიბეებიდან ამოიყვანდა, და... სისხლისმღვრელი ომის დასაწყებად, მებრძოლებს ერთმანეთის დანახვაც ჰყოფნიდათ.

ეგრევე აფრინდებოდნენ ერთმანეთს, და თუ არ გააშველებდი, ტვინის შერყევამდე უნისკარტებდნენ ერთიმეორეს თავებში. მაყურებელი თანამშრომლები ტოტალიზატორის პრინციპით ნიძლავდებოდნენ – რომელი მამალი მოიგებდა და გადარჩებოდა.

მეცნიერება ამ გზით წინ ვერ წაინვედა და პატრონიც და მამლებიც სამსახურიდან დაითხოვეს.

სადმე სხვაგან მოიკიდეს თუ არა ფეხი, არ ვიცი.

შესანიერი ცხვარი

სახლის ყიდვისას ბევრი რამეა საფიქრალი. თურმე ისიც, რომ სალოცავის ახლოს არ ღირს დასახლება.

ამას ჩემი მეგობარი გვიან მიხვდა – სახლი უკვე ნაყიდი ჰქონდა. მისი ეზოს გვერდზე, დიდი, საუკუნოვანი ხის ქვეშ, ლამაზი ნიშია, ირგვლივ დაყრილი ძველი ქვევრებით. ხეებზე ჩამომხმარი ტყავები და თავის ქალები თუ ვაგიჩენს ეჭვს მშვიდი ცხოვრებისა. ასეც მოხდა. დღესასწაულების დროს სახლიდან იხიზნება – მგრძობიარეა. ერთხელ თუ შეესწრები – ცემა-ცემით როგორ მიათრევენ ყელში მოყრონჭილ შესანირს სალოცავის წმინდა გზაზე – გაუგებ (სახლის პატრონსაც და ცხვარსაც). ცხვარი ურჩობს, ფეხები უკან რჩება. რაც უფრო ახრჩობენ, მით უფრო ველურდება. რაღაცას ხვდება. ბევრს არა აქვს ისეთი ჯანი თუ ბედი, როგორიც ერთ მოზრდილ ცხვარს აღმოაჩნდა: იმდენი ათირებს და უღმერთოდ ურტყვს, რომ თოკი განყვიტა და ტყეში გავარდა. სდიეს, სად არ ეძებეს. ვერ იპოვეს.

არადა, ერთ დროს შესანიერი პატივით მიჰყავდათ, მის თავზე „საბოდისო“ იტყოდნენ, ისიც ხომ ზეგარდმო ნებით შეიქმნა მესუთე დღეს და, ცოდვის მონანიებით, შესწირავდნენ.

ფოცხვერი


ფოქსტერიერი ჩვეულებრივი სასაირონო ზოობარკის მიმდებარე ვერეს ხეობა იყო. ყველა ადგილ-კუნჭული ვიცოდით, როდის ვინ გვერჩოდა, როდის ვის ვუფრთხოდით, დავიდარაბის თავი არ გვექონდა. მაგრამ ერთხელ ყველას შეეშლება, და ერთხელაც ჩვენც გავებით შარში. დაჭაობებულ ნაწვიმარ გუბეში რაღაცა მოძრაობდა. ფოქსტერიერი აშვეებული იყო და ვინაობის დასადგენად ტალახში შეეარდა. წამში ორი არსება ერთ დიდ გორგალად გადაიქცა, და ვინ ვინ იყო, ვერ გავარჩევდი. დამხედური კატა მეგონა. ვნუხდი, ჩემი ძაღლის დარდი მქონდა, მაგრამ არც ის გამეხარდებოდა – კატა დაეგლიჯა. ბრძოლას ბოლო არ უჩანდა, დავეჭვდი, ამდენ ხანს კატა როგორ უმკლავდებოდა, და ჩემი ძაღლის სიყვარულმა ჭაობში შემაგდო. როგორ გავაშველე, მშრალზე როგორ ამოვათრიე, ყურებდავგლეჯილი სახლში როგორ მოვიყვანე, ნუ მკითხავთ.

მეორე დღეს გავიგე – ზოობარკიდან ფოცხვერი გაქცეულა და იმ გუბესთან უნახიათ. ქალაქში გადმოვდებულს, უძიროდ და უშვილოდ, ფოცხვერს არავინ ჰყავდა იმედად და გულშემატკივრად. ჩემი ძაღლისთვის კი რამხელა ძალა ვიყავი.

სევდიანი მოსაგონარია.

მელია

შუალამისას ავტომატის კაკანმა და განწირულმა კნავილმა გამაღვიძა. საათზე ოთხის დასაწყისი იყო – ტკბილი ძილის დრო. რა შეუსაბამო ავტომატის სიმძლავრის და უსუსური კნავილის ხმები. ვის არ აძინებს ამ გარინდულ ღამეში უინი ხოცვა-ჟლეტისა?! მონადირეები?



და გამახსენდა მიღებული, ძვლებამორჩილი მელია – ოთხი მოტოვე-ბული ყაზახის საგანგებო ნანადირევი. მისი გაპუნული ბენვი, ტყეებით დახვრეტილი, ბავშვს რომ ყელზე ვერ შემონვდებოდა, დიდხანს ეკიდა ქალაქის აივნის მოაჯირზე. ვერ გააშრეს, მატლები დაესია, დაღმა და ისიც ნაგავში მოისროლეს. ღირდა კი ამის გულისათვის ოთხი კაცის მანქანით აყრა, საღამოს ტბის (მარტო სახელი რად ღირს!) დათოვლილ ველზე უმწეო მელიის ალყაში მოქცევა, და შედეგად, – თვალეგავყინული, სისხლიანი ნეშტი ჯიპის საბარგულში.

თუ მამაკაცობა ისაა, რომ ერთმანეთთან არ გატყდე, ერთმანეთის დასანახად ხელი არ ავიკანკალდეს, თოვლიან ველზე მოძუგძუგე მშვიერი მელიის დანახვაზე.

მ გ ლ ის ლ ე კ ვ ი

ბედნიერია, ვისაც გინდაც ქალაქში, გინდაც ერთი ბენო, თავისი ეზო-სახლი აქვს, მით უმეტეს, თუ ძალლი ან კატა ჰყავს. პატარა გოგოს კი ვერაზე, საკუთარ პატარა ეზოში მგლის ლეკვი ჰყავდა. მონადირეებს დაუობლებიან და მუშტისოდენა ლეკვს პატარა გოგონა უფელიდა. ახალშობილი ყველა საყვარელია და გულსაკლავი. ლეკვიც უსაყვარლესი იყო. გოგონამ თავდადებით გაზარდა და, ბოლოს, ლეკვის იერს მგლობა დაემჩნა. იერს, თორემ ხასიათი ერთგული და დამყოლი ჰქონდა. ეზო საკუთარი კი იყო, მაგრამ ირგვლივ დიდი კორპუსებით შემორკალული. მალღივი სართულებიდან ყველა ეზოში იყურებოდა, და უბანში ხმა გაეარდა: – ქალაქში მგელიაო! გოგონას მოსვენება დაეკარგა, ყველა ჭკუას არიგებდა – მგელია და თავის ხასიათს არ მოიშლისო. შეგონებაში რო არ გაჭრა, ახლა მალღივი სართულებიდან მგელს ხან ტყვიას ესროდნენ, ხან მოშხამულ ხორცს შემოუგდებდნენ. ნაცაფი ხერხია შუა ქალაქში ნადირობისა...

მგელიც ერთხელ დაიჭრა და მოინამლა კიდეც. სხვა გზა არ იყო, ადრე თუ გვიან, ან მოკლავდნენ ან მოინამლავდნენ. გოგონა გერმანიის ერთ-ერთ ზოოპარკს დაუკავშირდა, მგლის შეფარვის თანხმობა მიიღო, და გაჭირვების ფასად, თავისი გამოზრდილი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ზოოპარკში გაამგზავრა.

რა გასაკვირია, ეს გოგონა პროფესიით ზოოლოგი რომ გახდა. შეკითხვაზე, თუ რატომ არ მიაბარა მგელი თბილისის ზოოპარკს, ამბობდა:

– ზოოპარკს მგლები უკვე ჰყავდა, სიბრალუღითაც არ მიიღებდნენ. და ისედაც, ჩვენი ზოოპარკი უფრო სამხეცეა, ვიდრე პარკი, სადაც ლალი ცხოველები დასეირნობენ.

პუბლიკაცია ვაფორმებულია
 ავტორის ნახატებით
 ფოტო იური მეჩითოვისა.






ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა

გიორგი გოგოლაშვილი

მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა

არის სათქმელი, რომელიც აუცილებლად უნდა ითქვას; აუცილებლად უნდა დაინეროს. ასეთია, ჩემი ღრმა რწმენით, თემა – მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა. დღეს მე შევეცდები, ამ თემაზე ვისაუბრო, ცხადია, უპრეტენზიოდ და მოკრძალებით. ნიკო ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, „ნუ დამინუნებთ!.. შემდეგ ოდესმე მას აღმოუჩნდება მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე“... მე ვწერ ქართულ ენასა და მუხრან მაჭავარიანზე...



ისე კი, თავი რომ მოგვეყარა იმ ლექსებისათვის, იმ წერილებისათვის, იმ ჩანაწერებისათვის, გამონათქვამებისათვის, იმ ფრაზებისათვის, რომლებშიც მუხრან მაჭავარიანი დედაენას უხდის ვალს, ერთ კრებულად შეგვეკრა, ეს წიგნი იქნებოდა ამ თემის საუკეთესო შესრულება...

თქვა მუხრან მაჭავარიანმა: „მესმის და ვხედავ, როგორ იგერიებს პატარა ქართველი ორთავიანი არწივის კლანჭებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენითა“! – თქვა და დასვა წერტილი. შევმატებთ რაიმეს კომენტარით? არა, ბატონო, ეს უნდა ვისწავლოთ და ხშირ-ხშირად ვიმეოროთ... უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს – ვისაც დედაენამ უნდა უხმლოს და უაბჯროს!.. დედაენამ და „დედაენამაც“!.. ამით გადავარჩენთ ქართულ ენას!.. ამით გადავარჩენთ საქართველოს!..

რა არის ქართული ენა?

ილიამ ბრძანა, ღვთაებრივი საუნჯეაო: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული ენა და სარწმუნოება“...

იაკობმა ბრძანა, ქართული ენა ჩვენი ეროვნების უმთავრესი ბურჯიაო: ეროვნებას ოთხი ბურჯი აქვს – მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოებაო...

ქართული ენა ჩვენი ეროვნული მეობის საფუძველიაო, – ეს მცენიერმა ბრძანა – არნოლდ ჩიქობავამ...

და მაინც, უფრო პოეტური, უფრო შთამბეჭდავი, და ორიგინალური განმარტება, რაიც მუხრან მაჭავარიანმა ბრძანა, მე არ მეგულება:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა!–
იმოდენაა!“

ყმანვილთათვის უფრო დააკონკრეტებს:



„ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ენაა დედამიწაზე!

ამ ენაში გამოხატულია ქართველი ხალხის ფერადი ხასიათი!
 ეს ენა სარკეა ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა!“

გემოდღვრავდა, გვაფხიზლებდა და გვაფრთხილებდა ჯერ კიდევ ამ
 ორმოციოდე წლის წინათ პოეტი:

„მრავალჯერ თუმცა ვაჟაკთა საფლავს
 დედის ათოვდა თმანი;
 სიტყვა ქართული
 ესოდენ მძაფრად
 არ სწყურებია დმანისს...“

ამას ამბობდა მუხრან მაჭავარიანი მაშინ, როცა „იდევნებოდა
 სიტყვა“! დღეს? – „დღეს იდევნება ფიქრიცო!“ – იტყვის პოეტი და
 დაგვაფიქრებს იმ საბედისწერო ფიქრით, თუ როგორ გაუმძაფრდა
 ქართული სიტყვის წყურვილი ქვემო ქართლს... როგორ გადაედო ეს
 წყურვილი შიდა ქართლს...

„არაქართველი
 ძირძველ ქართველს
 იგდებს
 აბუჩად“...

პოეტისათვის ეს საბედისწერო რეალობა... ამიტომაც იტყვის:

„მე საქართველო
 არ მსურს
 ამგვარი!“

სხვასაც ალბათ, მაგრამ ჩემს თაობას განსაკუთრებული ვალი აქვს
 მუხრან მაჭავარიანისა: სამოციანი წლების დასაწყისში ქუთაისში
 დედაქალაქიდან ამაღად მოვიდა: თბილისის უნივერსიტეტში მუხრან
 მაჭავარიანს ისეთი ლექსები წაუკითხავსო... და ხელნაწერებითა და
 ზეპირად ვრცელდებოდა:

„თუ ვინმე ფიქრობს,
 დადუმდეს ენა,
 ვერ მოესწრება!
 არა და ვერა!
 შოთა რომ არა!
 ვაჟა რომ არა!
 ტატო რომ არა!
 კიდევ ხო, მარა...
 ესენი როა?!
 ახლა კი დროა!“

სოლომონ რომა,
კვლავ დაიჭუხოს საქართველომა!

(ვიცი, მუხრან მაჭავარიანი ჯავრობს, როცა ცვლიან მის ლექსს: „ინერდენ, ამახინჯებდნენ და ავრცელებდნენ“, – წერს იგი... მაპატიოს ბატონმა მუხრანმა, მაგრამ ეს ლექსი ამ სახით მოვიდა ჩემამდე 1964 წელს, ასე ვისწავლე და ასე მახსოვს დღემდე... მაგრამ ერთიცაა: ისეთ ლექსს როცა დანერს პოეტი, გამოქვეყნებამდე მთელი საქართველო რომ ზეპირად ისწავლის, კი უნდა შეუნდოს მკითხველს მცირეოდენი ცვლილება ლამის ხალხურად ქცეული ლექსისა!..).

ამ ლექსმა უამრავი კითხვა გაგვიჩინა საბჭოთა მოწაფეებს:

- რას ნიშნავს „დადუმდეს ენა“?
- ვის სურს ჩვენი ენის დადუმება და რატომ?
- რისი დროა ახლა?
- რა შუაშია სოლომონი?
- როდის დაიჭუხა საქართველომ, კვლავ დაიჭუხებას რომ ითხოვს პოეტი?

– რატომაა ეს ყოველივე დაკავშირებული ენასთან? ღვთის მადლით, ჩემი ბავშვობის ქუთაისში იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისაც შეეძლო ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და... ჩვენ სულ სხვანი ვავხდით... ისეთები, ვინც ჩვენდათავად სამოციანი წლების ბოლოს სტუდენტურ შეკრებებზე ვბედავდით, ეს ლექსები გვეთქვა და „საქართველოს მოთმინების ფილა“ გვედღეგრძელებინა...

აი, ამისთვისაც მადლობა მუხრან მაჭავარიანს, ჩვენს ცხოვრებაში იმ მძაფრი ნერვის გამოღვიძებისათვის, ქართული რომ ჰქვია!..

აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა ქუხს ხმა პოეტისა:

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს! –
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს!“

სასექტემბრო მილოცვა უთხოვიათ პოეტისთვის და ბრძანა: „მე სასწავლო წელს სულითა და გულით ვულოცავ მხოლოდ მას, ვინც სწავლობს მშობლიურ ენაზეო“...

მაინც საჭიროდ ჩათვალა უფრო დანვრილებით განემარტა:

„ყოველმა ქართველმა, უწინარეს ყოვლისა, დედაენა უნდა იცოდეს!“

ენაშია ჩვენი ქართველობა!


ენაა ჩვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი!

ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!

ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს!“

რუსთაველმა განადიდა ქართული ენა, თუ ქართულმა ენამ შექმნა რუსთაველი? მუხრან მაჭავარიანს ასე სჯერა – სხვა ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ ვერ დაინერებოდაო:





„ენა რომ არა, ისიც ასეთი,
 როგორც იტყვიან – ყალბით ნახატი!
 შენი თეთი შოთა რასაც დანერდა,
 ერთი იმასაც ვნახავდი!..“

– ასე გამოხატა პოეტურად. ახლა პროზაულად: „ქართული სიტყვა არც რუსთაველამდე და არც რუსთაველის შემდგომ არავის ისე არ დაუმორჩილება, ვითარცა რუსთაველს“... ამიტომაა რუსთაველი „ქართული სიტყვის მხედართმთავარი“. ესეც დიდებულია: სიტყვა მხედარია, სიტყვები ლაშქარია ყოვლისშემძლე გმირი მხედართმთავრის ხელში...

მუხრან მაჭავარიანმა ისიც დაინახა, რომ ქართული სალიტერატურო ენის პირველი ფართომასშტაბიანი რეფორმა რუსთაველმა განახორციელა: რუსთაველი „არ დაჯერდა მანამდე არსებულ ლიტერატურულ ენას და თავისი ნაწარმოები დანერა სრულიად საქართველოს ენით“. რუსთაველი – სულხან-საბა, ეს ერთი გენერალური ხაზია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისაო...

ჭეშმარიტად!

„ქართული სიტყვის მხედართმთავარზე“ საუბრისას საბას გაიხსენებს: „ასევე მოიქცა დიდი ქართველი მწერალი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანიო“, – იტყვის... და მუხრან მაჭავარიანის ერთგულ მკითხველს არ შეიძლება „მისი საბა“ არ გაახსენდეს – „ორი ცრემლიდან რომ საქართველოს გაჰყურებს“, ის საბა. არავის ალბათ საბა ასე არ დაუნახავს, ასე არ დაუფასებია, ასე არ შეუყვარებია ქართველი კაცისთვის, როგორც ეს მუხრან მაჭავარიანმა შეძლო... და არც ესაა შემთხვევითი: ქართულ სიტყვაზე უზომოდ შეყვარებული პოეტისათვის საბა უპირველესი ავტორიტეტია. მოეხსინოთ: „მიყვარს ლექსიკონში კარკიტი. განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონია ჩემი უსაყვარლესი წიგნი“... საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებით დასცქერის პოეტი ლექსიკონში შემორჩენილ გარდაცვლილ სიტყვებს:

„მიგჩერებივარ და... სიტყვაც მომჩერებია.
 ვუყურებ და... სიტყვაც მიყურებს.
 მიყურებს, როგორც სურათი, – ოდესღაც ცოცხალი კაცისა...“

სიტყვაზე რომ ამდენს ფიქრობს, ამდენს მსჯელობს პოეტი, ამაში წვლილი საბასაც უდევს უთუოდ:

„ცხენს სხვას არ ანდობს კარგი მხედარი.
 ხარს სხვას არ ანდობს კარგი მეზრე.
 თოფს სხვას არ ანდობს კარგი მონადირე.
 მე მყავს ჩემი საყვარელი სიტყვები.“


(ცხენზე, ხარზე და თოფზე უფრო საყვარელი)“-ო და ამით იმას ამბობს, არც ამ სიტყვების (და ზოგადად ენის) ნდობა შეიძლება სხვისთვის – ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ, ჩვენვე უნდა მივხედოთ...

საბას მაღლი არის ალბათ იმაშიც, მუხრან მაჭავარიანმა შვიდ ქართულ სიტყვას შვიდი დიდებული გამოკვლევა რომ უძღვნა, ერთ



წინადად შეკრა და მოკრძალებული სახელი – „რამდენიმე სიტყვა“ – უწოდდა... ქართული ენის უზომო სიყვარული ამითაც გამოხატა...

ჩემი რჩევა კოლეგა ენათმეცნიერებს: ნუ შეეცდებით, მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში (და ზოგადად მის ნაწერებში) სასვენ ნიშნებს მიუვსადაგოთ გრამატიკაში დადგენილი წესები; მუხრან მაჭავარიანს თავისი სიტყმა აქვს, თავისი წესები, პირობითი ნიშნები – ლექსის ინტონაციით ნაკარნახევი... ამ სასვენმა ნიშნებმა პოეტისებური ინტონაციით უნდა წაგვეკითხოთ მუხრან მაჭავარიანის პოეზია... ის აზრი უნდა დაგვანახოს, რაც პოეტმა ჩადო მასში... გავიხსენოთ: „ხმაა მთავარი! – სათქმელის შესატყვისი ხმა!“



სიტყვის ყადრი თუ ვინმემ იცის, იცის მუხრან მაჭავარიანმაც. თუმცა „როგორ შეიძლება მწერალმა სიტყვის ყადრი არ იცოდეს და მწერალი ერქვასო?!“ – გაოცებით იკითხავს პოეტი; განა არ იცის, რომ „ხახვის ფრანტა მწერლების მთელი გუნდი“ არსებობს, უსაგნო ამბიციითა და თავმონონებით „ჩემი სჯობსო“, რომ იძახიან... დედაენის ქომაგი პოეტისათვის არაა ეს უწყინარი თავმონონება: „თქვენი არ ვიცი და, მე კი დარწმუნებული ვარ: რაც ჩვენმა მოსისხლე მტრებმა საუკუნეთა მანძილზე, საქართველოს მრავალგზისი დალაშქვრით ვერ შეძლეს – სულ მალე მიაღწევენ ესენი, მოისპობა ენა ქართული! – უკეთუ ასე გაგრძელდა და ხმა არ აიმაღლა ვინმემ“. და რომ არ ვიცოდე, როდის ითქვა ეს სიტყვები (1970 წ.) და ვისი მისამართით, ვიფიქრებდი, დღეს ინერება-მეთქი... თუმცა ეს არის კლასიკა – მარად თანამედროვე...

„ეს აბსოლუტური სმენა, ეს გამჭრიახი თვალი, ეს უმდიდრესი ლექსიკა“... ამას რუსთაველზე ამბობს მუხრან მაჭავარიანი... ახლა მის „აბსოლუტურ სმენას“, „მის გამჭრიახ თვალსა“ და „მის უმდიდრეს ლექსიკას“ გავადევნოთ თვალი:

„საჩხერეს მიაშურებენ
პარასკევს ჩვენებურები
ცხამიდან მოდის ურემი,
ჩონთოდან მოდის ურემი,
იტავაზიდან მოდიან,
ბახითიდან მოდიან...
– იმე...
– კი, მარა...
– შე, კაცო...
– ქე მაინც...
და...
– რა მცოდნია!
ისმენენ ჩემი ყურები.
მოჭრიალებენ ურმები;
გოჭებით,



ინდაურებით -
მოდიან ჩვენებურები."

დავით კაკაბაძის მიერ დახატული იმერეთი არ გაგახსენდათ? ვინ უკეთ ხმარობს - მხატვარი ყალამს თუ პოეტი კალამს? ძნელია ამის თქმა... დიდოსტატია ორი მხატვარი იმერეთისა... დავით კლდიაშვილის შემდეგ იმერული დიალექტის მემკვიდრეობით იმერული ხასიათები ასე არავის დაუხატავს:

– რა საქეიფო ამინდია!..
რას იტყვი?..
– აპა!..
– დალევდი ახლა?..
ხო დალევდი?..
დალევდი?..
– იმე!.."

ანდა:

– პეტუშა გახსოვს?
– იმე!
რა ზიჭი იყო!
– აპა!"

რომელი ერთი...

ესაა ენის გრძნობა; „აბსოლუტური სმენა“, „გამჭრიახი თვალი“ და „უმდიდრესი ლექსიკა“... ესაა მუხრან მაჭავარიანი...

* * *

როცა მწერალზე საუბრობს, სიტყვისადმი მისი დამოკიდებულება მთავარი მუხრან მაჭავარიანისათვის:

გიორგი ლეონიძე – „ლაპარაკობს გულში ჩამწვდომად. არც ერთი უადგილო სიტყვა...“

კონსტანტინე გამსახურდია – „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად თითქმის ერთადერთი ქართველი მწერალია, რომელმაც თავისი ზოგადქართული სულისკვეთება სრულიად საქართველოს ენით გამოამხურა (ენით, რომელიც მოიცავს დღევანდელი საქართველოს ყველა კუთხეს უკლებლივ და საქართველოზე გადათქარუნებულ ყველა საუკუნეს – ქრისტეს შემდეგ).

სერგო კლდიაშვილი – „ჩვენ ბევრი ოსტატი გვყავს ქართული სიტყვისა (ძველიც და ახალიც), მაგრამ სერგო კლდიაშვილის ოსტატობა ამ საქმეში იქამდე აღწევს, რომ მკითხველი განიცდის არა ნაოსტატარ სიტყვას, არამედ სურათსა და მოქმედებას“.

გიორგი შატერაშვილი – „ქართული სიტყვის დიდი მოურავია“... „როგორ დაიაზებით ეპყრობოდი ყოველ სიტყვას! როგორ ელოლიავებოდი! – ხან კი როგორ თავგამოდებით შეებმოდი. ქართულ სიტყვას დასტურ დიდი მოურავი მოაკლდა“...


ანა კალანდაძე – „მშობლიური ენის სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა, რაც ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში იყო და არის ლექსის უკვდავების საწინდარი...“



მუხრან ლებანიძე – „ენა ქართული, – ბევრის ხელში შესაბრაღისი, – ბედნიერია მუხრანის ხელში. ისე ბედნიერი, როგორც თვე ზი წყალში და ფრინველი ცაში“.

ირაკლი აბაშიძე – მაღლობა ლექსისათვის „ხმა კატამონთან“... „ამ ლექსის წერისას, – მარჯვენა მისი ავტორისა, მჯერა, ხელთ ეყურა თვით მაცხოვარს, ვითარცა ხელი იმ ბაღისა, წერას რომელიც სწავლობს, – მოძღვარს უპყრია მისას.“

აკაკი შანიძე – „ვისაც ქართული ენა უყვარს, ვინც ქართული სიტყვის ფერ-ხორცი იცის, ვისაც საქართველოსთვის გული შესტივია, ერთი სიტყვით – ვინც ნაღდი ქართველია, ყოვლად შეუძლებელია, მან არ იცოდეს: ვინ არის აკაკი შანიძე“... „აკაცი, რომელიც ჩიტბივით ხედავს ქართულ სიტყვებს, ხმაზე ცნობს ყოველ მათგანს...“ და სხვა... და სხვა...



აქვე ისიც გავისხენოთ, ჭკუმაღრიტი ქართველი ქართული ენით არის ავად, საქართველოთი არისო ავად... „ღმერთმა ნუმც გაჰყაროს იგი ამ სენს, ვინაიდან ეს ის სენია, რომლისაგან როგორც კი განიკურნები, ლეში ხარ მაშინვე!..“

მუხრან მაჭავარიანს თავისი ანგარიში აქვს:

„ქართული ანბანის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ენა!

ქართული ენის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ანბანი!

ორთავეს გარეშე წარმოუდგენელია საქართველო!

საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია ორთავე!“

ესეც მხოლოდ მუხრან მაჭავარიანს უნდა ეთქვა: „მთელი ქართული ანბანი (ანიდან ჰომედე) თავს ინონებს საქართველოთი:

ნამყოთი მისითა,

ანწყოთი მისითა,

უძრავითა მისითა,

მოძრავითა მისითა,

ცითა მისითა,

მინითა მისითა...“

და ესეც მუხრან მაჭავარიანს უნდა გაეგონა, დაენახა:

„ანი იძახის: – მე ყველაზე უკეთესი ვარ, აი, რამდენი ძვირფასი სიტყვა იწყება ჩემით: ალავერდი, ანანური, ასპინძა, ალუდა, ალვა, არნივი, არაგვი, ალაზანი...“

ბანი იძახის: – არა, მე ვარ ყველაზე უკეთესი, დახე რამდენი ძვირფასი სიტყვა იწყება ჩემით: ბეთანია, ბიჭვინთა, ბოლნისი, ბაზალეთი, ბზიფი, ბადრი, ბუნეცია, ბალი...“

ასე: განი, დონი, ენი, ვინი, ზენი და ა. შ.“...

ისე, იმასაც დაუჟკვირდეთ, თითოეულ ასოზე უპირველესად რომელი სიტყვები ახსენდება ჰოეტს...

ვფიქრობ... გაზეზდავ და ვიტყვი: საქართველო, ქართველი და ქართული თავის პოეზიაში იმდენჯერ არავის უთქვამს, რამდენჯერაც მუხრან მაჭავარიანს...



ერთხელ კითხვაც დაუსვამს თავისი თავისთვის, რას ისურვებდიო
და, აი, პასუხი:

„თუ მსურდეს სხვა რამ, –
 ღმერთმა დამლაზვროს!
 მსურს მხოლოდ იგი, –
 რაც საბას სურდა:
 კაცმა ქართველმა, –
 მსურს, –
 ქართულად ილაპარაკოს
 და საქართველოს, –
 საქართველო, –
 მსურს, –
 ერქვას მუდამ!“


აი, ეს არის მუხრან მაჭავარიანი:

„საქართველოთი გახარებული,
 საქართველოთი გამწარებული,
 საქართველოთი გულანთებული,
 საქართველოთი გულდათუთქული,
 ერთი სიტყვით:
 საქართველოთი დაავადებული კაცია იგი!...“
 და ჩვენც
 უნდა ვუსმინოთ მუხრან მაჭავარიანს! –
 უნდა ვენდოთ მუხრან მაჭავარიანს! –
 უნდა მივყვეთ მუხრან მაჭავარიანს!
 „გვეალბა, საქართველოვ!
 შევიძლია, საქართველოვ!
 გავიმარჯოს, საქართველოვ!“

ფოტოები: პირადი არქივი,
 მაია კუდავა

ემზარ კვიციანი

ლიტერატურული ესკიზები



განსვენებულ ელდარ კერძეაძესთან არ მქონია ახლო ურთიერთობა, მეგობრული დამოკიდებულება, მაგრამ კეთილი სალამი და თანადგომა, როცა სჭირდებოდა, არასოდეს დამიშურებია, ლექსებსაც გვარიანს წერდა და რასაც აქვეყნებდა, ყოველთვის ყურადღებით ვკითხულობდი.

თავისთვის იგი, რატომღაც, ღვიღვას ეძახდა (არ ვიცი, ვინ დაარქვა ეს მეტსახელი ან და რას ნიშნავს), ხოლო ზოგჯერ ხუმრობით ხარლამპიჩადაც მოიხსენიებდნენ. ამაზე ეციინებოდა, არ სწყინდა.

სილარიზისაგან დაღდასმულს, ერთგვარი პირქუში შესახედაობა ჰქონდა, უკმაყოფილება ეკერა სახეზე, სქელ წარბებქვემოდაც უნდოდ გიყურებდა და რალაცით წააგავდა ჰიტლერის თანამებრძოლს, მიუნხენის პერიოდის ახალგაზრდა რუდოლფ ჰესს, ინგლისელების ხელში მოხვედრილ, სამუდამო პატიმრობაში აღსრულებულ სამხედრო დამნაშავეს, თუმცა დაშავებით ელდარს არც ვინმესთვის და არც სახელმწიფოსთვის არაფერი დაუშავებია.

ის ამბავი, რომ რევაზ მარგიანის ათამდე ლექსი დაუხეპირებია (ამ ფაქტს მისი თაობის პოეტი გივი ალხაზიშვილი იხსენებს), ეპინეტში აკითხავდა და უკითხავდა თავად „მირანგულას“ ავტორს და იმას მოძალებული გრძნობებისგან თვალები უწყლიანდებოდა, დასაძრახი არაფრით არაა (არც ის არის უჩვეულო, რომ ეს ვიზიტები ზოგჯერ მახლობელ რესტორანში, თითო ბოთლ ღვინოსთან მთავრდებოდა). ნასიამოვნები და მადლიერი უფროსი კოლეგა უმცროსს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უცემდა ლექსთა კრებულებს, რაც უთუოდ მხარდასაჭერი და გამოსაცემი იყო.

ელდარ კერძეაძეს აქვს ერთი ძალზე თავისებური და შთამბეჭდავი პატარა ლექსი, რომელიც, სამწუხაროდ, მის მინიატურულ გამოცემაში არ შეუტანიათ, ლექსის შინაარსი ყოფითი და რამდენადმე მარტივია, თუმცა კარგად გადმოგცემს ავტორის მოურიდებელ პირდაპირობას, უტყებ ხასიათს. იგი ალესილი სამართებლით პირს იპარსავს, ნელ-ნელა იშორებს ნიკაპსა და ყბებზე ნილაბივით შემოვლებულ, ალუმიინის ჯამში აფუებულ ქაფს, დამრეც სარკეში სარკასტულად იმზირება და ლექსს ასე მოულოდნელად ამთავრებს: „გამოჩნდა ჩემი სამინე სახე“. მწარედ, ტკივილიანად არის ნათქვამი და თანაც მკაცრად, შეულამაზებლად მოწოდებული დაუნდობელი სიმართლეა (ამ დროს იგი ხშირად ავადმყოფობდა და დიდი დღე არც ჰქონდა დარჩენილი). კბილები ჩაუცივცვდა (სამკურნალო ფული სანყალს სად ექნებოდა!), ნიკაპი და ზედა ტუჩი ერთმანეთს მჭიდროდ მიეკრა და აპრეხილი, გაბუშტული ცხვირიც ზედმეტად გამხდარს უცნაურ გამომეტყველებას აძლევდა. ასეთი ვნახე იგი რუსებისაგან ურცხვად წართმეულ ბიჭვინთის დასასვენებელ სახლში, რომლის უფასო საგზური უამრავი სიკეთის გამკეთებელ კაცს,



მთარგმნელობითი კოლეჯის თავმჯდომარეს, ოთარ ნოდუას, მიეცა (იგი უმადურობის, გულქვაობის, მსხვერპლი ვახდა).

მე კი ახლა ერთი, უფრო სხვა შემთხვევის გახსენება მინდა. ახალი გამოზამთრებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ციოდა. ფილარმონის ტან-მაღალ ჭადრებთან, სადაც ავტობუსების გაჩერება და ყურნალ-გაზეთების კიოსკოა, ელდარ კერძევაძე შემხვდა. ხელში ბროდსკის ჯიშის წერილი, იაფიანი ვაშლით ნახევრამდე შევსებული ასევე წერილთვალა ბადურა ეჭირა. ეტყობოდა, შინისკენ მიდიოდა. მე ვაკისკენ მიმავალ ავტობუსს ველოდებოდი. ლადო ასათიანის სიძემ, მანანა ასათიანის მეუღლემ, განსვენებულმა გივი ჯანიკაშვილმა, ავადმყოფი ბავშვისთვის წყნეთში ერთი ოთახი მიშოვა. ბავშვი ნათესავებთან მყავდა დატოვებული (ჩემ გვერდით საუკეთესო ლიტერატორი და პიროვნება იაგო ვარდოსანიძე იყო ოჯახთან ერთად). როცა ელდარ კერძევაძეს მის კითხვაზე ვუპასუხე, რომ წყნეთში უნდა ავსულიყავი, გვერდულად ჩაეღიძრა. ეტყობა, კერძო ავარაკის პატრონად ჩამთვალა, ირონიულად გაანთქა და ჩამიარაკა, კარგად გაქვს საქმე აწყობილი, ნიჭის გარდა არაფერი დაკლიაო. შეეცბო, არაფერი დამიშავებია მისთვის, ეს მაინც ვუთხარი — მე უნიჭო ვარ, შენ კი ნიჭი თავში არ გეტყვა და ყურებიდან გადმოგდის-მეთქი. იმის მერე მასთან შეხვედრას ვერადებოდი და არც გამოლაპარაკების სურვილი მქონია. ჩემი შვილის დალუპვა რომ გაუგია, უკიდურესად შეწუხებულა და ეს არც იყო გასაკვირი — შეუძლებელია, შინაგანად ბოროტი ყოფილიყო. მისმა სიკვდილმა მეც ძალიან დამწყვიტა გული. როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ თბილისისადმი მიძღვნილ ქართველი პოეტების კრებულს ვადგენდი, საგანგებოდ მოვძებნე ელდარ კერძევაძის ლექსი და შევიტანე.

ნიკა ავიაშვილის ქერივი, დიდებული, ყველასათვის სათაყვანებელი ქალბატონი ქეთევან ფულარია დროდადრო მიბარებს და მაძლევს ხოლმე თავისი ძვირფასი მეუღლის საარქივი მასალებს (ნაწილი კიდევაც გამოაქვეყნე). ერთ-ერთ საქალაქდემო ალმონდა ელდარ კერძევაძის უცნობი ლექსი, რომელშიც აშკარად იკვეთება გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი, მაგრამ თვით ლექსი ავტორს ბატონ ნიკასთვის მიუძღვნია. ბატონ ნიკას ჩვეული თავმდაბლობის გამო ეს მიძღვნა გადაუხაზავს, ხოლო ხელნაწერის ფურცელი, დროისაგან უკვე გაყვითლებული, შეუნახავს. ყველამ ვიცით, რა ღრმად გრძნობდა ნიკა ავიაშვილი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას და მის სამყაროს, მშობლიურ პეიზაჟს და ხსნებული მიძღვნა ამითიც უნდა იყოს განპირობებული. ელდარ კერძევაძე ოსტატურად ფლობს მინიშნების ხელოვნებას, მისი ლექსის კითხვისას უნებურად ჩაგვესმის გალაკტიონის ერთ-ერთი უპირველესი შედევრის — „შერიგების“ გრძნეული სტრიქონები („სტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი...“).


ელდარ კერძევაძის ხსენებული ლექსის გამოქვეყნება ყოველმხრივ გამართლებულად მიგვაჩნია — ძალდაუტანებლად იკითხება ლალი, ჰაეროვანი, გულიდან დაძრული სტრიქონები.

* * *

ძღვნად ბატონ ნიკას — ავიაშვილს.

სხვა იყო ლექსთა მისთა მირონი
(ვისაც ვგულისხმობ, თავად მიხვდებით),

უულურჯესი სანაპირონი,
 მოცარტი... ქარი... თლილი თითები.
 მზერა ზვიადი, არვის ემონვის
 ბავშვი, ქუჩაში გამოპარული,
 ხან ანგელოსი და ხან დემონი,
 მაგრამ ყოველთვის რაღაც ფარული...
 ხან — სევდიანი, ხან — მხიარული,
 აუტანელი, დაუდგრომელი,
 მაგრამ ყოველთვის განიალური,
 მაგრამ ყოველთვის მიუწვდომელი.
 გაგნათლა ლექსთა მისთა მირონმა
 (ვისაც ვგულისხმობ, თავად მიხედვით),
 უულურჯესი სანაპირონი...
 მოცარტი, ქარი... თლილი თითები.



ამ ლექსის ნაკითხვის მერე ბუნებრივად ჩნდება სურვილი — გულდაგულ გადაისინჯოს ელდარ კერძევაძის არქივი, შეგროვდეს, რაც მის ნაცნობ-მეგობრებშია გაფანტული, დალაგდეს და გამოიცეს მისი უფრო სრული და მნიშვნელოვანი რჩეული, რათა ქართული პოეზიის მოყვარულებს საშუალება მიეცეთ, გაისიგრძევიან უიღბლოდ ცხოვრებაგასრულებელი, „ადრე წასული კაცის“ მართალი შემოქმედება.

* * *

წინა კვირას ნიკა აგიაშვილის ქვრივმა, ღვთიური სიკეთის ადამიანმა, ქალბატონმა ქეთევან ფულარიამ, რომელმაც ოთხმოცდაათი წლის ზღუდე უშფოთველად გადალახა, შინ მიმინვია და კიდევ გადმოშვა სხვადასხვა მასალები — ფოტოები, ხელნაწერები. ადრე დამირეკა, გული გამიხდა ცუდად, ვინ იცის, რა მომივა და შენთვის გადმოსაცემი საქალაღდე ჩემს სანოლ ოთახში, ფანჯრის რაფაზე დევსო. ამის გაგონებაზე შევწუხდი, ვანუგეშე, დავპირდი მალე ვინახულებდი და მივედი. საბედნიეროდ, ძველებურად მხნედ დამხვდა, უფროსი ვაჟი, მერაბი, და რძალი, ქალბატონი ნანა დაატრიალა, თვითონაც აფუსფუსდა, სუფრა გამიშალა. ბოლოს დაპირებული შეკერაც გამომიტანა.

ფურცლებში ერთი ფერდაკარგული, ოთხად დაკეცილი ქალაღდი აღმოჩნდა — მწერალთა სასახლის ძველისძველი ბლანკი — აწერია: „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის 3/მ მდივანი“. იგივე წარწერა რუსულადაც. მითითებულია ტელეფონიც (24-51) და მისამართი — ტფილისი, ხელოვნების სასახლე, ივ. მაჩაბლის 13. პასუხისმგებელი მდივანი ამ ასოციაციისა აღბათ ირაკლი აბაშიძე იქნებოდა. გადახეულ ბლანკზე ნიკა აგიაშვილს სახელდახლოდ ერთი სტროფი დაუწერია. გაკრული ხელია, წითელი მელანი გამოუყენებია:

ირა!

ღლეს ჯიბით დამაქვს მჭადის ნატეხი,
 აქ, სასახლეში, შემოვდი ფეხი,



და დავინახე ჩვენი ტრიფონი,
მიტომ დავწერე ოთხი სტრიქონი.

ვინ ტრიფონს გულისხმობს ბატონი ნიკა, არ ვიცი (ჩვენი რევებუკვერენხილაძე, რომ მოინდომებდეს, დარწმუნებული ვარ, გაარკვევდა). არა მგონია, უნივერსიტეტის ლექტორი ტრიფონ რუხაძე იგულისხმებოდეს. ბლანკის მეორე მხარეს ირაკლი აბაშიძის პასუხია, ასე-დაც აწერია:

პასუხი:

მჭადის ნატეხი ნეტავი
ჩემთვის მოგეცა სესხივით,
დღეს სახლში მქონდა სადილად
ლობიო ამოლესილი.

მოგეხსენება, მჭადთანა
ლობიო მეტად ტკბილია,
ზედ წინმართის შეტანა,
რომ არ მოგკვეთოს კბილია.

კოლია, ჩემო კოლია,
სოფლად გაზრდილო მჭადითა,
მჭადის ნატეხი ბროლია,
ყელში კეტივით ჩადისა.

ნეტავი მჭადის ნატეხმა
დაგაპრანის თვალია,
რომ ბოგდანოვმა არ მოგცეს
მისი „პირველი ქალი“.

ირაკლი აბაშიძე
1928 წ.

„წინმართი“, ცხადია, მწვანელი, წინმატი იქნება, მაგრამ გაურკვეველია ვინმე ბოგდანოვის პიროვნება და „პირველი ქალი“ — წიგნია, რაიმე თხზულება თუ მართლა ქალზეა ლაპარაკი. ამას საგანგებო ჩაჯდომა დაჭირდება. ბატონ ნიკას ბლომად დარჩა ასეთი ჩანაწერები. ერთი — „დროის“ რედაქციაში რომ მისულა სერგო კლდიაშვილთან ერთად (რამდენიმე სტრიქონია ლექსად ჩართული), უნდა მოვწახო და გადავწერო.

ვახტანგ ჭელიძეს საარქივო მასალებში, პანია ქალღმრთელ უწერია, რომ ძალზე ენამახვილი ალექსანდრე საჯაია მასზე და მის მეგობრებზე საკმაოდ უფროს ნიკა აგიაშვილს (მათი თაობის უბრწყინველეს მემატინეს) ხუმრობით „ორმოცი წლის ვუნდერკინდს“ ეძახდა. ეჭვი არ მეპარება, თავად უზადო იუმორის მქონე ნიკა აგიაშვილს ეს ხუმრობა სანყენად არ დარჩებოდა.


ალექსანდრე საჯაიას თითქოს ენამ უყვილა, ჩვენს დღევანდელ, ჭრელ, მეტიხმეტად გაურკვეველ სინამდვილეში ნამეტანი მომრავლდ-

ნენ მწერლობას მიტმასნილი სარფის მაძებარი, ორმოც წელს გვარი-ანად გადაშორებული, ვუნდერკინდები, რომლებიც ნიადაგ „მეცხრე ტალღაზე“ ტივტივებენ და ახლაც ზუსტად ისე წერენ, როგორ ეს თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ასაკში ხელწიფებოდათ; უმეტესად უცხოეთში შოულობენ სახელს, ლიტერატურაში თავისებურად შოუმენობენ. არც ისე დიდი ხნის წინ, ერთი ტიპური მაგალითი შევარჩიე და, ოდნავ გაგულისებულმა, რვეულში ასეთი რამ ჩავწერე:

არაფრის მქონე, ნუ მთვლი არიფად,
პოეზიაში ტყვილად თავადობ;
ცალკე არიგებს ღმერთი მარიფათს,
ნიჭზე ქე გითხრა — უკაცრავადო.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ დავრწმუნებულვართ და კვლავაც არაერთგზის დავრწმუნდებით — როდესაც შემოქმედი ადამიანის გაჩენა აქვს ჩაფიქრებული, იმ დალოცვილ ბუნებას არაფერი ეშლება. არც ძველი რომაელების ერთი მოსაზრება უნდა დავივიწყოთ: „ბუნება ერთს იძლევა, ბედისწერა (ფატუმი) — მეორეს“.





რეზო ადამია

ტრაპიზონული დღიურიდან

(გაგრძელება. დასაწყისი № 1, 2, 2009)


რამდენიმე წუთის შემდეგ ახალგაზრდა, სასიამოვნო შეხედულების ქალბატონმა ქუჩაში გამოსძახა ბავშვებს, ეფენდი ჭამო? კიო უპასუხეს. მეც თურქულად „თეშექიურ ედერიმ, ხანუმ“, დიდ მადლობას ვუხედი და ხელით საჰაერო კოცნას ვუგზავნი; შიგნით, ოთახში, რამდენიმე ქალია, ატყდა სიცილ-კისკისი. ბოლომდე არ ვიცი როგორი რეაქცია გამოიწვია ჩემმა მოქმედებამ, მაგრამ ვხედავ სასიამოვნო განწყობილებას მათში და ჩემ ირგვლივ მდგომ საზოგადოებაში. დღევანდელი სურათი ცოტა რთულად აღსაქმელია, მაგრამ როგორც დამოუკიდებელ ნაწარმოებს, აქვს თავისებური ძალა და დანიშნულება. ვარიგება-მორიგებებს აქაც ჰქონდა ადგილი, მე კიდევ, ას დოლარს არ დავუკლებ-მეთქი და მიჩუმდნენ. თემა ისეთია დიდ ემოციასაც არ აღძრავს, მაგრამ...

სალამოა, სასტუმროს რესტორანში ვზივარ. აქაურობა სავესეა ამერიკელებით, იაპონელებით. მანამდე ოთახში ჩემი მეზობელი ლუქსის ნომრის ბინადარი შემოვიყვანე. ძალიან მოეწონათ ტრაპიზონის პეიზაჟები; საქართველოდან ჩამოტანილები – იმდენად არა (მეც საშუალო დონის სურათები წამოვიღე). მერმე ამ სურათის ფასი მკითხეს. ორასი დოლარი-მეთქი. თანახმანი არიან, შემდეგ ისევ ჭოჭმანობენ. მთავარანგელოზ მიქაელის ხატები ძალიან მოეწონათ. სულ ხელის გულზე ესვენათ. ჩვენ წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელიო, ტურისტები ვართო. ამ სურათის ნაღება და ტარება გავგიძნელებდებო (თანაც სურათები კარგად არაა მშრალი). აქედან, ტრაპიზონიდან, კაბადოკიაში მივდივართო, მაგრამ ვიფიქრებთო, მითხრეს. ბოლოს ას დოლარად გამირიდნენ. ის ისეთი სურათია (რომელიც აირჩიეს), ორასადაც მეცოტავებოდა, მაგრამ ვიფიქრე, ისევ ნავალ იმ ადგილას და მაგ მოტივის სერიულად გავიმეორებ-მეთქი. ისედაც ვაპირებდი მეორედ დახატვას, რადგან, ვინც ნახა, ყველამ აღიარა, ნაღდი ტრაპიზონიაო.

რესტორანში ვარ და ჭამას უნდა შევუდგე. ამასობაში უბრალო ქალღალღე იაპონელი ლამაზი გოგოს ჩანახატი გავაკეთე, რომელიც მოპირდაპირე მაგიდასთან იჯდა. ჩემი ძმაცაქი, ახალგაზრდა მიმტანი მიყურებს და უხარია, ნახატს მე გადავცემო, მეუბნება. ღიმილით მიუტანა და მაგიდაზე დაუდო. მერმე ეს გოგო გახარებული მოვიდა ჩემთან, რალაცას ვახერხებთ და ვავებინებთ ერთმანეთს. იაპონელ ასულს ეტყობა ზედმეტად ნასვამია, მე კი, ამ დალილ კაცს, სადღიო გამოიცვდა. მერმე ალბომის ფურცელზე მისი პორტრეტის ნორმალური ჩანახატი გავუკეთე – აღფრთოვანებულმა წაიღო თავის მაგიდასთან. სამწი არიან: ეს გოგო, ერთი ამერიკელი და იაპონელი ბიჭი, რომელიც პროფესიით დიზაინერი ყოფილა, კარგი ადამიანია. ჩემ მიერ შექმნილი ხატი, რომელიც მუყაოზეა შესრულებული, ალბომიდან ამოვიღე და ვაჩვენე. მოენონა. დიდხანს აკვირდებოდა; თუ მოგონს, შეიძინე-



მეთქი, ვეუბნები. აბა საიდან, მე სტუდენტი ვარო, მეუბნება. ხატი ჩავასვენე ისევ საქალაქში და როგორც იქნა ვისადილე. ეს გოგო არ მშორდება, დარბის იქით-აქეთ. ამ ხალხს ძალიან უყვარს ხელოვნება და კარგად ესმით კიდეც. დავემშვიდობე მათ და ნომერში ავდივარ. გოგო და ბიჭი, იაპონელები, უკან გამომედევნენ, თქვენი სურათები უნდა ვნახოთო. ოთახ-ატელიე საგულდაგულოდ დაათვალიერეს. დიდი აღტაცება გამოხატეს. ტრაპიზონის ყველაზე საუკეთესო სურათს მიადგნენ,



რეზო ადამია და ნათე ბანაში.

გინდა თუ არა, უნდა მოგვყიდო. ამერიკელებსაც ეს სურათი უნდოდათ და ორმოცდაათ დოლარად არ მივეცი. თქვენი ხათრით შეიძლება დავთმო-მეთქი. ამდენი საშუალება არ მაქვსო, გოგომ, და მეც უარი შევკადრე. უთავოდ დაჩერჩებოდა ოთახში, მთვრალი იყო, ახალ, გაუმშრალ სურათს ეტაკა, ხელიც დაისვარა და კინაღამ სურათიც გამოიფუტა. მერმე როგორც იქნა გაეტიენ ოთახიდან და მეც დავისვენე. ისე გოგონა იაპონურ კალენდარში რომ გინახია, ისეთია: სანამ წავიდოდნენ ბიჭს ვუთხარი, ჩაიდი ქვემოთ რესტორანში, ის ამერიკელი კაცი მონახე და ამომიყვანე-მეთქი, მაგრამ ვერ შევაცდინე...

10 ოქტომბერი

წვიმიანი დილაა, თითქოს გამოდარებას აპირებს, მაგრამ არა! უფრო და უფრო დაიტენა წვიმის მომყვანი მოყავისფერო-მოშავო ღრუბლებით ცა და დასავლეთის ქარი ქრის ზომიერად. ზღვა ჩემი ფანჯრიდან შესანიშნავად მოჩანს ორ ნაჭრად – შუაში ქალაქის ხედი ყოფს. ზღვამაც უმატა დელვას და ლამაზი ფერები განლაგდა მის მოლურჯო-მომწვანაო ზედაპირზე, ჩემ პირდაპირ გრძელი გემი, შავამდე მუქი ფერის, მავთულზე მიბმული მშიერი ძაღლივით დაყიალობს იქით-აქეთ. ამ სურათის შემყურეს გული კი მიმიწევს წვიმიანი ზღვის მოტივისაკენ, მაგრამ, რომ გამახსენდება ორი დღის წინანდელი გვერდების ტკივილი და ჭვალეები, თავს ვიკავებ. როგორც გამოიდარებს, დამენყება უფრო რთული შემოქმედებითი პერიოდი. ამიტომ მთელი დღე ნომერში ვარ, ჩარჩოებს ვვლებ და ასი სახის წვრილმან საქმეებზე ვარ გადასული. ბოლოს ტილოების ქვეჩარჩოებზე გადაჭიმვას შევუდექი. მამს ნომერშივე ვახერხებ. ჯერ ლურსმანს ოდნავ დაეკრავ ჩაქუჩს, მერმე ქვეჩარჩოს ვიღებ ხელში და ტილოს ჰაერში ვაჭედებ მასზე, რათა ქვედა სართულის ხალხი არ ამიბუნტდეს. ყოველ მეორე დღეს იცვლებიან ტურისტები და რა ჯურის ხალხს არ ნახავ აქ! საღამოს ხატზე ვაპირებ მუშაობას, გარეთ არ წვიმს, მაგრამ ამინდი ჯერჯერობით არ უმჯობესდება. ოთახ-ატელიეში სამუშაო ყოველთვის მაქვს, ამ პერიოდში აქ



ჯამე-მეჩეთი ტრაპიზონში.

ბაცი ცერელიუმის ფერის ცის სივრცე, სივრცე და ბოლოწვეტიანი ღრუბელი შიგადაშიგ, ჩრდილო-აღმოსავლეთით ცისფერ ღრუბელთა ფენა, ოდნავი ულტრამარინი, მათ ფონზე ღრუბლები ქულა-ქულა ვუშაგებდად განლაგებულან, აღმოსავლეთ-დასავლეთის გაყოლებაზე ჩამარტოხელებული ზღვა ლივლივებს, ციმციმებს და მის ზედაპირზე მომცრო, მწვანე ფერგადაკრული ტალღები მოგორავენ, ზღვის სუფთა და გამჭვირვალე პაერია ირვვლივ. აი ასეთია ტრაპიზონული ალიონის გარემო. დღეს ქალაქის აღმოსავლეთით მივდივარ, სადაც ორი თემა მაქვს მონიშნული: ერთი მეჩეთის მონანლილობით, მეორე – ტრაპიზონის ძველებური კუთხის მოტივი. ვნახით თერთმეტი ოქტომბრის ფორტუნა რას მთავაზობს. რუსული ბაზრის გვერდით დავდექი და დავიწყე მწვანე მეჩეთის ხატვა. ქართველები აქ ბევრნი არიან. განსაკუთრებით მეძავი ქალები. სევდა და სიბრაღური მოგერევა კაცს, მათ შემხედვარეს. მთელი დღე ქუჩაში დადიან და კლიენტ პარტნიორებს დაეძებენ.

დღეს პალიტრიდან პასიური გავხადე შავი ფერი და სურათის განსხვავებული კოლორიტიც მივიღე. უფრო ცის ფერებისაკენ გადაიხარა ნახატი, შავი ფერი მხოლოდ საჭირო ჩაღრმავებისას რამდენიმე ადგილას გამოვიყენე. როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ნამუშევრის ფასს კითხულობენ. ტილოზე მუშაობისას ძალ-ღონესა და მონდომებას ვაორმაგებ და სურათი დამთავრების სტადიისკენ მიმყავს. დღის მეორე ნახევრიდან ღრუბლიანობამ იმატა, მოულოდნელად ამოვარდა ზღვის ნოტიო ქარი, რასაც წვიმაც მოჰყვა. ქართველი ბიჭები მომეხმარნენ და დასურულ ბაზარში შევედი. უწყვეტად ვაგრძელებ სურათზე მუშაობას. აქ უამრავი ხალხი ირევა, ნაღდი ბაზარია. ამ უბანშიც ყდფილან ჩემი კუთხის ქალები, გოგოები. წვიმამ უმატა, როგორც იქნა, ნახატს მოვრჩი, არა უშავს რა! ისეთია, მომავალი სურათებისთვისაც მადლებს

სხვაგვარად ვარ დაპროგრამებული და მთლიანად არ ვეკუთვნი ჩემს თავს.

11 ოქტომბერი

გუშინ ზომიერი წვიმა იყო. დღევანდელი დილა კარგად დაიწყო, მზის ამოსვლა იყო შესანიშნავი, მაგრამ მისი დახატვა ჩემთვის მრავალ სირთულეთანაა დაკავშირებული. ტრაპიზონის ზღვის ფონზე მზის ამოსვლა რომ დავხატო, პორტის ტერიტორიაზე უნდა შევიდე. ალიონზე პოლიციას რომ მივადგე, ეს დიდ უხერხულებს წარმოშობს და, ვინ იცის, შემთხვევით თუ არა. ამ დილას ისეთი ლამაზი ცა იყო, რომ ძნელია სიტყვიერად მისი აღწერა. ინტენსიური ლიმონის ფერები, ვარდისფერები,



საფიქრალს. როგორც იქნა ავიბარე და ხალხს დავემშვიდობე. წვიმამ საგრძნობლად იკლო და ჩქარი ნაბიჯებით მივიწვევ სასტუმრო „უსტასაკენ“ – ჯერჯერობით ჩემი სახლი და შემოქმედებითი კერა ხომ აქაა. ქარმა იმატა და ჩემი სურათი კინალამ თურქის ქალების ფერად-ფერად კაბიან ზურგს და უკანალს მიენება.

ნომერში ვარ და, როგორც იქნა, სულიც მოვითქვი. ყველაფრის მოწესრიგების შემდეგ მაცივრის კარს ვაღებ და... რას ვხედავ: ახალ-ახალი პროდუქტითაა სავსე, ლუდი, ვისკი, ტყბილეული, წყლები, წვენი-გები და შოკოლადები, არ ვიცი ვისგანაა მორთმეული, იმ იაპონელი გოგოსაგან ხომ არა, ვფიქრობ, გუშინ საღამოს პორტრეტი რომ ვაჩუქე? და, თუ იმან მომიტანა, რატომ მომიტანა? ვერაფერი გამიგია! მალე ალბათ ყოველივე გაირკვევა.

12 ოქტომბერი


ამინდი ისევ ურევს, ცვალებადობს, რაც პეიზაჟისტიკისთვის არასასურველია. პროდუქტით სავსე მაცივრის ამბავი გაირკვა: დამლაგებელმა მაირიემ მითხრა, კაფედან ამოიტანესო, – უთუოდ გამდიდრდა მხატვარი და შინ ისადილოს, აქვე ჰქონდეს ყველაფერიო. ასეთი პირობები, იცოცხლე, კარგია, მაგრამ სადაა მაგისი თანხა! რასაც დალევ და შეჭამ, ავერ სია გაქვს და ამოშლი, წასვლისას კი ფარას გადაიხდიო. ჰაი, რეზო! მიდი ახლა და გააჩუქე მარცხნივ და მარჯვნივ ნახატები. თუმცა წინა დღეებში რომ ჩვენი რესტორნის ოფიციალტი ბიჭი დავხატე და ვაჩუქე, იმ დღიდან თავს მევლება: შარაფი გინდა, ეფენდი? მიირთვი! რაჭი გინდა? ერთი ჭიქა? მიირთვი, ეფენდი... უფრო გაავდრების მემუნია და ამიტომ მიჩვენია ქალაქში მოტივები მოვიძიო. ამინდი თუ არ გამოსწორდება, მოვალ და ტილოების გადაჭიმვას დავინწყებ. ასე რომ, 12 ოქტომბერი გარეთ სიარულში და ოთახში მუშაობით მიიწურა.

13 ოქტომბერი

გუშინ საკონსულტო ვიყავი. კონსულტ გია ჯანჯღავას მოადგილე ლაზი ყოფილა, სოხუმში და თბილისში ნაცხოვრები. ძალზე თავისებური და კარგი პიროვნება ჩანს. მასთან ლაზებზე მქონდა საუბარი. რამდენი სოფელი იქნება თურქეთში, ბატონო ნათე, ლაზურად მოსაუბრე-მეთქი, ვკითხე. ასობით და ათასობით, ბატონო რეზო. ამდაგვარი პასუხის მერმე გული და სული გამიჯანსაღდა. ეს უზარმაზარი ეროვნული სიმდიდრეა. ტრაპიზონში, რა თქმა უნდა, ლაზები ბევრნი არიან, მაგრამ შერეულები არიან თურქებთან. ზოგიერთი ისეთი ცისფერთვალეა და ნაბლისფერთმიანი შეგხვდება, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელო-აფხაზეთში გვონია თავი.

დღეს თითქოსდა გამოკეთდა ამინდი. ყოველმხრივ მომზადებული და მოწესრიგებული მოტივზე გავდივარ. სასტუმრო „უსტას“ ახლოს ძველებური ლამაზი მეჩეთი დგას. ჩემს მატრონს, ჰუსეინ ეფენდის, დიდი სურვილი აქვს ამ მეჩეთზე შეეკმნა სურათი. ასე რომ, წინ მიდევს





13 ოქტომბრის ნათელი დღე და მისი მოვლენები. სურათი თავიდანვე კარგად წარიმართა. ჩემ ირგვლივ საზოგადოებაც ნორმალურია, მპატივებენ ჩაიზე, ძროხის რძის მანონიც მომიტანეს, სადილზე მიწვევენ, მაგრამ მე მაგისი დრო სადა მაქვს. შესანიშნავად მექცევიან თურქები. ერთ-ერთი ქართულ-ლაზურად მოლაპარაკეც აღმოჩნდა, ძალიან ვისიამოვნეთ, კარგი პიროვნება ჩანს. მერმე, საიდან, როგორ, არ ვიცი და, ტელევიზიის ხალხი მოვიდა პირადად ჩემთან, გადამიდეს ხატვის პროცესში, რუსულად დამისვეს შეკითხვები და ჩემი პასუხები ჩაინერეს. 15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ABT-არხზე იქნება გადაცემა და ვნახოთ როგორ დაამონტაჟებენ. ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ სანიმუშოდ ვერ შევძელი პასუხების გაცემა. ვუთხარი, საქართველოსა და თურქეთის კულტურის სამინისტროების შეთანხმებით ვიმყოფები თქვენთან, რომ შემდეგში თბილისში გამოფენა მოვანყო-მეთქი. ადგილობრივი ხელმძღვანელობა თუ დამეხმარა, ტრაპიზონსა და ანკარაშიც მინდა გამოფენინო-მეთქი. ვთქვი, რომ ხელოვნებას უდიდესი მისია აკისრია ხალხთა ურთიერთდაახლოებისა და დამეგობრობის საქმეში. ამ დღეებში მინდა შევქმნა ათა თურქის სახლმუზეუმის სურათი, ათა თურქს საქართველოში კარგად იცნობენ-მეთქი. ჩემი ერთ-ერთი მიზანთაგანია შევქმნა ქალაქ ტრაპიზონის ისტორიული ძეგლებისა და ზღვის სანაპიროს სურათებიც... უკეთ შემეძლო მესაუბრა, კარგი თარჯიმანი რომ მყოლოდა. თარჯიმანი გაჭირვებით საუბრობდა და მეც კინალამ მის არხზე გადავერთე. დღევანდელი სურათი ნორმალურია, კარგია. ერთ-ერთი ტრაპიზონელი ინტელიგენტი მეუბნებოდა, ასე კარგად ეს მეჩეთი ჯერ არავის დაუხატავსო (ძველი, ისტორიული ნაგებობაა). ამ მეჩეთის გეომეტრიულ ფორმებში უძველეს ბიზანტიურ ეკლესიათა დეტალებიც შეინიშნება.

ასე რომ, 13 ოქტომბერის დღე ტრაპიზონში, ჩემდა სასიხარულოდ, ერთ-ერთი ლაზურთაგანი იყო.

14 ოქტომბერი


მაღლობა უფალს, საიმედოდ დღე გათენდა. დილას სუფთა და საამოდ გამჭვირველე ცა იყო. ახლა თერთმეტის ნახევარია და ცაზე გადაღული ღრუბელი გამოჩნდა. ამინდი ოდნავ მერყეობს. არცაა გასაკვირი, გვიანი შემოდგომაა. დღეს ტილოგადაკრული მუყაოთი მივდივარ, ზომა 50 × 35 სმ.

ქალაქის ცენტრში გავედი. მოჩანს ძველი, ისტორიული სქელი კედლები. საგულდაგულოდ ავირჩიე ერთი მონაკვეთი ზღვის ფონზე. სურათი საბოლოოდ არ დაიწუნება, ისეთი გამოვიდა. დღეს ადრე მივედი ჩემს ატელიე-ნომერში და ხატზე ვიმუშავე. ბატონი გია სოჭიდან ჩამოსულა და საღამოს მენჯია. ერთი კარგი სურათი ავირჩიეთ, ქალაქის გუბერნატორისათვის გადასაცემად. ბატონი გია მეუბნება, საკონსულო გადაგიხდისო. არაფრის დიდებით-მეთქი, ვუთხარი. მხოლოდ ღვინის გაჭირვება მაქვს-მეთქი. ღვინოთი მოვამარაგებ, არაა პრობლემაო.

ამ დილას ტრაპიზონის ტელევიზიით უნდა აჩვენონ ჩემზე გადაცე-
მა. სხვა დროს ხომ არ გადაიტანეს? რალაც ძალიან ჭიანურდება, მე კი
ველოდები და ვცდები.


15 ოქტომბერი

ამინდი დაწყნარდა და შესანიშნავი დილაა, კრიალებს ცა და ზღვა.
შარშან საფრანგეთში, კერძოდ, ნორმანდიაში, ასეთი ამინდები რომ
მქონოდა, სულ სხვანაირად წავიდოდა ჩემი შემოქმედება. პირდაპირ
ტანჯვა იყო ნორმანდიაში მუშაობა. ჯერ წვიმები და ქარი აუტანელი,
მერე კიდევ მეორე სირთულე: როცა ხელს ჩაავლებ მოტივს, დაი-
ჭერ განწყობილებას, ამ დროს ოკეანის უკუქცევა იწყება და შენ წინ
სრულიად სხვა სურათი იშლება. რთულზე ურთულესი იყო იქაური
შემოქმედებითი ცხოვრება. აქ კი, ტრაპიზონში, შესანიშნავი კლიმა-
ტია მხატვრისთვის, არც ქარი იცის. ვინრო ქუჩა, ძველებური ფაი-
ტონიც რომ ვერ გაივლიდა, მაღაზიებითა და სახელოსნოებით გადატ-
ვირთული, გავიარე. სათვალე მქონდა გატეხილი, ერთ-ერთი მაღაზიის
მეპატრონემ წაიღო და საჩუქრად გამიკეთა. მერმე, მისი პორტრეტის
ჩანახატი რომ გავაკეთე, მილიონი თურქული ფარაც გადამიხადა. მე
უარი ვუთხარი, ფეშქაშად გქონდეს-მეთქი. არაო, შენ მხატვარი კაცი
ხარ, თან სტუმარი, დაგჭირდება ეგ ფულიო. მაღლობა გადავუხადე და
ერთმანეთს დავმორდით. ამ ამბავმა ბიძგი მომცა და დღეს პიროვნე-
ბის პორტრეტების ჩანახატებით ცხრა მილიონიც გავაკეთე. პურისა და
ღვინის საყიდლად იკმარებს, ამავე დროს ხატვით ხელსა და გონებას
ვავარჯიშებ. დიდმა ფრანგმა მხატვარმა, ანრი მატისმა, ბრძანა, მხატ-
ვარი ერთ დღესაც არ უნდა უშვებდეს, რამე რომ არ ხატოსო. სრული
ჭეშმარიტებაა. საღამოს ბატონმა გიამ დამირეკა, ღვინო დავტოვე
შვეიცარიდან და გადმოგცეს თუ არაო. და ამ დროს კარის ზარის ხმაც
გაისმა და შვეიცარმა სამი ბოთლი კარგი ღვინო ამომიტანა, უცხოური
ნაფარეულის მარკისა. ეს მე ხუთ საღამოს მეყოფა. დღისით იშვიათად,
რომ დავლიო. ბატონმა გიამ მითხრა, შენ ოღონდ მაგრად იმუშავე და
ღვინით მე მოგამარაგებო. შესანიშნავი თანადგომა...



16 ოქტომბერი

ცა საწვიმრად ემზადება. მაინც მინდა გავიდე მოტივზე და ეგების
სადმე თავშეფარებულმა პატარა სურათი მაინც დავხატო. ქოლგა
მაქვს და წვიმისა არ მეშინია, განსაკუთრებით ქალაქში სიარული-
სას. ვნახოთ, საღამოს, რა გუნებაზე შევხვდებით. უკვე მეთვრამეტე
დღეა ტრაპიზონში ვარ, მრავალფეროვანი და შემოქმედებითი შრომით
დაძაბული დღეებია. ცოტ-ცოტას წვიმდა, მაინც გავებდე და გავედი მო-
ტივზე. ბევრი ვიარე, რამდენიმე ჩანახატიც გავაკეთე. ისევ ცოტაოდენ-
ნი ფული (თურქული) გამიჩნდა ჯიბეში. ოთხი საათისთვის, როგორც
იქნა, ავირჩიე მოტივი და დავიწყე ხატვა ჩქარი ტემპით. თითქმის ღამე
იყო, სურათი რომ დავამთავრე. პეიზაჟი კარგი გამოვიდა. მომწვანო
კოლორიტში სახლები ცოტა მინერეულ-მონგრეულია, მაგრამ სუ-



რათს უხდება. სასტუმროში ბატონი გია მოვიდა. ხელოვნება უყვარს, განათლებული და გემოვნებიანი კაცია, კოლექციასაც აგროვებს. უნდა ვაღიარო, ძალიან სერიოზული ექსპონატებიც შეუძენია. ბევრი ვისაუბრეთ სხვადასხვა თემაზე, მერმე თბილისში წასაღები ორი სურათი მოვაშორეთ აქაურობას და საკონსულოში შევინახეთ. ერთი – ტრაპიზონის ნავსადგური გემ „აპოლონიათურთ“, მოგრძო ზომისა და მეორე – ვარდისფერი სახლი, ტრაპიზონისთვის დამახასიათებელი, რუსულ ბაზართან, ამერიკელებსა და იაპონელებს რომ მოსწონდათ ძალიან. იაჟად უნდოდათ შექენა და არ დავთმე. შემდეგ ბატონმა გიამ მანქანით საღამოს ტრაპიზონი დამათვალიერებინა, ბევრი ისტორიული ადგილი თუ საცხოვრებელი უბანი ფეხითა მქვცე შემოვილილი, მაგრამ აია სოფიას ტაძარი არ მქონდა ნანახი. უძველესი ქართული ეკლესიაა? ამ თემაზე აუცილებლად სერიოზული სურათები უნდა შევქენა. შემდეგ მინდა გავიდე წმიდა მარინეს პატარა ბაზილიკის სახატავად, შესანიშნავი ბიზანტიური არქიტექტურაა, დროთა განმავლობაში მიშენებული სახლების ვინრო გარემოცვაში.

ამინდი ისევ ურევს. ნანა შონიამ წყალტუბოდან ღვინო ჩამოიტანა, მგონი ხუთი ბოთლი. ეს დიდი რამეა ჩემთვის. დროულად უნდა ჩავიდე რუსულ ბაზარში და სასტუმროში ამოვიტანო. ერთი ქუთაისელი რუს-ქართველა გოგო, ტანია, მპირდება ათ ბოთლ ქარხნის ღვინოს გიშოვიო. ასე რომ, ღვინოს საკითხი ისევ გვარდება. მე მათ, რა თქმა უნდა, ყველას ვასიამოვნებ ჩემი ნამუშევრებით, ხატი იქნება, პეისაჯი ან მათივე პორტრეტი. ბატონმა გიამ მითხრა, ერთი თვე რომ დასრულდება, მეპატრონემ ვადა თუ გაგიგრძელა, ხომ კარგი, თუ არა და რაღაცას გაეახერხებო.

17 ოქტომბერი

დღეს თუ არ იწვიმა, ბიზანტიური ბაზილიკა უნდა დავხატო, თუ იავდრა, მაშინ ოთახში ქვეჩარჩოებზე ტილოები უნდა გადავჭმო. გავედი ქალაქის ცენტრში და მთელი ორი საათი ბიზანტიური ეკლესია ვეძიე – ჩემი მონიშნული მოტივი – და ვერაფრით ვერ მივაგენი. მერმე, ჩემს თავზე გულმოსულმა, ძველი ტრაპიზონის რთული თემა ავირჩიე – საპაერო ხიდი, შუაში მწვანესახურავიანი წითელი სახლი. სანამ თურქეთში წამოვიდოდი, თბილისში თურქეთის საელჩოში ერთ სტამბოლელ ახალგაზრდა თურქს შევეკითხე, თურქები, საერთოდ, რომელ ფერებს უფრო ეტრფიან-მეთქი. მან მიპასუხა, წითელს, მწვანეს, ყვითელს და ასე შემდეგო. მერმე თავად მივედი იმ დასკვნამდე, რომ ხალხს ის ფერები უყვარს, რა ფერის ტანსაცმელსაც იცვამს და როგორი ფერებიც ჭარბობს ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლში. საღამოს ძალიან დაღლილი მოვედი სასტუმროში. ხუთი წუთი არც იყო გასული და ბატონი გიაც მობრძანდა. ძალიან მოეწონა დღევანდელი ნაშრომი. სტუმრები მყავს თბილისიდან, ბატონო რეზო, და ნავედიო. გვიან საღამოს სასტუმროს რესტორანში შევედი. გავიხედე და... ბატონი გია თავის სტუმრებთან ერთად ზის. გელოდითო, მითხრეს და მათთან დავჯექი. გამაცნო პრეზიდენტის აპარატის წარმომადგენლები, ირაკლი ჟორჯოლიანი და მისი მოადგილე. ბევრი ისაუბრეს. მე კი


თავს ძალას ვატან, დადლილობისგან გაბრუებული ვარ. თან ფიქრები არ მშორდება და გულსა ვარ ვახეთქილი: წინა დღეებში ბიზანტიურ ბაზილიკას ორჯერ მაინც ჩავუარე და დღეს როგორ ვერ მივაგენი! თურმე, მე საცოდავმა, იმ პატარა ვინრო ქუჩასა და ბაზილიკას გარს ვუტრიალე, მაგრამ... შემდგომ ქალაქში მანქანით გავედით და ბატონმა გიამ თავისივე ნაყიდი ახალი საკონსულოს შენობა დაგვანახა. სამსართულიანი სახლია, ოღონდ გასარემონტებელი. ბოლოს სასტუმროში დაბრუნებულეზმა ჩემს ოთახში სურათები დავათვალიერეთ და გვიანობამდე ვისაუბრეთ...

18 ოქტომბერი


დღევანდელი დილა წვიმით შემომეგება, არცა მწყენია, რადგან რამდენიმე ტილო მაქვს ქვეჩარჩოებზე გადასაჭიმი. დილითვე სტუმრები საქართველოში გავაცილეთ და ჩემს საქმეს შევეუდექი. თერთმეტი ტილო გადავჭიმი. საღამოს ხუთ საათზე ქალაქში გავედი, სამი ჩანახატიც გავაკეთე და სამი მილიონი ლირაც ჩავიდე ჯიბეში ახალი მასალების შესაქენად. ჩემთვის ვავიხუმრე, ტრაპიზონის მოდილიანი ვარ, ტილოზე როცა ვმუშაობ, თურქი გოგოები მეხვეწებიან, დაგვხატო. აბა როგორ შევძლებდი მათ დახატვასაც, როცა ამდენი სამუშაო მაქვს, თანაც დღე ძალიან დაპატარავდა.

ღამის პირველის ნახევრამდე ხატზე ვიმუშავე და ასე მიიწურა კიდევ ერთი დღე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ახალი თარგმანები


 იოჰან ვოლფგანგ გოეთე
 სცენები „ფაუსტიდან“

ბ ა ლ ი

მარგერეტე ფაუსტთან ხელგაყრილი — მარტა და მეფისტოფელი
 — მოსეირნე წყვილებად.

მარგერეტე

ცდილობთ, დამინდოთ, უხერხულად არ ვიგრძნო თავი,
 მესაუბრებით ბევრის მცოდნე, როგორც თანასწორს.
 ვინც ხშირად მგზავრობს, იცის ხალხის კარგი და ავი,
 გულს გაუკეთებს, არ დახედავს მაღლით არასდროს.
 ჩემსავით გოგო თქვენს ნაფიქრალს მხარს ვერ აუბამს,
 რა უნდა ახლდეს სასიამო მასთან საუბარს...

ფაუსტი

შენი ეგ ერთი გამოხედვა, ეგ სიტყვა ერთი
 ყველა სიბრძნეზე, დამერწმუნე, მეტია ჩემთვის.
 (ხელზე ჰკოცნის.)

მარგერეტე

რას სჩადით! კოცნა ასეთი ხელის!
 ნაჯაფარია, თვითონვე ხედავთ!
 საქმე და საქმე დღეები მთელი, —
 ნესრიგი უყვარს, მკაცრია დედა.
 (ჩაივლიან.)

მარტა

და სულ გზაში ხართ? არასოდეს ჩერდებით დიდხანს?

მეფისტოფელი

რა ექნა, ასეთი ხელობა მაქვს, ჩემი ბუდია.
 შევხედები ხოლმე, სადაც გული დარჩენას მითქვამს,
 მაგრამ, რა საქმეც მაბარია, ითხოვს ხეტიალს.

მარტა

ჯერ ადვილია, დრო ჯერხნობით მსუბუქად მიქრის.
 არ ჩამომდგარა სანამ სუსხი, გზადყოფნაც გართობთ.
 მაგრამ ოჯახზეც საჭიროა დროულად ფიქრი,
 ცხოვრების ბოლოს როგორია დარჩენა მარტო!

მეფისტოფელი

ნარმოვიდგენ და შორითვე მზარავს!

მარტა

და მაინც დასტვენთ, არ ფიქრობთ არას?
 (ჩაივლიან.)

მარგერეტე

ზრდილობის ენა, ტკბილი სიტყვები!
 ნასვლის უმაღვე დაგაფინყდებით.
 თქვენს მეგობრებში ჭკუა-გონებით,
 იცით, ვერავის შეევენონები.

ფაუსტი

რას არქმევ ჭკუას? ფრთა გეპყრას ბატის?
 ამბობდე ნაზუთხს? ითხოვდე პატივს?

მარგერეტე

როგორ!

ფაუსტი


ასეა. სათნოებამ, ალალმა გულმა
 თავისი თავის უმეტესად არ იცის ფასი.
 რასაც მე პატივს მივაგებდი ყველაზე უმალ,
 კდემას, სინრფელეს, ბუნებრივი სიკეთით ავსილს.

მარგერეტე

თუ წუთით მაინც გამიხსენებთ, შორს რომ იქნებით!
 მე მთელი ხანი გამეღევა თქვენზე ფიქრებით.

ფაუსტი

ხშირად ხართ მარტო?





მარგერეტე

დავტრიალებ საყოლს თუ საქონს,
რა ცოტაც არის, მოვლა უნდა, თვალი და ხელი.
მოახლე არ გვყავს, მე ვალაგებ, ვრეცხავ და ვწველი,
სადილს ვამზადებ, იქით კიდევ ჯარა და მაქო.
დედას ადრითვე სულ საქმეში ვყავდი ჩართული,
მკაცრი ქალია, — მომჭირნე და აკურატული.
არა, ჩვენს წესზე ღარიბები ალბათ არ გვეთქმის,
მამამ სახლ-კარიც დაგვიტოვა, მინის ნაკვეთიც.
ისე, პოლოხანს, დროს თუ ვიტყვით, საკმაო დრო მაქვს,
შინ ორნი დავრჩით, აღარ მიწევს იმდენი შრომა.
ძმა სხვა ქალაქში გადაბარგდა, — ჯარისკაცია.
დაიკო მყავდა, არ მოგვესწრო, მოკვდა პანია.
მარტოს მებარა, მე ვუფელიდი, ვწვალობდი რამდენს!
მაინც იმ ტანჯვას ავირჩევდი სულით და გულით,
დღესაც რომ — ოი, საყვარელი! — ცოცხალი მყავდეს...

ფაუსტი

თუ გგავდა კიდევ, ანგელოზი ყოფილა სრული!

მარგერეტე

მამა ახალი მკვდარი გვყავდა, როდესაც გაჩნდა,
დედა, ლოგინად ჩავარდნილი, აზრს ვერ იკრებდა,
ისეთი იყო, გადარჩენას ვინ იფიქრებდა...
საბრალო ბარტყი! — ერთადერთი მე დავრჩი მასთან.
დედა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მობრუნდა ქვეყნად,
ჩვილს მე ვადექი, დედის ძუძუ არც უგემია,
რძით გამოვზარდე წყალნარევით, რა უნდა მექნა!
შევესისხლხორცე, გრძნობა მქონდა, — მხოლოდ ჩემია!
ჩემს მკლავებში და ჩემს კალთაზე წამოიჩიბა,
შემომლიმოდა, პანანინა ხელებს მიწვდიდა.

ფაუსტი

რამდენს ხარობდი ალბათ მასთან მისათუთებით!

მარგერეტე

მავრამ, რომ გითხრათ, ხშირად მქონდა მწარე წუთებიც.
ლამით აკვანი თავთან მედგა საწოლის გვერდით,
ერთი ფაჩუნიც მალეძებდა, შეკრთომა ერთი.
უნდა მეჭმია, თუ არ ეძინა,
ცოტა ხნით ჩემთან გადმომწვინა.
ატირდებოდა, ავდგებოდი, ვუნანავებდი,
დავცეკვაობდი, დანყვეტილი მქონდა მკლავები.

დლით კი საქმე, იქ ბაზარი, აქეთ ნახირი.
ხან ცომის ვარცლზე, ხან სარეცხზე ვიყავ ნახრილი.
მეკარგებოდა ზოგჯერ მხნეობა,
იმდენი საქმე დამეხვეოდა.
სამაგიეროდ როგორი ტკბილი
ხდებოდა ხოლმე ჭამა და ძილი!
(ჩაიელიან.)

მარტა

ეხ, ბერბიჭებო! საბრალოა, ვინც განდა ქალად!
რა თმენა უნდა თქვენს მოქცევას, რამდენი ძალა!

მეფისტოფელი

ენტავ თქვენდარი დამმოძღვრელი უნინ მყოლოდა!
არ მომიწევდა, წამომენყო საქმე ბოლოდან.

მარტა

გამოტყდით, თვალი არავისთვის დაგიდგამთ ჯერაც?
ფუძე რომ გქონდეთ, დავიჯერო, სულ არ გინდებათ?
ნუ დამიძალავთ!

მეფისტოფელი

კარგი ცოლი და თბილი კერა
სჯობს, ნათქვამია, მთელი ქვეყნის ავლადიდებას.

მარტა

მერე? სიმშვიდე არ გწყურდებათ? არც სითბო ცოტა?

მეფისტოფელი

კარგად მხედებიან, საცა მივალ, ვერ ვიტყვი ცოდვას.

მარტა

მე სერიოზულ განზრახვაზე გესაუბრებით.

მეფისტოფელი

მაგით ხუმრობას ვერ გავბედავ ვერა უფლებით.

მარტა

ახ, ვერ მიმიხვდით!





მეფისტოფელი

მაპატიეთ, ძალიან ვწუხვარ.
 თუმცა მიგიხვდით: გულის სითბო გეპოძათ უხვად.
(ჩაივლიან.)

ფაუსტი

ნამსვე მიცანი, შემოსული როგორც კი მნახე?

მარგერეტე

თვალი დავხარე, მოგარიდეთ უნებურ სახე.

ფაუსტი

ზედმეტი გკადრე, მაპატიე, საყდართან იმ დღეს,
 უზომოდ ვნანობ ჩემს თავებელურ ქცევას და სიტყვებს.

მარგერეტე

გითხრათ, გავოგნდი, ასეთ ამბავს პირველად შევხვდი.
 ვერ იტყვის ჩემზე კაციშვილი ვერაფერ საძრახს.
 არა, იმგვარიც რა შემატყო, ვფიქრობდი ჩემთვის,
 ჯიქურ მომეჭრა და ურიგო სიტყვები დაძრა.
 ნუთუ მაქვს რამე გამომწვევი, ვეცან ეგეთად?
 ერთი წამითაც არ შებრკოლდა, ისე მეკვება.
 მაგრამ აქ, შიგნით, რალაც მოხდა თანდათანობით,
 თქვენს გამართლებას, გამოგტყდები, კიდევ ვლამობდი.
 არადა, თავზეც ვბრაზდებოდი, — ნეტავ რით არი,
 მის მიმართ ბრაზი რომ არ დამრჩა არავითარი...

ფაუსტი

ძვირფასო!

მარგერეტე

კარგი, როგორც იყო... შევეშვათ ამას...
(ყვავილს მოწყვეტს და ფურცლებს თითო-თითოდ აცლის.)

ფაუსტი

გვირგვინს ნნავ?

მარგერეტე

არა. ნუ დამცინებთ, შევეყვი თამაშს...

ფაუსტი

რა თამაშია? რას ბუტბუტებ?

მარგერეტე

ვუყვარვარ — არა...
ხომ არ დამცინებთ?

ფაუსტი

ახლოს მოდექ, დათვალე წყნარად!

მარგერეტე

ვუყვარვარ? არა? — თქვი, ყვავილო! — ვუყვარვარ? არა?
ვუყვარვარ!

ფაუსტი

აჰა! დასტურს ამბობს ყვავილთა ენაც.
მისი ფურცლებით სრულ სიმართლეს გაუწყებს ზენა.
გესმის? უყვარხარ!

მარგერეტე

სულ ვცახცახებ...

ფაუსტი


ნურაფერს უფრთხი!
სამარადისოდ გაგრძელდება ნეტარი ნუთი!
სასონარკვეთა ვერ მოიცავს, ნუ გეფიქრება!
არა აქვს ბოლო! უსაზღვროა! მარად იქნება!
არა აქვს ბოლო! დაე, რასაც ვერ იტყვის სიტყვა,
თქვას გამოხედვამ, ხელთა ჩვენთა შეხებამ გვითხრას!
(მარგერეტე ხელს ხელზე მოუჭერს და გარბის, ფაუსტი უკან
დაედევნება.)

მარტა

ბინდიც ჩამოდგა.

მეფისტოფელი

ავბარგდებით, დროა აშკარად.





მარტა

ვერ გეუბნებით, დარჩით-მეთქი, რამ აგაჩქარათ.
 უმაღვე რამეს შემნამებენ, იტყვიან ბოროტს,
 ჭორის ბუდეა, თქვენ არ იცით, რა ხალხი ცხოვრობს,
 არ ურჩევნიათ არაფერი მეზობლის ჭვრიტინს,
 ვერ დაფრინდება უმაგათოდ ღობეზე ჩიტი...
 ნყვილი რა გვექნა?

მეფისტოფელი

შესასვლელთან მოგკარი თვალი,
 მანდ შეფართქალდნენ. ვიშ, ფარვანა! არ აკრთობს ალი!

მარტა

ვაჟი, მე მგონი, მოგვეხიბლა, სტუმარო ჩვენო!

მეფისტოფელი

ვაჟიც და ქალიც. ეს ქვეყანა მაგაზე შენობს.

ს ა ს ლ ა კ ი ბ ა ლ შ ი

*შემორბის მარგერეტე, კარსუკან იმალება, თითს ტუჩთან
 მიიტანს და სამზერში იყურება.*

მარგერეტე

მოდის!

ფაუსტი

თამაშობ? ნამაქეზე, ჰო, ნამაქეზე!
 არ გეშინია, რომ დაგაცხრე უცბად ბაგეზე?
 (კოცნის.)

მარგერეტე, კოცნას უბრუნებს

ძვირფასო კაცო, მიყვარხარ და სულ მეყვარები!

(კაკუნს კარზე.)

ფაუსტი

ვინ არის?

მეფისტოფელი

ძმა და მეგობარი! გახსენ კარები!

ფაუსტი

მხეცო! პირუტყვო!

მეფისტოფელი

დაგვილამდა, დროა, ყმანვილო!

მარტა, მოუახლოვდებათ

გთხოვთ! გვიან არის!

ფაუსტი

ნებას მომცემ, შინ მიგაცილო?

მარგერეტე

ნახვამდის, არა, დედა მომკლავს!

ფაუსტი

ჩვენ, აბა, აქეთ.
 ნახვამდის!

მარგერეტე

მალე შეხვედრამდე!

მარტა

მშვიდობით გნახეთ!
 (ფაუსტი და მეფისტოფელი გადიან.)

მარგერეტე

ღმერთო, რამხელა ჭკუა და სიბრძნე!
 რას ჩაწვდებოდი, გუმანით ვიგრძენ.
 რაც კი რამ არი, ცისა თუ მიწის,
 სულ ნაფიქრი აქვს! ხედავს და ესმის.
 ვდგავარ უბირი, სირცხვილით ვიწვი...
 საოცარიო, რა ნახა ჩემში?





ტყე და გამომცავული

ფაუსტი, მარტო

მაღალო სულო, ყველაფერი, რასაც შეგთხოვდი ცეცხლის ალიდან გამომზირალს, მებოძა სრულად, ამას ხილვა არ ყოფილხარ, მეძღვნა უკლებლივ. ბუნების მთელი საბრძანისი გადამომიშალე, მეგრძნო, შემეტკობო, სამაგისოც მომმადლე ძალა. თვალდაცეცებულ, გოცებულ მგზავრად კი არა, თანაზირად მომიყვანე, სიღრმეში მხედად, შიგ ვიყურები, ისე როგორც მეგობრის გულში. ჩამოატარებ ჩემ წინაშე სულდგმულთა წყებას, მაცნობ ჩემს და-ძმებს ბუჩქნარებში, წყალში, ჰაერში. როცა ტყეებში ქარიშხალი ბლაგილით დაძრწის, როცა ტორტმანით ძირს ეცემა ფიჭვი ვეება და თან, გზადაგზა, სხვა ხეების ტოტებს მოამსხვრევს, და გრგვინვა მისი დაცემისა ხეებს დაივლის, მყუდრო მღვიმეში შემოგყავარ, მშვიდ სამყოფელში, სადაც იდუმალ სასნაულთა მოსახილველად ჩემიგ სიღრმისკენ მაგნებინებ უჩინარ ბილიკს. როცა ჩემ თვალწინ ბაკმიანი ქათქათებს მთვარე და შუქთა კრთოლივით გარეშემო სიმშვიდეც აფენს, კლდის კედლებიდან მენვლებიან, სველი შქერიდან, ძველისძველ ჟამთა ჩვენებები ვერცხლოვანები, და სილბოს იძენს უმკაცრესი მჭვრეტელი ნება.

მაგრამ სრულყოფას ვერ ეწევა ძებორციელი, მაგასაც მივხვდი. ნეტარების ამ სავსებაში ღრჯუ, კადნიერი, უნდო სული მომეც მეგზურად, ურომლისობაც უკვე მიჭირს. ის კი ქირქილით, უგვანი ღმეჭით, სიტყვის ერთი გადაბრუნებით არარად მიქმნის, რაც რამ შენგან ძღვენი მებოძა. მშვენიერების დამანახა წმინდა სახება, სიმშაგის ცეცხლი, დამბუგველი, დამიგზნო მკერდქვეშ. ნეტარებას და წყურვილს შორის ვარ გახიდიული, ველტვი, განველტვი, აღარ ვიცი, გზა სად ვეძებო...

(შემოდის მეფისტოფელი.)

მეფისტოფელი

ცხოვრება უკვე მოიბეზრე, განდაგან დახვალ?
 რა გეპოვება ამ უღრანში გულგასახარი?
 ერთჟამს კარგია შეუჩვევლის რისამე ნახვა,
 მერე ხელდახელ — კვლავ ახალი, კიდევ ახალი!



ფაუსტი

თავიდან მომწყდი! აღარ გეყო ჩემი წამება?
თუნდაც ასეთი მშვენიერი დღის ჩაშხამება!

მეფისტოფელი

ჰო, კარგი, კარგი, როგორც გენებოს.
სულ გაგეცლები, თუ გიხარია.
ველარ ავუველ ამდენ გინებას,
თან ემსახურე შლეგს და შარიანს!
ეგზავნ-ერბინე, იდინე ხვითქი,
იგმინე, ფეხი წელებზე იდგი...

ფაუსტი

ნუ იტყვიტ! გული მოუკვდა წრფელი!
გაბეზრებისთვის მაღლობას ელი?

მეფისტოფელი


უჩემოდ, მიწის საბრალო ძეო,
რა სულს ლაფავდი, არც გახსოვს თურმე!
აგხსენ, ძალღივით ეჯაჭვე თოვს,
ჩმახებისგანაც რამდენი გკურნე!
სულთ და ხორციტ ნაგვემ-ნატანჯი
უჩემოდ დღემდე ვერც მოატანდი.
ბნელში დამჯდარხარ ახლაც ჭოტივით,
კვლავ იმ ძველებურ ჰანგზე მოტირი,
ანდა ყურსიხარ გომბეშოსავით
სველ ქვებზე, ხავსში, საზრდოს მყნოსავი.
ვერ გამოვბერტყე შენგან სწავლული,
მაინც იმ შხამით ხარ მონამლული.


ფაუსტი

უკაცრიელი ეს ადგილი, მთიან-ტყიანი,
სხვა ძალას მაძლევს, მიყვარს მარტოს აქ ხეტიალი.
ეჭვად ხვდებოდე, როგორ დავფრენ, რა ფრთაშესხმული,
აივსებოდი ჩემს მომართაც შურით ეშმურით.

მეფისტოფელი

შეებათაშეება — მთის კორტოხზე ღამეში წოლა,
განსაკუთრებით, თუ ცვარ-ნამიც აისხი ბროლად.
ცასა და მიწას გულში იკრავ საღვთო პირცოფით,
ივრცობა სიღრმე და თვითონაც ღმერთად ივრცობი.
ფლობდე, სუფვედე, იმგზნებარებ ძალას საკმარისს,





შენია სრულად იმ ექვსი დღის ნაშესაქმარი!
 მაგრამ ეს მთელი მგზნებარება, რაზომცა დიდი —
 (უხამსი უესტი.)
 ამით თავდება — სირცხვილისგან ვერ ვამბობ, რითი...

ფაუსტი

ფუი, თახსირო!

მეფისტოფელი

განათუ ტყუი!
 ფუი და კიდეე ათასგზის ფუი!
 ოლონდ ეგ არი, კაცთა გულში სულ სხვა ქარია,
 რაც სათნო ყურებს ებილნებათ, გულს უხარია.
 უმადურობით ნუ მიზეზს მომდებ,
 თავს იტყუებდი — გაცალე დრომდე,
 მაგრამ დიდხანსაც ვერ გაძლებ ასე.
 უსაგნო ფიქრებს, შიშებს, შმაგობებს,
 ერთხელ ხომ იყო, უკვე აჯობე,
 ისევ შემოდექ ცხოვრების გზაზე!
 შენი ძვირფასი შინ ზის მწუხარე,
 აღარაფერი გულს არ უხარებს,
 არ გამოსდხარ ფიქრიდან წამით,
 უყვარხარ, გიცდის ცრემლების ლამით.
 როგორც უეცრად მომსკდარი წყალი,
 გამოზაფხულზე, თოვლი რომ დნება,
 ვნებად მიაწყდი, წამლეკი ძალით,
 ჩავლილა ღვარი, დამცხრალა ვნება.
 რა ჭირად გინდა, აქ დადგა ტახტი,
 იჯდე, ემეფო უღრან ნიაღებს,
 გეყოს ჭოჭმანი, ქმენ, მისი გახდი,
 სიყვარულისთვის ჯილდო მიაგე.
 დღე საწყალობლად მილოღავს მისთვის,
 ცაზე გადადის ღრუბლების ჯერი,
 სარკმლიდან უმზერს, გდარდობს და გიცდის,
 „ახ, ჩიტი ვიყო“, მოწყენით მღერის.
 ყველა ნაფიქრალს ცრემლი სტანია,
 დღეა, ღამეა ბნელი.
 მხიარულია, ნაღვლიანია,
 მაინც გდარდობს და გელის.

ფაუსტი

გველი ხარ, გველი!

მეფისტოფელი, თავისთვის

ჰგავს, გაები!



ფაუსტი

გიკრძალავ სისინს!
განვედ, წყეულო, არ გაბედო ხსენება მისი!
მომწყდი, მომშორდი, ნუ აღვიძებ იმ სიტკბოს ჩემში,
ნახევრად უკვე შემლილი ვარ, ბოლომდე შემშლის!

მეფისტოფელი

მას კი ჰგონია, გაქცევა გინდა.
თითქმის ასეა, არ ცდება დიდად.

ფაუსტი

მაინც მასთან ვარ! მარად უცვლელი!
მაინც ახლოა, შორს ვიყო რაგინდ!
უფლის სხეულსაც შურით ვუცქერი,
ის რომ ეხება მთრთოლვარე ბაგით.

მეფისტოფელი

მე კი შენი მშურს, თუ გინდა სწორი:
ტყუპი ქურციკი შროშანთა შორის...

ფაუსტი

უ, მაჭანკალო!


მეფისტოფელი

ეგ მას უთხარ, მაშვლობის მომგონს!
აკი იმუამსვე, როცა შექმნა ბიჭი და გოგო,
კეთილშობილი ეს ხელობაც გამოგვიგონა,
და არც შემცდარა, გამოადგა მერე თვითონაც.
განა ისეთი რა გითხარი? მლანძღავს და მთათხავს!
მიბრუნდი-მეთქი მის სენაკში, მიხედე საწყალს.
მაგაზე შექმენ ამოდენა მოთქმა-გოდება?

ფაუსტი

ლმერთო, მის მკერდზე დავანება, გულზე მითბობა!
რა ზეციური ნეტარება არ დაითმობა!
არადა, რა ვქნა, თუ ვერ ვწირავ, თუ მეცოდება...
რადგან ვინა ვარ? დავწრიალებ სული მწუხარი.
არა მიზანი, არა ფესვი, — ვცხოვრობ ზმანებით.
როგორც ჩანჩქერი, კლდიდან კლდეზე გადმომქუხარი,
თავდავიწყებით უფსკრულისკენ მივექანები!
ის კი ბავშვური, სათნო, კეთილი,





ცხოვრობს, ანთია სანთლის სადარად,
 ქობში, მთის ძირას, თავის პატარა
 საზრუნავებში გამოკეტილი.
 რისთვის მივამსხვრევ კლდეებს პიტალოს
 ღვთის გარეგანი?
 რასაც მივწვდები, თან დავიტანო?
 ბოლო ეგ არი?
 მიშველე, ეშმაგ, შიშით გასენილს!
 მო, ჯოჯოხეთო, ბჭენი გახსენი!
 რაც არის, არის! ახდეს! ვნებდები!
 მისი ვარ! ამინ! ვდებ ამის აღთქმას!
 გადაიხლართოს ჩვენი სვე-ბედი,
 ორივე ერთბამ ქვესკნელმა დაგვნთქას!

მეფისტოფელი

ისევ თუხთუხი, ზარი და ზათქი,
 ერთად აღუფხვა მინის და ზეცის!
 ველარ პოულობ, თუ ხედავ, ადგილს,
 მიდი, სულელო, ნუგეში ეცი!
 იყავ გულადი! ახმევედ ხალისს!
 ქარს გაატანე სხვა დანარჩენი!
 უკვე ეშმაკის გასხია წყალი,
 სასონარკვეთა ეშმაკს არ შეენის!

ბრეტხენის ოთახი

გრეტხენი, ჯარასთან

გულო, როგორ დამძიმდი,
 რა მიმკრთალი ძვერ!
 დამეკარგა სიმშვიდე,
 ვერ ვნახე და ვერ.

რა ვქნა, საით წავიდე,
 კვალი ამერიი,
 სადაც იგი არ არის,
 ყველგან სამარეა.

თავი ჩემი საბრლო
 გონს წვალეზით იკრებს,
 აღარ იცის, რა უყოს
 ამ დანყვეტილ ფიქრებს.

გულო, როგორ დამძიმდი,
 რა მიმკრთალი ძვერ!



დამეკარგა სიმშვიდე,
ვერ ვნახე და ვერ.

სულ წრიალი გზაზე,
სულ სარკმელში ცქერა,
ერთადერთი ფიქრი —
დავლანდავ თუ ვერა?

ტანი მჭევრი, მაღალი,
მხნე, ამაყი სვლა,
თბილი, ღიმილიანი
შემოხვედრა კვლავ!

საუბარი წყნარი,
თუ მის ხელში ხელი,
თუ, ვაიმე, კოცნა,
ფრუანტელი ცხელი!

გულო, როგორ დამძიმდი,
რა მიმკრთალი ძგერ!
დამეკარგა სიმშვიდე,
ვერ ვნახე და ვერ.

ძალა მომცა, მოენუსხო,
სიყვარულით შევკრა,
ხელი მაგრად ჩავჭიღო,
არ გავეშვა ჩემგან!

დავენაფო ბაგეზე!
აგრე! კიდევ აგრე!
სული ველარ მოვითქვა,
მის კოცნაში გაქვრე!



გრეტხენი ჯარასთან.
ევენ დელაკრუას ნახატი

გერმანულიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

 ლიტერატურული პარალელები



ნათია სიხარულიძე

„შემოდგომის დღე“

„შემოდგომის დღე“ გალაკტიონის ადრეული ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება. რევაზ თვარაძის აზრით, ამ ლექსის განწყობილება და სახეები სრულიად მოულოდნელი იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზიისათვის.

„შემოდგომის დღის“ შთამბეჭდაობა ალბათ არ გაუფერულდება, თუ ვიტყვი, რომ იგი, ჩვენი დაკვირვებით, ამერიკელი მწერლის პენრი უოდსსუორთ ლონგფელოს „წვიმიან დღესთან“ („The Rainy Day“) ამჟღავნებს გარკვეულ სიახლოვეს. ორივე ნაწარმოები დაახლოებით ერთნაირად – „ნალვლიანი“ დღის აღწერით იწყება:

შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!
 დღე ნალვლიანი, ღონემიხდილი;
 როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,
 როგორ ირხევა გაძარცული ტყე...
 შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!

სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი,
 გაყვითლებული, უდროოდ მტკნარი;
 დაბერავს რისხვით, დაბერავს ქარი,
 გაყვითლდა მდელი, გაყვითლდა მოლი...
 სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი.

The day is cold, and dark, and dreary;
 It rains and the wind is never weary;
 The vine still clings to the mouldering wall,
 But at every gust the dead leaves fall,
 And the day is dark and dreary.

(დღე ცივია, ბნელი და მოღუშული,
 წვიმს და ქარი ქრის შეუჩერებლად,
 ვაზი კვლავ ეკვრის ხავსიან კედელს,
 მაგრამ ქარის ყოველ დაბერვაზე
 მას მკვდარი ფოთლები სცვივა
 დღე კი ბნელია და მოღუშული).

გარდა პეიზაჟისა, ლექსებს სხვა საერთოც აქვთ: ლირიკული გმირი გალაკტიონთან, ისევე როგორც ლონგფელოსთან, გამქრალ, დაკარგულ ოცნებაზე (იმედებზე) დარდობს („გამიქრა სულის ოცნება წმინდა“; „The hopes of youth fall thinsk in the blast“) და მიუხედავად მწუხარებისა, ორივე მათგანი ცდილობს თავი დაიმშვიდოს („დამშვიდდი, გულო“; „Be still, sad heart!“)

შემოდგომასთან დაკავშირებული სევდიანი განწყობილება ლირიკაში გავრცელებული მოტივია და რომ არა სხვა გარემოებანი, მხოლოდ ამის გამო ნაწარმოებთა მსგავსებაზე საუბარი დამაჯერებელი არ იქნებოდა. ვფიქრობ, ლექსების ურთიერთმიმართების დასადგენად ექნასკუთრებით საყურადღებო სტროფიკის იგივეობაა. ორივე ლექსი ხუთტაქტიანი სტროფებისაგან შედგება, სტროფის ეს სახეობა კი, თუ კლასიკური იამბიკოსა და მუხამბაზის ფორმებს არ ჩავთვლით, ახალი ქართული პოეზიისათვის ნაკლებად დამახასიათებელია.

გასათვალისწინებელია კავშირი გართიმვის სისტემებს შორისაც: მართალია, გალაკტიონთან ლონგფელოს ნაწარმოების რითმითა წყობა ააბბა ზუსტად არ მეორდება, მაგრამ შენარჩუნებულია „წვიმიანი დღისათვის“ ნიშანდობლივი თავისებურება: თითოეულ სტროფში ერთმანეთთან გართიმულია სამი სტრიქონი, დანარჩენ ორს კი სხვა რითმა აქვს.

ძალიან მნიშვნელოვანია რეფრენის გამოყენების ერთნაირი პრინციპიც: ლონგფელოსთან ლექსის ყველა სტროფი მსგავსი სტრიქონებით იწყება და მთავრდება (გამონაკლისი მხოლოდ მესამე სტროფის პირველი სტრიქონია). ასეთივე სტრუქტურა აქვს „შემოდგომის დღის“ პირველ და მეორე სტროფსაც.


გალაკტიონისა და ლონგფელოს სხვა ნაწარმოებების („...ოდეს-ღაც, სადღაც, მარტობაში“ და „The Arrow and the Song“) მიმართებაზე საუბრისას გამოვთქვით ვარაუდი, რომ ქართველი პოეტი ამერიკელი მწერლის შემოქმედებას ა. მილორადოვიჩის წიგნში „Сказки, переводы и стихотворения“ უნდა გაცნობოდა. ამავე კრებულშია დაბეჭდილი „წვიმიანი დღეც“. მოგვყავს რუსი ავტორის მიერ შესრულებული თარგმანის ტექსტი:

День скучен, холоден и темень,
Дождь льет и вихрь неугомонен,
Лоза к стене истлевшей льнет,
С нея лист блеклый ветер рвет
И день томителен и темень.

Так век мой холоден и темень,
Дождь льет и вихрь неугомонен.
Льну к невозвратному мечтой,
Сны вянут юные толпой,
Ряд дней томителен и темень.

О Скорбный дух! Смири стенанье,
За тучей кроется сиянье;
У всех людей твой горький гнет,
Во всякой жизни дождь идет,
Меж днями день бывает темень.

შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონთან აშკარად ჩანს „წვიმიანი დღიდან“ მიღებული შთაბეჭდილების კვალი. თუმცა, გარდა





მსგავსებისა, ლექსებს შორის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განსხვავებაც შეინიშნება: ამერიკელი მწერლის ნაწარმოებისათვის უცნობია გალაკტიონის ლირიკული გმირის „იდუმალი გრძნება“, „გამოუთქმელი შვება“:

სასე ვარ რალაც იდუმალ გრძნებით,
 გამოუთქმელი მიტაცებს შვება.
 რა არის იგი – ბედნიერებით
 გამოწვეული უბედურება,
 თუ უბედობა სიმწარე-ვნებით?

სევდიან განწყობილებას ამ ლექსებში განსხვავებული მიზეზი აქვს: ლონგფელოსთან – ცივი და ბნელი ეპოქა, გალაკტიონთან – სიყვარულისაგან გამოწვეული გულგატეხილობა. შესაბამისად, თავსაც სხვადასხვაგვარად იმშვიდებენ ლირიკული გმირები: ერთს ის ანუგეშებს, რომ ირგვლივ ყველა იტანჯება, მეორეს კი – გამქრალი ვნებისა და სიხარულის დაბრუნების იმედი:

დამშვიდდი, გულო, შეგიყვარდება
 ვინმე ამქვეყნად... დამშვიდდი, გულო!
 წავა დღეები უსიხარულო,
 ისევ აღდგება გამქრალი ვნება,
 ჩემო ოცნებავ და სიყვარულო!

გალაკტიონი ლექსს „შემოდგომის დღეს“ არქმევს, რაც მხოლოდ ნელინადის დროის დაკონკრეტება არ არის. ამ სათაურით პოეტი ნაწარმოებს შემოდგომის თემაზე დაწერილ სხვა ლექსებთან აახლოებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში („გადაუღებლად“, „დგება ნაზი შემოდგომა“, „ჰორიზონტი ოდნავ ღელავს“) სწორედ შემოდგომის პეიზაჟთან, „ჭკობის სუსხთან“ არის დაკავშირებული ოდესღაც ნანახი სატრფოს – „ნაზი, ტკბილი ზმანების“ გახსენება თუ მოლოდინი.

ამრიგად, გალაკტიონთან შენარჩუნებულია „წვიმიანი დღის“ განწყობილებაც და ფორმისეული თავისებურებებიც, მაგრამ შეცვლილია ამ განწყობილების გამომწვევი მიზეზი და ფორმისეულ ელემენტთა გამოყენების პრინციპი. უფრო არსებითი, ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შინაარსობრივი განსხვავებაა: მსგავსი პეიზაჟის ფონზე სატრფიალო მოტივის შემოტანის შედეგად „შემოდგომის დღე“ შორდება ლონგფელოს ლექსის პრობლემატიკის სფეროს და ბუნებრივად თავსდება გალაკტიონის სიყვარულის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის. და მაინც, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, „შემოდგომის დღეზე“ მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ხოლმე „წვიმიანი დღეც“, როგორც გალაკტიონის ერთგვარი შემოქმედებითი იმპულსი.

უნივერსიტეტი

გივი შეყილაძე

ნამი უკვდავებიდან

მცხეთის ჯვრის ტაძრის დასავლეთ კედელთან 1977 წლის 3 აპრილს, 11 საათსა და 29 წუთზე გადაღებულ ფოტოზე აღბეჭდილია დიდი მათემატიკოსის, ილია ვეკუას, სახე. შორეულ სივრცეში საგაზაფხულო თხელ ნისლში ჩაკარგულა ქართლის პეიზაჟი, უფრო ახლოს გამოშვებულა სვეტიცხოველი და მცხეთის სანახები.

სამი კვირის შემდეგ ქართველი ხალხი ილია ვეკუას დაბადების 70 წლის იუბილეს გადაუხდის, იუბილეს ექო მისწვდება მსოფლიოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებს, კოლეგები, მისგან ხელდასხმული მათემატიკოსები და, საერთოდ, სამეცნიერო ელიტის წარმომადგენლები მოსკოვსა და ნოვოსიბირსკში, ამერიკის კონტინენტსა და ევროპაში, ყველგან, სადაც პროგრესისა და კაცობრიობის წინსვლისათვის იღვნიან, პატივს მიაგებენ დედამიწის ღირსეულ მოქალაქეს.

მანამდე კი, ამ 3 აპრილს, მის საიუბილეოდ ჩამოსული მეცნიერები მასპინძელმა მცხეთისა და მისი შემოგარენის – ძველი საქართველოს – ცოცხალ ღირსშესანიშნაობათა სახელგულად მიიწვია.

და აი, ილია ვეკუა ჯვრის მონასტრის კედელთან დგას. ფიქრიანი ღიმილით იქნებ ამ ნამებში იმ გზას იხსენებს, შეშელეთელი (გალელი) გლეხის, ნესტორ ვეკუას, ვაჟმა აქამდე რომ განვლო.

მე თითქოს მის ფიქრ-ხილვას მიეყვები:

18 წლისა მოვიდა იგი საქართველოს მაშინდელ ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში, ღვთისაგან დაბედეულ გზას დაადგა მათემატიკოსისას, აქედან დაიწყო მისი მეგობრობა დიდ ნიკოლოზ მუსხელიშვილთან. დიახ, ილია ვეკუა ნიკოლოზ მუსხელიშვილის პირველი მოსწავლე, მის იდეებზე აღზრდილი მათემატიკოსი იყო.





თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ – ლენინგრადი, სხვადასხვა დარგის ნარჩინებულ ქართველ ახალგაზრდებთან ერთად – ასპირანტურა.

26 წლისა იყო ილია ვეკუა, როცა თბილისის უნივერსიტეტში დაბრუნდა როგორც პედაგოგი, მეცნიერი და მკვიდრად დაუკავშირდა მას, თუმცა იყო მოსკოვისა და ნოვოსიბირსკის წლებიც...

1952 წელს ილია ვეკუა მოსკოვში გადავიდა და მალე მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. პარალელურად საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება შეიქმნა, უკვე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის რანგში. ამ განყოფილების პრეზიდენტის ნევილი ილია ვეკუა ნოვოსიბირსკში დაფუძნებული უნივერსიტეტის რექტორობას შეუდგა.

1967 წლის მარტში, ნოვოსიბირსკში ჟურნალისტური მისიით ჩასული, შევხვდი იქაურ მკვიდრთ, აკადემიის ციმბირის განყოფილების გამგედან – **მიხეილ ლაერენტიევიდან** დაწყებული, აკადემიქალაქში აგებული უნივერსიტეტის უბრალო დამლაგებლით დამთავრებული – და სიხარულს ვერ ვფარავდი იმის გამო, რაოდენი სიყვარულით, პატივისცემითა და მონატრებით საუბრობდა ყველა ბატონ ილიაზე. ციმბირული არყის ტყის „ოქროს ჭალაში“ ვნახე ცამეტ პატარა კოტეჯთაგან ერთი – ქართველი მეცნიერის ბინა, ვნახე ერთსართულიანი ციმბირული ქოხიც, ღამით ისლის სახურავზე ხაგანგებოდ წყალს რომ ასხამდნენ, რათა გაყინულიყო და დილით ჭერიდან წვიმა არ ჩასულიყო, ვნახე უნივერსიტეტში მისი სამუშაო კაბინეტი, ისევე ხელუხლებელი, როგორც იგი პირველმა რექტორმა 1965 წელს საქართველოში დაბრუნებისას დატოვა, და გამოიცა იმ შორეულ მხარეში მისდამი გამოჩენილმა მოწინებამ და უშუალო გულთაძრობამ.

მაშინ ბატონი ილია უკვე თბილისის უნივერსიტეტის რექტორი იყო, **პირველი და ერთადერთი ქართველი, რომელც ორ – რუსულ და ქართულ – უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდა.**

ილია ვეკუას 1958 წელს აკადემიქალაქად წოდებულ ტერიტორიაზე ციმბირის ცარიელი ტრამალი დახვდა და უკვე 1959 წლის პირველ ოქტომბერს უნივერსიტეტის სიმბოლური გასაღები ჩაიბარა. ეს მოვლენა მისი უმაღალითო თავდადების, ორგანიზატორული ნიჭისა და უნარის ჭეშმარიტი დასტურია. შვიდ წელიწადში ილია ვეკუამ შექმნა სრულიად ახალი შინაარსის უმაღლესი განათლების კერა ციმბირში. ეს ერთუზიაში მან სამშობლოში ჩამოიყვალა და, თბილისის უნივერსიტეტის სათავეში მყოფი, საქართველოშიც შეუდგა სიახლეების დანერგვას.

მხოლოდ ერთი ფაქტი: თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მიახლოებითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრასთან 1962 წელს დაარსებული პრობლემური ლაბორატორიის ბაზაზე 1968 წელს დაფუძნდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი (ის დღესაც აკადემიკოს ილია ვეკუას სახელს ატარებს, თუმცა მეცნიერებისა და განათლების ამჟამინდელი რეფორმის „წყალობით“ ამ ინსტიტუტს მხოლოდ აბრალა შემორჩა. ასე განადგურდა წლობით ნალოლიავები სამეცნიერო



კერა და არა მარტო ეს). მე ვარ უნებური მოწმე იმისა, თუ როგორ ძალუძდა საქმის გადაწყვეტა ბატონ ილიას. მის კაბინეტში სარედაქციო საქმეზე მყოფი ასეთ ამბავს შევესწარი: მისაღები გამოცდები ეს-ესაა დამთავრებულია, რექტორთან პრორექტორი გურამ ჭილაშვილი შემოვიდა (საგანგებოდ უნდა ვთქვა: უნივერსიტეტის კეთილდღეობას შეწირული ადამიანი) და მოახსენა, მათემატიკის ფაკულტეტზე ჩამბარებელთა ნახევარი ჩარიცხულია გამსვლელი ქულების მიხედვით, დარჩა მეორე ნახევარი, გამოცდებზე რომ არ ჩაჭრილა, მაგრამ ქულათა საჭირო რაოდენობის დაგროვება ვერ შეძლო.

ბატონმა ილიამ წყნარად თქვა:

– ბატონო გურამ, მართალია, სახელმწიფო გეგმა სტუდენტთა განსაზღვრული კონტინგენტის მიღებას ითვალისწინებს, მაგრამ ამ შემთხვევაში გამონაკლისია საჭირო. ჩვენ სულ მალე მათემატიკოს-მექანიკოსთა ის თაობა დაგვჭირდება, რომელიც გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა და სხვა ახალპროფილიან დაწესებულებებში უნდა დასაქმდეს. ახალგაზრდა კადრები თუ არ გავზარდეთ, იძულებილი გავხდებით ისინი რუსეთიდან ჩამოვიყვანოთ... ვინ იცის კონკურსმიღმა დარჩენილებში მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული რამდენი ახალგაზრდაა. ნუ დავკარგავთ მათ.

და ბატონი ილია ტელეფონს გადასწვდა, ცოტა ხანს გულთბილად ესაუბრა ჩემთვის უცნობ პიროვნებას (ბუნებრივია, სამთავრობო წრის წარმომადგენელს), დინჯად დადო ყურმილი და თქვა:

– ყველანი ჩარიცხეთ ბრძანებით.

ვინც იცის, რა სირთულეს წარმოადგენდა ასეთი ჩარიცხვა იმ დროს, დარწმუნდება რექტორის შეუვალ ავტორიტეტში.

მამ ასე: 1977 წლის 3 აპრილი, 11 საათი და 28 წუთი. წამი უკვდავებიდან: მცხეთის ჯვრის დასავლეთ კედელთან აღზეხდილია დიდი ადამიანი – ილია ვეკუა.

მას სამი კვირის შემდეგ 70-წლოვან იუბილეს გადაუხდინა, ხოლო შვიდი თვის შემდეგ ციმბირიდან გამოყოლილი უკურნებელი სენით გარდაცვლილს მთაწმინდის პანთეონში მიუჩენენ სამუდამო სამკვიდროს.

ავტორის ფოტოები.



რეცენზია

ცრემლი და წმინდაურა



მოთხრობების ორი ახალი კრებული: ნინო სადღობელაშვილის „ბამბაზის სამოთხე“ და ზვიად კვარაცხელიას „ჰაე“. ორი ახალი სახელი თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში. თითო მოთხრობას გამოყოფო: პირველში – „წმინდაურას“, მეორეში – „გამოცხადება“.

„გამოცხადების“ მთავარი პერსონაჟი, ანუ მთხრობელი ცრემლია. დასაწყისში საკუთარ თავზე გვიამბობს – იმაზე, თუ როგორ ჩნდება, „როგორ დაასველებს გუგას და ქუთუთოებს, როგორ დაენთება უპეებში მდინარეებად...“

„წმინდაურაში“ მთავარი პერსონაჟი, ანუ მთხრობელი ბატკანია, მსხვერპლად გამზადებული კრავი, რომელიც გიორგის კარგად გახდომას უნდა შეენიროს, იმ ბავშვის განკურნებას, მისთვის, პირველი ნახვისთანავე, წმინდაურა რომ შეურქმევია.

„გამოცხადება“: თათია ექითან ნაყოფის მოსაცილებლად მისულა. მის სახეზე აღბეჭდილი ცრემლი და გოდება გინეკოლოგს მძაფრ გრძობებს აუშლის, „თვალწინ დაუდგება ყოველი მოკლული სიცოცხლე... მუცელში გაწყალბული ნაყოფი... სინდისს შეუწუხებია ქალბატონი ნათულა. ოცდაათწლიანმა „მოღვაწეობამ“ თავი წამოასხნა“.

მოკლედ, ნაყოფი გადარჩება. და ცრემლი განაგრძობს: „გაერზივართ მე და თათია... ერთად უნდა ვექებოთ სამალავი“. მათ შინ არ მივსვლბათ. „შინ გლისი მამა და მამის ხატს დამორჩილებული დედა გველოდებიან. იმ იმედით, უბავშვო, უნაყოფო რომ მიფუბრუნდებით და შვილის ყოლის სურვილს გათხოვებამდე არ გაივლებთ გულში... ადვილი წარმოსადგენია: მამა ბუხართან იქნება აყუდებული, ხანდახან ხის სკივრისკენ გაექცევა თვალთ, სადაც ორლულიანი თოფი ეგულება და ახალ მსხვერპლს ელის“.

„წმინდაურა“: საზარააკე კრავი, დასაწყისში თავის სახელს იხსენებს და თავისებურად იმსაყ გვიხსნის, თუ რატომ დაარქვა ასე გიორგიმ:

„... წმინ... წმინდ... რას მეძახის გიორგი?“

– წმინდაურას, პო, წმინდაურას! ნეტა რატომ დამარქვა ასე ერთი დანახვისთანავე, იცოლა რისთვის გამზრდიდნენ, თუ რა!“

„გამოცხადება“: თათია და ცრემლი ბაზარში ერთ დედაბურს შეხვდებიან.

ცრემლი განაგრძობს:

„მოხუცს შეგებრალებით ბედის ანაბარად მივდებული ქალი და მის თვალზე ჩრჩილი მწყაზარი ცრემლი. ხურჯინს გვერდს მოუნაცვლებს და ერთად შეგესხამს სახედრის კეხზე“.

(როგორი სახეა, ამბავს რომ თავი დავანებოთ“ – ავტ.).

მოხუცი შეიკვლებს, უბატრონებს, მოაკეთებს. ბავშვიც გაჩნდება. ბიჭს თოხს დაარქმევენ. მთაზე შეფენილ ლამაზ სოფელში (ორდუ) რომ გაიზრდება, ბიჭს ჯიხებზე ნადირობა შეუყვარდება. ერთხელ ვეფხვთან შეხმაც მოუწევს.



და აქ ერთმანეთს გადაქცობა ამ მოთხრობის და ცნობილი ბალადის სიუჟეტი.

ამას ემატება კიდევ ერთი ამბავი, ავი წინათვრძნობით შეპყრობილ დედას რომ აგონდება, – ჯიხვებზე ჯარჯის ნადირობის ტრავგიკული ეპიზოდი, ბავშვობაში თოვს სმირად რომ უყვებოდა.

„რატომ გვერია, რომ მხოლოდ ცრემლით მეტყველებს სვედა, ტკივილი“ – ვკითხულობთ „გამოცხადებაში“.

და, თითქოს, ამის პასუხია „წმინდაურა“, სადაც სვედა და ტკივილი კრავის ენით მეტყველებს.

ფეიქრობ, მკითხველი ადვილად მისვდება, რომ სწორედ ამ ნიშნით გამოვარჩიე ეს ორი მოთხრობა – რაღაცით მსგავსნი, მაგრამ ძლიერ განსხვავებულინი.

მსგავსნი – მწერლორი ნიჭიერებით და სვედიან-ტკივილიანი იმედით.

განსხვავებულინი – მწერლორი სტილით, რომელიც ჯერ, ცხადია, ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ მკაფიო ინდივიდუალობის ნიშნებს, ორივე შემთხვევაში, აშკარად ატარებს.



„წმინდაურა“: კრავი კი, ჯერ ისევე ფიქრს განაგრძობს. ახლა იმის ახსნას ცდილობს, თუ როგორ მოიგონა კაცმა ღვითსთივის გარბივი:

„აღბათ, რამდენ ხანს იფიქრა, რითი მოეცო ღმერთის გული, უფრო სწორად, როგორ მოეხერხებინა, რომ ცას მისწვდენოდა იმის სათხოვარი... მერე, აღბათ, უკებ ბალახებში ცხვარმა გაბიუქუნა, გაფხაკურდა, შეხვდა და თვალში ეწმინდავა... ღმერთისთივის შესაფერისად მიიჩნია, დაიჭირა ცხვარი, წამოაქცია და ღმერთს უთხრა, ღმერთო, ოღონდ მომხედე, აპა, გიკლავე ცხვარსაო. მერე ამას ყველაფერს მსხვერპლი დაარქვა“.

„გამოცხადება“: ამბავი თანდათან მძაფრდება. დედა ისევე ავ წინათვრძნობას შეუპურია, რადგან თოვს ნადირობიდან დაბრუნება დააკვირდა.

„საჩქაროდ მანდილს წამოსხამს თათია, გაისწორებს და, რა და რა ფიქრისგან ცამდის აწრიალებული, ჭიშკრისკენ გაჩქარდება“.

თამაშა-მკითხვანთანი მიდის თათია, იმ თამაშა-მკითხვანთანი, რომლისგანაც ასეთი რამ მოუსმენია: „აკი გაფრთხილებდი, ბალღი ჯიხვებზე არ გაუშვამეთქი. ველურ ბოსელში არიან შინ-ჯიხვები დაზრდილები, არვის დაერიდებიან... აკი გეუბნებოდი, გადააჩვიე შეილი ლალი ოცნებების შემოსევას და მუჭში დაზარდე-მეთქი. არ გამოგონე“.

რომ არ გაუგონა, ამას თათია არ ნანობს. ყველაფერიდან ჩანს, რომ ეს მოთხრობის მთავარ პერსონაჟსაც (ვრემლს) მოსწონს და აფტორსაც.

დედა შემფთობებული კია, მაგრამ მოთხრობა იმედინად მთავრდება. „თათია თვადამართზე დაეშვა. პირაღმა გაწოლილიყვენ დიდრონი ქვები და ღრუბლისკენ იმერდნენ გულმუცელს. ყორებზე ამაყად ეფინა ხავსი, კუთხით კუთხეს მოსდებოდა ზურმუხტისფერი, ნალველივით მწვანე“.

შარავზაზე ფრთხილად, ფეხაკრეფით აშხაუნდა წვიმა“.

რაკი ყორებზე ამაყად აფენია ხავსი, რაკი ნალველიც კი მწვანეა და, წვიმა შხაუნობს, შეუძლებელია, ყველაფერი კარგად არ დამთავრდეს.

„წმინდაურა“: სამვარაკე კრავი კი ეკლესიისკენ მიმავთ.

იგი ფიქრს განაგრძობს და წინასწარ წარმოიდგენს იმ რიგუალს, მსხვერპლად შეწირვა რომ პქვია. მოთხრობა აქ კულმინაციას აღწევს და ისეთივე მძაფრი, ამაღლებული და ამაღლებევებელი ხდება, როგორც



„გამოცხადებაში“ თათიასგან მანდილის წამოსხმა და შარაგზაზე წვიმის ამსაპუნება:

„ახლა იქ, იმ შეინდის ხესთან გაეჩერდები, ცოტას დაეისვენებ... მერე აიღებენ სამ სანიულს და დამამგრებენ შუბლზე – სწორედ ფიქრების ზვეით, თითქოს ფიქრები ჩამოიქნა სანთლად და ელიან, როდის აღიღვენ-თებიან... მერე აანთებენ სანთლებს და სანთლები გაიღვამენ ფესვებს ჩემს შუბლში, ტანში, ტვინში... მერე მე ვიქნები – არა, ხუჭუჭა ცხვარი კი აღარა, არამედ ბილიკი – ჩემზე გადაივლის გიორგის მამა, მთავა ღმერთთან და სთხოვს, ღმერთო, ღმერთო, ისენი ჩემი შვილი, გადამიჩინე... ღმერთო, დიდებულო... მერე დაბრუნდება უკან, აქ, და მომატარებს ეკლესიას სამე-ვის. და ყოველ შემოვლას ექნება უფრო ნათელი, ნათელი ფერი.

აუ, რა ახლოა უკვე ეკლესია“.

„რომანის დანერა უფრო იოლია... აქ მეტი დაუდევრობა შეიძლება. შეიძლება, მეტი ნაგავი ჩაყარო და გეპატიოს. მოთხრობა ლექსს თუ ჩამოუვარდება. აქ თითოეული სიტყვა ზუსტი უნდა იყოს“.

— არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი: მას შემდეგ, რაც ფოლკენერის ეს მოსაზრება წაეკითხე, ის ჩემთვის ერთგვარ პროკრუსტეს სარეცელად იქცა. ნებისმიერ მოთხრობას ამ „სარეცელზე ვანვენ“ და ისე ვზომავ და ვწვინი, არის თუ არა მასში რაიმე ზედმეტი.

მეჩვენება, რომ „გამოცხადებაში“, ამ უდავოდ კარგ მოთხრობაში, ზოგი რამ ზედმეტია. მაგალითად, ზემოხსენებული მესამე ამბავი – თათია ჯინზევზე ჯარჯის ნადირობას რომ იხსენებს. არც უკლებლივ ყველა სიტყვა მგონია ზუსტი, მაგალითად, ეს გამოთქმა: „კრამიტზე წელი თქვენი ხმაურობს“. ზოგჯერ, სიტყვათქმნადობაც ხელოვნური ჩანს: „როგორც თავისერთა ასული-წულს გვერდიდან არ სცილდება“.

პირველი ნაკითხვისას, „წმინდაურაში“ ზედმეტი ვერაფერი შევნიშნე, მაგრამ როცა მივებრუნდი და ჩავლურმავდი, ასეთად ის ადვილი მომეჩვენა, სადაც საზვარაკე კრავი მთებს, მზეს და გზას გადარჩენას სთხოვს და, გულგრილობის გამო, ქვისგულიან ფიგურებს უწოდებს.

ფსიქოლოგიურ სიზუსტეს და დამაჯერებლობას რომ თავი და-ვანებოთ, ეს უბრალო ლოგიკასაც არღვევს: ამგვარ თხოვნას და სამ-დურავს გამოთქვამს კრავი, რომელიც სამსხვერპლოზე სიხარულით მიდის: „მე ხომ მიხარია, მე უნდა მოვკვდე – ვიო კარვად გახდება“...

ეს შენიშვნები მწერლური ტექნიკის, უფრო მაღალი საზომებით თუ ვიტყვით, მწერლური ოსტატობის საკითხს უკავშირდება.

ოსტატობა კი თანდათან მოდის.

ბატონმა **ოთარ ჭილაძემ**, ორიოდე წლის წინათ, ჟურნალ „მნათობის“ მკითხველებს ზვიად კვარაცხელია რომ წარუდგინა, ხაზგასმით აღნიშნა: „მწერალი გზაში იზრდება“.

...ორი ახალი სახელი თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში.

ზვიად კვარაცხელიამ უკვე ისეთი აღიარება მოიპოვა, ნებისმიერ ჯილდოს და პრემიას რომ არ ჩამოუვარდება: ქართული პროზის ცოცხ-ალი კლასიკოსის – ოთარ ჭილაძის შექება.

მრავლისმთქმელია ბატონი ოთარის ხაზგასმა — სწორედ პა-ტრიოტული, ეროვნული ნერვის სიმძაფრით რომ გამოარჩია ზვიად



კვარაცხელიას ნაწერი „ვითომ ნოვატორულ, ვითომ მოდერნისტულ, ვითომ თამამ და თავისუფალ, ნამდვილად კი ათასჯერ გადაღეჭილ, გაცვეთილ, დაშრეტილ და ყველა „სიკეთესთან“ ერთად, თითიდან გამოწოვილი პრობლემებით გაძიძგულ წიგნების ზღვაში“.

ნინო სადღობელაშვილის მიმართაც უკვე არაერთი საქები სიტყვა მოვისმინეთ. განსაკუთრებით გახმაურდა მისი „ბამბაზიის სამოთხე“ – მოთხრობა, აქტუალურთან ერთად, დრამატურგიულიც აღმოჩნდა და ქუთაისის თეატრში დიდი წარმატებით დაიდგა.

აქ კი ბოდიშს მოვუხდით **ფოლკნერს** და **რეზო ინანიშვილს** გავიხსენებ. ჩვენი უსაყვარლესი მწერალი, ვისაც აზრის კატეგორიულად გამოთქმა არ სჩვევია, ამ შემთხვევაში უკიდურესად შეუვალაია:

„არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მწერალი გრძლად წერს თუ მოკლედ, მთავარია, მწველად წერდეს“.

ზვიად კვარაცხელია „გრძლად“ წერს.

ნინო სადღობელაშვილი – „მოკლედ“.

ერთიც და მეორეც – „მწველად“.

ნინო ოცდაექვსი წლისაა.


ზვიადი — ოცდასამის.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაიზრდებიან ისინი „გზაში“.

გაიზრდებიან, რადგან აქვთ მთავარი – უეჭველი სამწერლო ნიჭი.

დღეს მათით გამოიმცემლობა „ინტელექტი“ ამაყობს.

ხვალ მთელი საქართველო იამაყებს.



იოსებ ჭუმბურიძე

წარწერიანი ეგზემპლარები

ბაღალთა თავმდაბლობა

შურდა ანას?!

ბატონი გიორგი გოგოლაშვილი დამე ანას ვესტუმრეთ. შესანიშნავ გუნებაზეა. გულღიაა და ღიმილიანი („მზე ადგას ბატონის სასახლეს — ღიმილი დედოფალ ანასი“). ჩვენც უზომოდ გვიხარია მის სიახლოვეს ყოფნა, თანაც, ვიცით, რომ ახლად გამოსული საიუბილეო (80 წლისთავი!) კრებული უნდა გვაჩუქოს.

წარწერებზე „წვალობს“ და ამბობს: „ზოგს რა კარგი წარწერები ეხებრება. პირდაპირ მშურს“.

— სამაგიეროდ, კარგ ლექსებს ვერ წერენ, — ვამბობ მე. ანას ვითომ არც გაუგონია.

ბატონი გიორგი კი გულიანად იცინის...

ვისაც ანასთან ურთიერთობა ჰქონია, იცის, რა დიდმნიშვნელობას ანიჭებდა ყოველ სიტყვას, რარიგ ეძნელებოდა საგაზეთო სტატიის თუ მილოცვის დაწერა.

წარწერებიც ასევე ეძნელებოდა.

ლექსს „კარნახით“ წერდა („სუნთქვას მოჰყვებოდა“ — მისი სიტყვებით).

წარწერებსაც ხომ არ უკარნახებდნენ?!

ამიტომაც „წვალობდა“.

ძნელი არ არის ამის ახსნა: სიყალბე გამორიცხული იყო. არც ის უნდოდა, ბანალური ფრაზები რომ წაენერა. მისი ლექსით ამაღლებული და ორიგინალური კი მუზის დაუხმარებლად არ „მოვიდოდა“.

მაგრამ ანას ხელით დაწერილი ნებისმიერი სიტყვა ხომ უძვირფასესია.

...მისი ნაჩუქარი რამდენიმე წიგნი მაქვს.

საინტერესოა მინანურებზე დაკვირვება. იმაზე დაკვირვება, თუ როგორ იცვლება ისინი ურთიერთობის გაღრმავების კვალდაკვალ.

„პატივცემულ სოსო ქუმბურიძეს — ავტორი. 1987“ —

საქართველო სსრ-ის
ქვეყნი
1987

ნიგოლაშვილი სოსო
ჩემი დიდი სიყვარული
შეგიძლია!
14.1. 1997წ.
სოსო



ასეთი მშრალი და ოფიციალური პირველი ავტოგრაფი.

ათი წელი დასჭირდება იმას, ნაჩუქარ წიგნზე მინაწერში სიტობ და სიახლოვის განცდა რომ გაჩნდეს:

„ნინოს და სოსოს ჩემი დიდი სიყვარული და პატივისცემა! ანა კალანდაძე. 14.I.1997 წ. კალანდობა“.

შვიდი წლის შემდეგ, მინაწერი კიდევ უფრო გულითადი გახდება:

„ქალბატონ ნინოს, ბატონ სოსოს და ყველაზე ჭკვიან“ თორნიკეს, დიდი სიყვარულით, დიდი მადლობით, ანასაგან. 30.XII.2004. კვლავაც მრავალი ბედნიერი კალანდა!“

ამგვარი გულითადობის ფონზე, თითქოს ალოგიკურია „ქალბატონო“ და „ბატონო“, მაგრამ ამასაც თავისი ახსნა აქვს: ამით ნინოსადმი პატივისცემა გამოხატა, რადგან მისმა შვილმა „ყველაზე ჭკვიანის“ ტიტული მოიპოვა, რამაც ქალბატონი ანა უზომოდ გაახარა. მეც „ბატონი“ ავტომატურად გავხდი.

ნამდვილად შემშურდებოდა, სხვისთვის ნაჩუქარ წიგნზე ასეთი ნარწერები რომ მენახა.

**„ძმური სიყვარული“
და
„მეგობრობის გრძნობით“**

სხვა უძვირფასესი წიგნებიც მაქვს, ასეთივე მინაწერებით. მხოლოდ ორს გამოვარჩევ. პირველი აკაკი განერელიას ეკუთვნის („ნარკვევები. პორტრეტები. ლექსთმოცდნობა“):

„ძვირფას სოსოს — ძმური სიყვარულით, აკაკისაგან. 8.VII.88, თბილისი“.

რა დიდი პიროვნება უნდა იყო, 50 წლით უმცროსის მიმართ ასეთი დამოკიდებულება რომ გამოხატო!

„მაღალთა თავმდაბლობის“ (ანა) ამგვარივე ნიმუშია **ბაჩანა ბრეგვაძის** მინაწერი ჩემთვის ნაჩუქარ წიგნზე („ნიკოლომაკიაველი“, 1984 წ.):

„სოსოს — დიდი პატივისცემით, მეგობრობის გრძნობით. ბაჩანა“.

რა ბედნიერებაა, ასეთი პიროვნებები რომ გვყავდნენ და გვყვანან.

მართლაც, რა გაუსაძლისი იქნებოდა უმათოდ ჩვენი ცხოვრება.

იოსებ ჭუმბურიძე

ქალბატონ ნინოს, ბატონ სოსოს (ყველა) და ყველაზე ჭკვიან
თორნიკეს
დიდი სიყვარულით
და მადლობით
ანასაგან
30.12.2004
ბაჩანა ბრეგვაძის
წიგნზე!

ძვირფას სოსოს —
მეგობრობის
გრძნობით.
აკაკისაგან.
8.VII.88,
თბილისი.

სოსოს —
დიდი პატივისცემით,
მეგობრობის გრძნობით
ბაჩანა



ნიგნები

„არტანუჯი“ გთავაზობთ

„ქართლის ცხოვრება“

ახლახანს „ქართლის ცხოვრების“ ერთდროულად ორი ახალი გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა.

„ქართლის ცხოვრება“ სრული სახით და ამ შემადგენლობით გამოცემლობა „არტანუჯმა“ რუსულ ენაზე პირველად თარგმნა.

ორი გამოცემლობის – „არტანუჯისა“ და „მერიდიანის“ – თანამშრომლობით „ქართლის ცხოვრება“ ქართულად, კრიტიკული ტექსტების გათვალისწინებით და განახლებული სახით დაიბეჭდა.

რუსული და ქართული გამოცემების მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

რედაქტორები არიან: მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, გ. ალასანიძე, თ. გამყრელიძე, ბ. კუდავა, მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, მ. შანიძე, ც. ქურციკიძე, ე. ცაგარეიშვილი, მ. ქავთარია, ე. ხომტარიანი-ბროსე, გ. კარტოზია, დ. მუსხელიშვილი და ზ. სარჯველაძე.

ორივე ახალი გამოცემა გამდიდრებულია რუკებით და ფოტოებით. საილუსტრაციო მასალა ბუბა კუდავამ მოამზადა.

КАРТЛИС
ЦХОВРЕБА

ИСТОРИЯ ГРУЗИИ


თინათინ გოლძეაძე, ბელა სარია

„ქართული ენა და ლიტერატურა“

VII კლასის სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მოსწავლეებს მიაწოდოს სალექსო ფორმითა და პროზაულად დანერგილი სხვადასხვა ჟანრის მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, შეასწავლოს მათი ენობრივი და ლიტმცოდნეობითი მახასიათებლები. ნიგნი მოწოდებულია მეშვიდეკლასელებს დაუსვენოს ლიტერატურული გემოვნება, გამოუმუშაოს ანალიტიკური აზროვნება და განსხვავებული მიზანდასახულობის ტექსტების შექმ-

ნის უნარ-ჩვევები მათი ასაკისათვის შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში. ამ მიზნების მისაღწევად სახელმძღვანელოში უხვად არის საინტერესო სავარჯიშოები, საპრეზენტაციო და სადისკუსიო დავალებები, რომლებიც ნაახალისებს მოსწავლეებს, ხოლო მასწავლებლებს გაუადვილებს სალიტერატურო ფორმების, ჟანრებისა და მათთან დაკავშირებული ენობრივი საკითხების მეშვიდეკლასელებთვის სწავლებას.



ბელა ნიფურიძე

„ქართული ლიტერატურა“

X კლასის სახელმძღვანელო

„მიგვაჩნია, რომ თავისთავად საინტერესოა ის რაკურსი, რომლითაც წარმოაჩინეს ავტორი მოცემული ეპოქის ქართულ ლიტერატურას. ამ თვალსაზრით კი სახელმძღვანელო მართლაც მრავალმხრივად და ამომწურავად არის დამუშავებული, რაც მის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.“

„ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წარმოდგენილი სახელმძღვანელოს მოხვედრა საგანმანათლებლო სივრცეში უადრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება.“

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტთა შეფასებებიდან




„ინტელექტი“ გთავაზობთ

ერნესტ ჰემინგუეი

„იქ – მიჩიგანში“

წიგნი „ნობელის პრემიის ლაურეატების“ სერიით გამოვიდა. კრებული ერნესტ ჰემინგუეის ათი მოთხრობისაგან შედგება. ესენია: „იქ, მიჩიგანში“, „სეზონის შემდეგ“, „ნათელი სოფლისა“, „მკვლელები“, „თეთრი სპილოების მსგავსი მთები“, „ვაიომინგის ღვინო“, „ბატონი და ქალბატონი

ელიოტები“, „აფრიკის მწვანე ქედები“, „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ და 1945 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოებული მოთხრობა – „მოხუცი და ზღვა“. მთარგმნელები ვახტანგ ჭელიძე და ანა რატიანი არიან.



გიორგი გაგოშიძე, ნათია ჩანტლაძე


„მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში“

ნაშრომში განხილულია ქვემო ქართლის ოთხი რაიონის (ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის) ტერიტორიაზე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც იქ მცხოვრებ მონოფიზიტური აღმსარებლობის მოსახლეობას ეკუთვნოდა.

წიგნში ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ანბანურად

დალაგებული ორმოცდაცხრა ძეგლისა (ეკლესია) და ორმოცდათვრამეტი წარწერის კატალოგისებრი აღწერაა მოცემული, წარმოდგენილია ყოველი ხუროთმოძღვრული ძეგლის გეგმის ანაზომი, არის გრაფიკული მასალაც.

გამოცემას ბოლოში თითქმის ყველა ძეგლისა და წარწერის ფოტოსურათი ერთვის.



ჰაინრიხ ბიოლი

„უკაცო სახლი“

„უკაცო სახლი“ დასავლეთ გერმანიის ომის შემდგომ იმ პერიოდზე მოგვითხრობს, როცა შიმშილის, შავი ბაზრის, სასურსათო ბარათებისა და სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარი მოხელეებისათვის წვნიანის შეღავათიან ფასებში გაცემის ხანა უკვე წარსულს ჩაბარდა. ქვეყანა ნანგრევებისგან განმნდეს, შელეს-შემო-

ლესეს, მაგრამ ამ სახელდახელოდ გაკეთილშობილებული ფასადის მიღმა ის ტრავმირებული, ჯერ კიდევ გაოგნებული ადამიანები დარჩნენ, წარსულზე რომ იყვნენ მიჯაჭვულნი“. – ვკითხულობთ ნობელიანტი მწერლის წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც მთარგმნელს – თენგიზ ჰატარაიას ეკუთვნის.



ი80/30

საგამომცემლო ჯგუფი

ნესტან ბაგაური
ეთერ კვანჭიანი
ვლადიმერ პერანიძე
ვიოლა ტულუში
მარტა ნიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე



აპოლიტონოლოგია ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge
რედაქტორი: 8(99) 90-37-22



F 253

2009



ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
საქართველოს სახელმწიფო ბანკი